

ჩუბუბ ჩუბუბუბ



მსუჩი
თეატრის
ხალხური
საწყისები



ხელოვნება თბილისი 1988

წიგნში ავტორი დაწვრილებით მოგვეთხრობს ოსური თეატრალური ხელოვნების ხალხურ საწყისებზე არქეოლოგიური მასალებისა და მდიდარი ფოლკლორული მონაცემების მიხედვით. იხილავს თეატრალურ ელემენტებს ოსურ ხალხურ ზემპირსიტყვიერებაში, თოჯინური თეატრის ჩანასახებს; გვესაუბრება უძველეს სახალხო სანახაობებსა და სხვადასხვა დღესასწაულში ნიღბების გამოყენების შესახებ, გვაწვდის მრავალ საინტერესო ნიმუშს „ნართების ეპოსიდან“.

რეცენზენტები: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
დ. ჯანაღიძე
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
გ. თოგოშვილი

ზ ე ს ა ვ ა ლ ი

ოსურ თეატრალურ ხელოვნებას საინტერესო ისტორია აქვს. სამწუხაროდ, ამ ისტორიის საკითხები დღესდღეობით საფუძვლიანად შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის. მართალია, ოსური თეატრის ისტორიის შესახებ დაიწერა მონოგრაფიები და ბროშურები, მაგრამ ისინიც საჭიროებენ შემდგომ გაღრმავებას, კვლევა-ძიების გაგრძელებას და ამ გზით მათ სრულყოფას.

ყველა ერის თეატრალური ხელოვნების საწყისები ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების წიაღში ჰპოვებს დასაბამს.

ხალხური თეატრალური ხელოვნება, ისევე როგორც ფოლკლორული შემოქმედების სხვა სახეები, სათავეს იღებს უხსოვარი დროიდან. ეგრეთ წოდებულ პალეოლითის პერიოდიდან. იგი ჩანსახა. ვითარდებოდა და ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. აღამიანს მატერიალურ მოთხოვნილებასთან ერთად სულიერი სამყაროს გამდიდრების სურვილიც უჩნდებოდა, რომელიც ასაზრდოებდა საზოგადოების ესთეტიკურ მოთხოვნილებებს, ეს კი მას ანიჭებდა დიდ სიზარულს, აღაფრთოვანებდა ბუნების ძალებთან მიძიმებრძოლებში.

თეატრალურ სანახაობას თავიდანვე საზოგადოებრივი, მოგვიანებით კი თვალსაჩინო სოციალური ფუნქციაც დაეკისრა. მასში გამოხმაურებას პოულობდა და პოულობს ცოცხალი სინამდვილის მოვლენები, ცხოვრების განვითარების პროცესები და შინაარსი.

ოსი ხალხის ხელოვნების საწყისების დასადგენად პირდაპირი ისტორიული მასალა ნაკლებად გავგაჩნია. ამის გამო ეს პრობლემა დღემდე სათანადოდ დამუშავებული არ არის. ჩვენ იძულებული ვართ შევეცადოთ ამ საწყისების წარმოჩენა არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების საფუძველზე.

ოსები (ირონ ადამ) ინდოევროპული მოდგმის ხალხის ჩრდილო ირანულ ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში დამკვიდრდა ჩრდილო კავკასიაში. აქ მიმდინარეობდა მისი ეთნიკური განვითარების პროცესი, მის მიერ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შექმნა.

ოსების წარმოშობა და მათი არსებობის ისტორია, რომელთა ეროვნული კულტურის საწყისები უხსოვარი დროის დრმა პრილშია

აღმოცენებული. არასოდეს ასცილებია საბჭოთა და უცხოელ მკვლევართა ყურადღების სფეროს.

ოსთა ეთნოგენეზის პრობლემა თანამედროვე მეცნიერებაში საბოლოოდ არის გადაჭრილი. ჩრდილო კავკასიის ფართო ველებზე, მთისწინა ზოლის სამხრეთ რუსეთსა და შავი ზღვის ჩრდილო რაიონებში ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულში გავრცელდნენ ინდოევროპული მოდგმის სკვითური ტომები. ამ ტომთა განვითარების ეტაპები იყვნენ ჯერ სარმატები (ძვ. წ. IV საუკუნიდან), შემდეგ კი ალანები (ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნიდან). ჩრდილო კავკასიაში ეს ინდოევროპული მოდგმის ჩრდილო-ირანული შტოს წარმომადგენელი ტომები უმკიდროეს კავშირში იმყოფებოდნენ ადგილობრივი მაღალგანვითარებული მატერიალური კულტურის, ე. წ. ყობანური კულტურის მოსახლეობასთან. მოსულებმა შეძლეს მოსახლეობის ასიმილაცია, გაავრცელეს მათზე თავისი ენა, ზნე-ჩვეულებები. კულტურა და ამასთან ერთად, თვითონაც აითვისეს დამხვედურთა მატერიალური და სულიერი კულტურის საუკეთესო ელემენტები. გაამდიდრეს თავისი ენა ძველ ყობანელთა კავკასიური ენის ლექსიკიდან. ამდენად, ოსები პირდაპირი მემკვიდრენი არიან როგორც სკვითურ-სარმატულ-ალანური კულტურის, ასევე ძველ ყობანელთა კულტურული ტრადიციებისა.

ძველ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ალანების თანამედროვე ოსებთან იდენტიფიკაციის შესახებ აზრი გამოთქვეს ჯერ ვაჟა-ფშაველამ პოტოცკიმ, შემდეგ უფრო გარკვეულად ი. კლაპროტმა. ეს თვალსაზრისი მეცნიერულად დაასაბუთა თვალსაჩინო რუსმა რევოლუციამდელმა მეცნიერმა ვსევოლოდ მილერმა. ეს მილერი სკვითებისა და სარმატების ენას მიაკუთვნებდა ირანული ჩგუფის ენებს, თვით სკვითებსა და სარმატებს კი ოსების უშუალო წინაპრებად თვალსაზრისით და იგი ამბობდა, რომ უცხოურ წყაროებში მოხსენიებული ალანები ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ოსებს ნიშნავს, და რომ ქართველები ოსებს იმ დროიდან იცნობენ, რა დროიდანაც თავისი საკუთარი ისტორიის შეცნობა დაიწყეს.

ჩვენს დროში ალან-ოსთა ერთიანობის იდეამ თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა მ. ჯავახიშვილის, გ. ახვლედიანის, ვ. აბაევის, მ. თულანოვის, ბ. ალბოროვის, ბ. სკიტსკის, ზ. ვანეევის, აქ. ქოზაევის, გ. თოგოშვილის, ბ. ტენოვის, ვ. კუზნეცოვის, ა. ბიზროვის, ა. ჩოჩიევის და სხვათა შრომებში.

თანამედროვე თვალსაჩინო ფრანგმა მეცნიერმა-ფოლკლორისტმა ჟორჟ დიუმევილმა მრავალი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა კავკასიის ხალხთა, კერძოდ ოსთა მდიდარ ფოლკლორს. უკანასკნელ წლებში ფრანგი მკვლევარის შტეფან კრეფელისური მიპყრობილია „ნა-

რთების ეპოსისადმი“. მისი კვლევის შედეგები ცალკე წიგნებად რამდენჯერმე გამოიცა ფრანგულ ენაზე. მათ შორის ჩვენთვის ძალზე საინტერესოა ნაშრომი „ოსური ეპოსი და მითოლოგია“. ფრანგი ავტორის ეს ნაშრომი ჩვენ მიერ წარმოდგენილი თემის ბევრ ასპექტს უკავშირდება.

ჯორჯ დიუმეზილი ოსი ხალხის უძველესი დროის წინაპართა ვინაობის შესახებ აღნიშნავს, რომ ოსები ერთადერთი ხალხია მეზობელთა შორის, რომლებიც მთელი შემადგენლობით ინდოევროპულ შტოს განეკუთვნებიან.

პეროდოტე და სხვა ისტორიკოსები, გეოგრაფები ადრინდელ პერიოდში ამ შტოს წინაპრებს უწოდებდნენ სკვითებსა და სარმატებს, ხოლო ამ ხალხების შემდგომმა შთამომავლებმა ალანებისა და როქსალანების სახელწოდებით, სადაც კი ფეხი დაადგეს ევროპის კონტინენტზე, ყველგან დატოვეს ნათელი კვალი.

ქართული ისტორიული მეცნიერება სავსებით იზიარებს თანამედროვე მეცნიერებაში აღიარებულ თეორიას ოსთა წარმომავლობის შესახებ. მაგალითად, აკად. შ. ამირანაშვილი აღნიშნავდა, რომ ძველი ალანები, ოსების წინაპრები, სარმატული მოდგმის ტომს წარმოადგენდნენ, ხოლო მათი ენა, რომელიც კარგადაა შესწავლილი, ირანულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. სარმატების ირანული წარმოშობა სავარაუდო მოსაზრებას კი არა, დადგენილ ფაქტს წარმოადგენს.

აკად. გ. მელიქიშვილის აზრითაც, ალანებმა, რომელთა ჩამომავლებიც არიან თანამედროვე ოსები, I საუკუნის შუა წლებში ჩრდილო კავკასიაში შექმნეს მსხვილი ტომობრივი გაერთიანება.

სწორედ ამ საინტერესო კავკასიელი ხალხის თეატრალური ხელოვნების საწყისების შესახებ გვექნება საუბარი ჩვენს ნაშრომში, ხალხისა, რომელმაც გამოიარა ისტორიული განვითარების ხანგრძლივი, უაღრესად რთული და მეტად საინტერესო გზა.

ოსებმა მძაფრი დამარცხება და დიდი დაცემა იგემეს IV საუკუნის 70-იან წლებში მომთაბარე ჰუნებისაგან, XIII საუკუნეში კი მონღოლებისგან.

მონღოლებმა ამოდაგეს ისინი და დიდ-პატარიანად ამოჟლიტეს, შემთხვევით გადარჩენილი ნაწილი კი განდევნეს ჩრდილო კავკასიის ნაყოფიერი ველებიდან. ოსების მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც კავკასიონის ზვიადი ქედის სამხრეთ და ჩრდილო კალთებს შეაფარა თავი, ქართველ და სხვა კავკასიელ ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობაში შეინარჩუნა თავისი ეროვნული თვითმყოფობა.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ოსმა ხალხმა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის, მათ შორის თეატრალური ხელოვნების განვითარების არნახული პირობები მოიპოვა.

ოსური ხელოვნების საფუძვლები არქეოლოგიური მასალების მიხედვით

ოსი ხალხის ისტორიული გახვითარების პროცესის შესასწავლად ადრინდელი წერილობითი წყაროები არ გავაჩნია. ეს იმით აიხსნება, რომ ოს ხალხს წარსულში დამწერლობა არა ჰქონდათ. თუმცა გამოჩენილი რუსი მკვლევარი ტურჩანინოვი თვლის, რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ალან-ოსებს თავიანთი დამწერლობა ჰქონიათ. ამასვე გვიდასტურებენ ოსოლოგები ვ. აბაევი, გ. თოგოშვილი, ე. დიუმეზილი, ბ. ტეხოვი, ლ. ჩიბიროვი, ზ. ვანეევი, ზ. ჭინაძე და მრავალი სხვა. ამის გამო მისი კულტურული წარსულის, ოსური ხელოვნების, კერძოდ, ოსური თეატრალური ხელოვნების საწყისების დასადგენად შეგვიძლია დავეყრდნოთ უმთავრესად არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის ნიმუშებს, ოსურ მდიდარ ფოლკლორს, თვით ოსურ ენას, რომელიც, როგორც ყოველი სხვა ხალხის ენა, ასახავს მასზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებს, მათ მიერ განვლილ ისტორიულ გზას.

ცნობილი ოსი მხატვარი და საზოგადო მოღვაწე მახარბეგ საფარის ძე თულანოვი (1881—1953) მშობლიური ხალხის უძველესი ხელოვნების დახასიათებისათვის ფოლკლორთან ერთად იყენებდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ სხვადასხვა ხასიათის მასალას, საყოფაცხოვრებო საგნებს, სამკაულებს, რომლებიც ჩვენი წინაპრების მაღალი კულტურის იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენენ.¹

როგორც რევოლუციამდელი, ისე განსაკუთრებით კი საბჭოთა არქეოლოგების გათხრების მეშვეობით ოსეთის ძველ სამარხებში აღმოჩენილი ნივთებისა და სამკაულების მეცნიერულად შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შევჩერდეთ ოსი ხალხის უძველესი ხელოვნების ზოგიერთ საკითხზე.

ჩრდილო ოსეთში, მდინარე გიზელდონის სათავესთან მდებარე-

ობს ულამაზესი ყობანის ხეობა. აქ იყო ორი საკმაოდ მოზრდილი სოფელი — ზემო ყობანი და ქვემო ყობანი. ეს ორი სოფელი ამჟამად გაერთიანებულია ერთ დიდ დასახლებულ პუნქტად და მთის ზონაში არსებული სოფლების ცენტრს წარმოადგენს. სწორედ აქ, ყობანთან, 1869 წელს აღმოაჩინეს სამარხი ბრინჯაოს კულტურის დიდძალი ნივთებით. არქეოლოგ ვლ. კუზნეცოვის სიტყვით — ოდესღაც მიყრუებულმა ოსურმა აულებმა ძველი წელთაღრიცხვით პირველ ათასწლეულიდან ბრწყინვალე არქეოლოგიური კულტურის ძეგლები შემოგვინახეს, ეგრეთ წოდებული ყობანური კულტურის სახელწოდებით, რომელმაც პატარა ოსეთის მიწას მსოფლიო მეცნიერთა აღიარება მოუტანა².

რადგან ყობანური კულტურის დამახასიათებელი ნივთები უხვად გვხვდება ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის უძველეს სამარხებშიც, ამიტომ მკვლევართა ერთი ჯგუფი (შ. ამირანაშვილი, ვლ. კუზნეცოვი) თვლის, რომ ყობანური კულტურა კავკასიაში მცხოვრები მრავალი ხალხისათვის საერთოს წარმოადგენდა.

გამოჩენილი მეცნიერების აზრით, სკვითები და სარმატები კავკასიაში დამკვიდრდნენ ძვ. წ. VII საუკუნეში. მათი კულტურა შეერწყა ისტორიაში ჯერ კიდევ უცნობი ადგილობრივი ტომის — ე. წ. ყობანელთა კულტურასა და ცხოვრებას.

ყობანური კულტურა, კერძოდ ყობანური ხელოვნების ნიმუშები თავიდანვე ანცვიფრებდა მკვლევარებს თავისი რეალური სცენებით, საგნების სიზუსტის დაცვით, ფერთა ოსტატური შეხამებითა და შესრულების მაღალი დონით.

1881 წელს თბილისში გამართულ არქეოლოგთა V ყრილობაზე საკმაოდ აღიარებულმა რუსმა არქეოლოგმა პ. უვაროვამ ამცნო მსმენელებს, რომ ყობანელი მხატვრების მიერ შექმნილი ნამუშევრები, რომლებიც ასახავდნენ ცხოველთა ფიგურებს (ჩრემი, ცხვარი, დათვი), შესრულების სტილითა და რეალობის თვალსაზრისით იმ ფაუნის დამადასტურებელია, რომელსაც ყობანური კულტურა ჰქვია.

ყობანურ ნივთებზე გამოსახულია ისეთი ცხოველებიც, რომლებიც აქაური (ყობანური) ფაუნისათვის უცხოა (ვეფხვი და ლეოპარდი).³

ყობანური კულტურის ელემენტები ჩანს მთიელების ადათ-წესებში. აგრეთვე მდიდარ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, უფრო მეტად კი ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების შედეგში — „ნართების ეპოსში“.

ყობანური კულტურის ცნობილი მკვლევარები უძველეს სამარხებში ნაპოვნ ნივთებსა და სამკაულებზე ასახულ სცენებს აიგივებენ ნართების ეპოსში მოცემულ სიუჟეტებთან.

უძველეს სამარხებში ნაპოვნ ყობანური კულტურის ნივთებზე გამოსახული ფანტასტიკური ცხოველების ფიგურებით შედგენილ სცენებში არქეოლოგი ე. პხელინა ხედავს ნართების ეპოსის ზოგიერთი სიუჟეტის ილუსტრაციას.⁴

ცხენის შეწირვის რიტუალია გადმოცემული ოსური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებლის — კოსტა ხეთაგუროვის (1859—1906) პოემაში „სასაფლაოზე“. თეატრალიზებული სცენა სრულყოფილად აღწერა პოეტმა: მიცვალებულის გარშემო მამაკაცები და დედაკაცები შეგროვილან, ქალები ქვითინებენ. მიცვალებულს უახლოვდება მხცოვანი ნამაკაცი, რომელსაც სადავით მოჰყავს ცხენი. მაშინვე სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. იგი ცხენს გვერდით ამოუყენებს მიცვალებულს და წარმოთქვამს ცხენის შეწირვის სარიტუალო ტექსტს. მიცვალებულისათვის ცხენის შეწირვის წესი ოსებში ფართოდ იყო გავრცელებული რევოლუციამდელ პერიოდში. ამ მოვლენის შესახებ შესანიშნავი ფერწერული ტილო შექმნა მხატვარმა მახარბეგ თულანოვმა.

IV—XIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში ძირითადად პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ ოსები, რომელთაც X—XIII სს. აღრეფოდალური ტიპის ძლიერი სახელმწიფო შექმნეს. ამ სახელმწიფოს მკვიდრო პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული კონტაქტები ჰქონდა საქართველოსთან, შუა საუკუნეების რუსეთთან.

ჩრდილო ოსეთში, სტანიცა ზმეისკაიასთან არქეოლოგიური გათხრების პროცესში კატაკომბური სამარხის (№ 14) გახსნისას აღმოჩნდა ხელჩანთის ფორმის ტყავის სამკეთხა ნივთი. მასზე გამოსახულია დიდი ზომის პოლიმორფული ურჩხული, ჩაცუკული უკანა ფეხებზე.

ამავე № 14 კატაკომბაში აღმოჩნდა უნაგირის ტყავის ფრაგმენტი, რომელზეც გამოსახულია ფარშევანგები. ერთ-ერთ მათგანს ნისკარტით უჭირაფს ხის ტოტი სამი ნაყოფით⁵.

აღნიშნული გამოსახულება სრულ ანალოგიას პოულობს ნართების უძველეს ცილკში „ვარხაგი და მისი შვილები“ დაცულ სიუჟეტთან. ამ სიუჟეტის მიხედვით, ნართების ბაღში იდგა უკვდავების ვაშლი, რომელიც ყოველწლიურად ისხამდა სამ ნაყოფს. უცხო ფრინველი ღამით ეცემოდა ხეს და იტაცებდა მათ. ნართები ხეს დარაჯობდნენ დამწიფების პერიოდში. მაგრამ ფრინველი ვერ დაიჭირეს. ერთხელაც ვარხაგის შვილებს ახსარსა და ახსართავს მოუწია ხის დარაჯობამ. გათენებისას ახსართავმა შენიშნა ფრინველის დაცემა ვაშლზე, არ დააყოვნა, ისარი სტყორცნა და დაჭრა ფრინველი. ფრინველი მაინც გაფრინდა. მიჰყვნენ ძმები დაჭრილი ფრინველის ნაკვალევს. კვალმა ზღვის სანაპირომდე მიიყვანა ისინი. ახ-

სართავი შევიდა ზღვაში და მოხვდა ზღვების პატრონის, დონბეთირის სახლში. აქ ნახა დონბეთირის დაჭრილი ქალიშვილი ძერასა, მობრჩინა იგი და ცოლად წამოიყვანა. სწორედ მათგან წარმოიშვა ნართების გმირი თაობა. ვ. კუზნეცოვის აზრით, ეს სიუჟეტიცა გამოსახული ტყავის ფირფიტაზე.

საყურადღებოა ამავე სამარხში აღმოჩენილი პატარა თოჯინა — პროფესიული ოსტატობით გამოყვანილი ქალის ფიგურა. ფიგურის სიმაღლეა 9,5 სმ, სიგანე — 8,5 სმ. მას ხელში უჭირავს სასმისი. ხელები მოძრავი აქვს. შესაძლებელია, თავიც მოძრავი ჰქონდა. თოჯინების დამზადების ხელოვნება საკმაოდ მაღალ დონეზე რომ იდგა, ამის მეტყველია ქალის ეს პატარა სკულპტურული ფიგურა. ხელოვნების ეს იშვიათი და უნიკალური ნიმუში, რომლის თითოეული ნაკვთი გამოკვეთილია ზუსტი სიმეტრიის დაცვით, შესრულებულია მაღალი გემოვნებითა და უბადლო ოსტატობით. ქალის უნიკალური ფიგურა — თოჯინა დაცულია ჩრდილო ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თოჯინა ეკუთვნის შუა საუკუნეების ალანთა ხელოვნებას. ვ. კუზნეცოვი ვარაუდობს, რომ სკულპტორის ხელში სასმისი ვაცამონგას თასია. ვაცამონგა, ნართების ეპოსის თანახმად, ყველაზე ძვირფას ნივთს წარმოადგენდა მათ შორის, რაც ნართებს ებადათ. ვაცამონგა (სასმისი) გამოჰქონდათ განსაკუთრებული საწეიმო ნადიმის დროს იმ შემთხვევაში, თუ ვინმე თავის გმირობაზე სიმართლეს იტყობდა, მაშინვე ვაცამონგა თვითონვე აიწევედა მტემელის პირთან, ხოლო თუ აღამიანი ცრუობდა, ვაცამონგა ადგილიდან არ იძვროდა.

ერთხელ ნართები დასხდნენ, წინ ბურახით სავსე ვაცამონგა დაიდგეს და რიგრიგობით დაიწყეს თავს გადახდილი ამბების მოყოლა, მაგრამ ვაცამონგა ადგილიდან არ დაიძრა. ნართი ბათრადი იქვე უხმოდ იჯდა და მოჭორილ ამბებს ყურს უგდებდა. როცა ყველამ თავისი სატქმელი დაამთავრა, წამოხტა იგი და მათრახით შეარხია ვაცამონგა⁷.

„სანადიროდ ვიყავი, შევყევი დიდ ფერდობს და საღამო ხანს ხატებისგან მოვკალი შვიდი, თუ სიმართლეს ვამბობ, მაშ რაღას აყოვნებ, ვაცამონგა, ადი მამაჩემის ხამიცის მუხლებამდე. და მართლაც ვაცამონგა ხამიცის მუხლებამდე ავიდა“. დაამთავრა ბათრადმა ქეშმარიტი თავგადასავლის მოყოლა და ვაცამონგა ხამიცის პირთან გაჩნდა⁸.

სამხრეთ ოსეთის მთიან ზოლში დიდი ხანია არქეოლოგიურ გათხრებს ეწევა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბაგრატ ტეხოვი. მის მიერ მოპოვებულ ბრინჯაოს ინვენტარში ბევრია ორნამენტით

შემკული ნავთები, სამკაულები, არქეოლოგიის მიერ მიგნებულ ბრინჯაოს ცულის შესახებ სოფელ თლიდან იგი აღნიშნავს: ცულის პირის ორივე მხარეზე გველის გამოსახულებაა გამოყვანილი, აქვეა სამკუთხედი ორნამენტული ფიგურებით და თევზები.

ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა მამაკაცის ჩონჩხთან ნაპოვნი ბრინჯაოს ქამრის ბალთა, რომელზეც აღბეჭდილია მარჯვენა ხელის თორმა გაშლილი თითებით. აქვეა ძაღლის ფიგურაც. ანალოგიური მონატულობა შეიძლება დავასახლოთ მხოლოდ ყობანის სამარხებში ნაპოვნი ნივთებზე. სადაც ზოგიერთ ბალთაზე ხუთის ნაცვლად, ექვსი თითია გამოსახული⁹.

თლის ერთ-ერთ სამარხში ბ. ტეხოვმა აღმოაჩინა ბრინჯაოს ფართო ქამრის სარტყელი. რომელიც მთელ სიგანეზე სამ ზოლადაა მონატული სხვადასხვა სიუჟეტური სცენით. აღნიშნული ქამრის სარტყელზე ადამიანების, ცხოველების, მხეცების, მითურ გამოსახულებათა სახეებია გამოყვანილი. ისინი მიმართულნი არიან ერთი მხრივ, და ყველა გამოსახულება მოქმედებაშია.

თეატრალური ნიღბის შესასწავლად განსაზღვრულ მასალას იძლევა სარტყელზე გამოსახული მითური ცხოველების გამოსახულებანი. აგრეთვე გამოსახულებანი, რომელთაც ადამიანის სახე და ცხოველების ყურები აქვთ. ოსეთის უძველეს სამარხებში აღმოჩენილ ყობანურ ცულებზე გამოსახულ გველებს არქეოლოგი ბ. ტეხოვი უკავშირებს ძვილის კოლტს, რომელიც გვხვდება „ნართების ეპოსში“. მკვლევარის მოსაზრებით, „ნართების ეპოსის“ იმ ძველ ვარიანტიებში, რომელიც მიეკუთვნება VII საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, გველია გამოყვანილი. მაგალითად, თქმულებაში „სოსლანი როგორ დაქორწინდა ბედოხაზე“ გველი იგივეა, რაც ნატვრის თვალი.

ოსურ მითოლოგიაში ნატვრის თვალს ახასიათებს მრავალი თვისება: მას შეუძლია აგავსოს სიუხვით, უშვილოს გაუჩინოს შვილი, ოჯახს ააციდინოს უბედურება, მკვდარი გააცოცხლოს. ჭადოსნური ქვის აღნიშნულ თვისებებს კარგად აღწერს ქვემოთ მოყვანილი ტექსტი.¹⁰

სოსლანმა გადაწყვიტა საყვარელი საცოლე ბედუხას საფლავისათვის სამი დღე და ღამე ედარაჯა. დამწუხრებული და უნუგემო სოსლანი დაუდგა დარაჯად ძვირფას საფლავს. ჩელებსართაგის ულამაზიანი ასულის დაღუპვის მესამე დღეს სოსლანმა შეამჩნია გველი, რომელიც ხვრელიდან გამოძვრა და პირდაპირ მიცვალებულისაკენ გაემართა. მან მახვილით შუაში გაჰკვეთა გველი. გველის უკანა ნაწილი ადგოლზე დარჩა, წინა ნაწილი კი კვლავ ხვრელში შეძვრა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოძვრა ხვრელიდან პირში ნატვრის თვალით.

გველმა ნატერის თვალი მოკვეთილ ნაწილს გაუსვა, უცბად გამთელ-
და და ხვრელისკენ გაქანდა. სოსლანი წამოხტა, მახვილით მოკლა
გველი. პირიდან ამოაცალა ნატერის თვალი და ბედუხას ჭრილობას
გადაუსვა, ქალი მაშინვე გაცოცხლდა¹¹...

ამრიგად, ოსეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ძველი და შუა
საუკუნეების ნივთიერი კულტურის ნიმუშები უდავოდ მოწმობენ
ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული ცხოვრების საკმაოდ მა-
ღალ დონეს.

არქეოლოგიური ნივთების მხატვრულ-დეკორატიული დამუშა-
ვება პირდაპირ კავშირს ავლენს ოსი ხალხის ფოლკლორთან, რწმენა —
წარმოდგენებთან; სწორედ აღნიშნულ ეპოქაში უნდა ჩაყროდა სა-
ფუძველი ხელოვნების ცალკეულ დარგს. მათ შორის სანახაობრივ-
თეატრალურსაც.

თეატრალური ელემენტები ოსურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში

ხელოვნება ადამიანის გრძობათა გამოხატვისა და გარდასახვის თანდაყოლილი მონაცემების საშუალებაა, რომელსაც მოქმედების სტიმულს აძლევს ცალკეული პერსონაჟის ინდივიდუალური შინაგანი სამყარო. ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური დასკვნით, გარდასახვა „არ არის უბრალო, უშუალო, სარკისებურ მკვდარი აქტი, არამედ რთული, გაორებული, ზიგზაგისებური აქტია, რომელიც თავის თავში შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის გამოვლენის შესაძლებლობას“.¹²

რუსული კრიტიკული ლიტერატურის მამამთავარი, გასული საუკუნის რეალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი ბ. ი. ბელინსკი ხალხთა ისტორიის საწყისების დასადგენად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ყველა ერის ზეპირსიტყვიერების შესწავლასა და მის ამ თვალსაზრისით მეცნიერულ კვლევა-ძიებას. კრიტიკოსის აზრით, ფოლკლორის, კერძოდ ზღაპრებისა და ლეგენდების მეშვეობით შესაძლებელია ადამიანთა ზნე-ჩვეულებების, ურთიერთდამოკიდებულების, მათი ხელოვნების, კულტურის, ეთიკისა და მსოფლმხედველობის სურათის აღდგენა უძველესი დროიდან.

ხელოვნება ადამიანთა საზოგადოების განვითარების უძველეს საფეხურზე ვითარდებოდა ხალხური შემოქმედების (მითოლოგია, ფოლკლორი და სხვა) ფორმით, ხალხური შემოქმედების საწყისები კი წინაკლასობრივ საზოგადოებაში ჩაისახა.

ადამიანთა კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითადი საწყისები ფოლკლორის დაუკავშირა პროლეტარული ლიტერატურის და სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ, რომელმაც მთელი თავისი არსებით შეგნებულად მტკიცედ იწამა ხალხური ზეპირსიტყვიერება: უძველესი წარსულიდან ფოლკლორი ისტორიის უცილებელი და თავისებური თანამყოფელია.¹³

ფოლკლორული წყაროების მეცნიერული შესწავლის საფუძველ-

ზე თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ოსეთშიც ხელოვნება უძველეს დროში ჩაისაბა და, რა თქმა უნდა, თანდათანობით ვითარდებოდა საზოგადოებრივ განვითარებასთან ერთად. იმის გამო, რომ ოსები XIX საუკუნის დამდეგამდე უდამწერლო ხალხი იყო, უძველესი ხელოვნების ნიმუშები არ შემოგვრჩა და, ფაქტიურად, ოსური ხელოვნების ზოგიერთი სახის არსებობაზე ისტორიული არგუმენტებით მსჯელობის საშუალება არა გვაქვს. სამაგიეროდ, ოსი ხალხის მდიდარი ხალხური ზეპირსიტყვიერება, მათი წესები, ზნე-ჩვეულებები, მამაპაპური ტრადიციები საშუალებას გვაძლევს, ვეძებოთ და გამოვიკვლიოთ ამ საინტერესო ხალხის ხელოვნების ნიმუშები და კერძოდ თეატრალური ხელოვნების საწყისების გამომხატველი ელემენტები, რომლებიც უხვად გვხვდება ოსურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ოსური ხალხური მუსიკის ჩაწერაში დიდი წვლილი მიუძღოდა კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძეს. იგი მალაღ შეფასებას აძლევდა ოსებისა და, საერთოდ, კავკასიელი მთიელი ხალხების მუსიკალურ კულტურას. 1926 წელს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ ვ. დოლიძე წერდა, რომ ყველა თავისი შესაძლებლობის წარმოსადგენად როცა მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეგროვდება ხალხი, მაშინ კავკასიელები, კერძოდ ოსები, წარსდგებიან იქ თავისი ხალხის უამრავი, მრავალფეროვანი მომხიბლავი სიმღერებით. მხოლოდ მაშინ „გადიდებულბული“ ევროპა შეიცინობს, თუ რა მუსიკალური კულტურა გააჩნია კავკასიის მთიელებს¹⁴.

ცხადია, დიდი კომპოზიტორისა და მუსიკისმცოდნის ეს შეფასება მეტყველებს იმაზე, რომ მთიელებში ხალხური შემოქმედება და ხალხური ხელოვნება განვითარების მაღალი დონითა და თვითმყოფლობით გამოირჩეოდა.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებას უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, ოსური ლიტერატურის გამოჩენილი პუბლიცისტი ალექსანდრე თიბილოვი. მისი აზრით, ოსურ ფოლკლორში ნათლად ჩანს ამ ხალხის უძველესი პერიოდის ცხოვრების ამსახველი სურათები, მათი ზნე-ჩვეულებები, მყარი და მდიდარი მსოფლმხედველობა. ამიტომ, ვისაც სურს შეისწავლოს ოსეთის წარსული, მას დიდად დაეხმარება ხალხური სიბრძნის — ზეპირსიტყვიერების მონაცემები.¹⁵ დიახ. ნათქვამი ჭეშმარიტა, ფოლკლორი ხომ ერთგვარი ბიოგრაფიაა მისი შემომქმედი ხალხისა. ბერძნული ხელოვნებას საწყისებს თუ მივყავებით, მაშინ დავრწმუნდებით. რომ ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც... ასევე ითქმის ძველი ქართული სანახაობრივი ხელოვნების შესახებაც. ეს უკანასკნელი მითოლოგიით საზრდოობდა: მითოლოგიიდან იხვეჭდა მასა-

ლას სანახაობის განსახიერებისათვის. ამ მოსაზრების გავრცელება შეიძლება ოსური სანახაობრივი ხელოვნების წარმოშობაზეც.

ფოლკლორულმა ნაწარმოებებმა — წერდა ცნობილი კრიტიკოსი ხაბი-ბათირ არდასენოვი, — უდავოდ დიდი გავლენა მოახდინეს ადამიანის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებისა და გაღრმავების საქმეში.¹⁶

„მართებული იქნებოდა თუ ვიტყვიდით, — ვკითხულობთ დ. ჯანელიძის ნაშრომში, — რომ ძველი ქართული ტრაგედია თავისი სალექსო წყობითა და მეტყველებით ხალხურ პოეზიურ სიტყვიერებიდან გამომდინარეობდა“: ანდა „დიდ თონეში, — გვატყობინებს დ. ჯანელიძის სხვა ნაშრომი, — შემონახული დათო-ბერიკელე სანახაობის სიუჟეტი ბევრი დეტალით ემთხვევა ამ ძველ სარწმუნოებრივ თქმულებას (დათვნა შეირთო მარიამი ცოლად), რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ძველი ქართული სიტყვიერების წყარო. მათვე სათავე მითებში უნდა ვეძებოთ“.¹⁷

მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის მაქსიმ გორკის აზრით — მშრომელი ხალხის ისტორიის ცოდნა შეუძლებელია ზეპირსიტყვიერი ხალხური შემოქმედების ცოდნის გარეშე. ხალხური შემოქმედება განუწყვეტლევ და აშკარად ახდენდა გავლენას მწიგნობრული ლიტერატურის ისეთ დიდ ნაწარმოებებზე, როგორც არის მაგალითად „ფაუსტი“. „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“, „ვანთავისუფლებული პრომეთე“ და სხვა მრავალი. უძველესი დროიდან ფოლკლორი ჩამოუშორებლად და თავისებურად ეთანამგზავრება ისტორიას. ხალხურ შემოქმედებას თავისი შეხედულება აქვს ლუი მეცხრის და ივანე მრისხანის მოღვაწეობის შესახებ, და ეს შეხედულება ძირითადად განსხვავდება სპეციალისტების მიერ შეთხზულ ისტორიის შეფასებ-საგან“.¹⁸

მდიდარი ოსური ფოლკლორის მონაცემების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ოსური ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ჩასახვა-განვითარების პროცესის ჩვენება.

ოსური ზეპირსიტყვიერების ძეგლები გამოირჩევიან თემის აქტუალობითა და ტექსტის სიმდიდრით, — წერს ოსური ფოლკლორის ცნობილი მკვლევარი თ. ხამიციავა, — მათში უხვად გვხვდება უანრთა მრავალფეროვნება. სიუჟეტების სიუხვე და მაღალი მხატვრული დონე. ხალხის აზროვნებამ ჩვენს დრომდე შემოგვინახა ის უძველესი ტექსტებიც კი, რომლებიც საზოგადოებაში აღმოცენდნენ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VII—VI სს.¹⁹

ოსურ ხალხურ შემოქმედებას ასევე უდიდეს შეფასებას აძლევდა ცნობილი რუსი ეთნოგრაფი და კავკასიის ისტორიის მკვლევარი

ე. მარკოვი, რომელიც აღნიშნავდა, რომ ოსები საინტერესონი არიან არა მარტო საყოფაცხოვრებო და რელიგიური ცრუმორწმუნეობით, არამედ უფრო საინტერესოა მათი ღრმა ორიგინალური ხალხური პოეზია. ამ ხალხს ისეთი უძველესი ეპოსი აქვს, რომ ძნელად მოიპოვება სხვა მისი მსგავსი.

ოსური ხალხური სიმღერებით, ზღაპრებით, საგმირო თქმულებებით შეიძლება შეივსოს ტომები²⁰.

ოსეთის ისტორიისა და კულტურის მკვლევარებმა, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებშიც, ოსური კულტურისა და ხელოვნების უშრეტ წყაროდ აღიარეს ოსური ფოლკლორის ბრწყინვალე ნიმუში — გმირული „ნართების ეპოსი“, რომლის არქაულ წარმოშობას გვიდასტურებს თავის ნაშრომებში ოსური კლასიკური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ხალხური ზეპირსიტყვიერების შესწავლის დიდი ენთუზიასტი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე კუბალოვი. იგი მაღალ შეფასებას აძლევდა ოსურ ეროვნულ ფოლკლორს.

ვინაიდან, ოსური ზეპირსიტყვიერების მწვერვალს წარმოადგენს ოსური კულტურის მარად უქცნობი ძეგლი „ნართების ეპოსი“ და მასვე საპატიო ადგილი უკავია მსოფლიო ფოლკლორის შედევრთა შორის, სადაც ასე უხვად გვხვდება თეატრალური ელემენტების ამსახველი სურათები, საკიროდ ჩავთვალოთ, უფრო ფართოდ შევჩერდეთ ზეპირსიტყვიერების ამ უნიკალურ ქმნილებაზე.

ცნობილი ნართოლოგების — პროფესორ ეორჟ დრუმეზილისა და ვასილ აბავეის ფუნდამენტალური გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ „ნართების ეპოსის“ უძველესი სიუჟეტები წარმოიშვნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII—VII საუკუნეებში; ნართებში აღწერილი სურათები გამოხატავენ ოსების უძველესი ცხოვრების წყობას. თვითონ ოსებიც ძველ თქმულებებსა და სიმღერებში თავიანთ თავს ნართებს უწოდებდნენ... როგორც ვს. მილერმა და ე. დრუმეზილმა დაამტკიცეს, ნართების ეპოსის მოტივები და სიუჟეტები ძალიან ახლოს დგანან კავკასიის უძველეს ხალხის — ალანების ზნეჩვეულებებსა და საზოგადოებრივ წყობასთან, და ალანები ხომ იგივე ოსები არიან.²¹

სამართლიანად ამბობს არქეოლოგი და მკვლევარი ვლადიმერ კუზნეცოვი, რომ ძველი პერიოდის ალანების ხელოვნება საუცხოო ნიმუშებითაა წარმოდგენილი²². თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია იმისთვის, რომ დაბეჭდვით ითქვას ამ სამეცნიერო და მხატვრული მნიშვნელობის საგანძურთა შესწავლა თანამედროვე მეცნიერთა შეხედულებებსა და თეორიებში მრავალ ცვლილებას გამოიწვევს.

აქვე უნდა აღინიშნოს, ნართების ეპოსი კავკასიის ხალხებში ფართოდ არის გავრცელებული, რაც კმნიდა იმის ფორმალურ საფუძველს, რომ იგი კავკასიის ხალხთა საერთო ეპოსად ჩათვალით, უფრო მეტიც. რიგ ჩრდილო კავკასიელ ხალხებს იგი თავის ეროვნულ ეპოსად მიაჩნდათ.²³ ამ საკითხთან დაკავშირებით, ნართოლოგებმა კერძოდ ფრანგმა ფოლკლორისტმა ჟორჟ დიუმევილიმა ამ ბოლო წლებში დასაბუთებულად დაასკვნა, რომ: სწორედ ოსებში, რა თქმა უნდა, უფრო მეტად მათ უძველეს წინაპრებში ჩამოყალიბდა მისი მთავარი გმირები. ვიცი, რომ ამით გულს ვატყენ ჩერქეზ და აფხაზ მეგობრებს. მაგრამ ჭეშმარიტება მეგობრობაზე მალლა დგას, ამიტომ ვამტკიცებ — „ნართების ეპოსის“ ფუძე ოსურია.²⁴

ცნობილმა ოსმა ნართოლოგებმა (ვ. და ზ. აბაევები, მ. თულანოვი, ალ. ბიზროვი, ი. გაგლოთი და სხვა) თავიანთ შრომებში საფუძვლიანად დაასაბუთეს, რომ „ნართების ეპოსი“ პირველად აღმოცენდა ოსი ხალხის უძველეს წინაპრებში.

უდაოა, — წერდა ოსური გრაფიკისა და ფერწერის ფუძემდებელი. ოსური ფოლკლორის უანგარო მკვლევარი-ნართოლოგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და ჩრდილო ოსეთის ასსრ სახალხო მხატვარი მახარბეგ საფარის ძე თულანოვი, — თქმულება ნართებზე ღრმა შინაარსიანი და ხატოვანი საუნჯეა, რომელშიც ფართოდ არის გაშუქებული ის პერიოდი, როცა ოსები ვიწრო ხეობებსა და გაუვალ მთებში კი არ იყვნენ კარჩაკეტილები, არამედ ცხოვრობდნენ დიდი მდინარეებისა და ზღვების სანაპიროებზე, ნადირობდნენ ფართო სტეპებში, ლელქაშში, ებრძოდნენ მრისხანე მეზობლებს.²⁵

ისტორიკოსების დასკვნით, ოსები ჩრდილო კავკასიის სტეპებში ცხოვრობდნენ ჰუნების შემოსევაამდე, ე. ი. IV საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვით.

მ. თულანოვი უფრო ღრმად იჭრება ნართების პრობლემის არსში და ხეამალა აცხადებს თავის მოსაზრებას, და მასთან ერთად ამტკიცებს. რომ ნართების ყველა ზნე-ჩვეულება უძველესი პერიოდის ოსეთის წეს-ადათებია, რომლებსაც დღესაც ვხვდებით თანამედროვე ოსი ხალხის ცხოვრებაში.²⁶

ბევრი მკვლევარი აღნიშნავს ნართების ადათ-წესების იგივეობას სკვითებისა და სარმატების ადათ-წესებთან. ამ აზრს ანვითარებს გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი-კავკასიოლოგი ჟორჟ დიუმევილი, რუსი მკვლევარები ვ. მ. ბონგარდლეინი და ე. ა. გრანტოვსკი, ოსი ლინგვისტი-ნართოლოგი ვ. ი. აბაევი და სხვა.

სწორედ ნართების ეპოსის მონაცემების საფუძველზე ადადგინეს მკვლევარებმა ოსი ხალხის უძველესი ყოფისა და კულტურის,

სოციალური ვითარების ზნე-ჩვეულებების, რწმენა-წარმოდგენის სურათი.

მიუხედავად იმისა, რომ თქმულებებში ვხვდებით მითოლოგიურ და ზღაპრულ ელემენტებს, მაინც მათში უდიდესი მხატვრული რეალიზმითა და ცხოვრებისეული სიმართლით არის ასახული ყოფა, ზნე-ჩვეულებები, პლასტიკური სრულყოფილებით აღსავსე დაუეიწყარ სახეებში ცოცხლადაა წარმოდგენილი შორეული წარსულის შეხედულებები და ხასიათები.²⁷

ნართების ეპოსის თითქმის ყველა თქმულებაში დიდი ადგილი უკავია ცეკვა-სიმღერასა და სხვადასხვა თეატრალიზებულ სანახაობას. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ა. მაგომეტოვი, რომ ნართების თამაშობები თავიანთი არსით ნამდვილი სახალხო ოლიმპიადებია; აქ ეპოსის გმირები ასპარეზობენ ხალხური ხელოვნების თითქმის ყველა დარგში. მათ შორის ცეკვაში, რომელსაც ნართები სამხედრო სპორტულ თამაშობებზე ნაკლებ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ.²⁸

ანტიკური პერიოდის ბერძნული თეატრის მსგავსად, ოსური თეატრალური ხელოვნების ელემენტებიც სხვადასხვა სანახაობებში, ცეკვა-სიმღერებში ვლინდებოდა. მათ შესახებ მნიშვნელოვან მასალას იძლევა ნარსების ეპოსის ზოგიერთი თქმულება. სიმღერა ყოველთვის სრულდებოდა მუსიკალური აკომპანემენტის თანხლებით. ოსების უძველეს მუსიკალურ ინსტრუმენტად, ნართების ეპოსის მიხედვით, ითვლება ფანდირი (სიმებიანი საკრავი). ნართების ძირითადი გასართობი ცეკვა-თამაში იყო. მასში მონაწილეობას იღებდა ყველა, დიდი თუ პატარა. ნართების ეპოსის ერთ-ერთ უძველეს თქმულებაში — „სათანას დაბადება“ ნათლად ჩანს ნართების დიდი გატაცება ხელოვნებისადმი. ხამიცი, ნართების ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი დარაჯობს აკლდამას, სადაც მისი გარდაცვლილი დედა დაასვენეს. მას ევალემა გათენებამდე არ მოსცილდეს აკლდამას, რათა არ დაუშვას დედის ცხედრის წაბილწვა. მაგრამ მოესმა თუ არა ტაშ-ფანდურის ხმა, მაშინვე დაავიწყდა თავისი მოვალეობა ხამიცს, მიატოვა აკლდამა. და საცეკვაო მოედანზე ამოყო თავი, ჩაება თანასოფლელთა ფერხულში. როგორც თვით ეპოსშია მოცემული:

„ვისაც ელიძათ, ენც ზუხუ იყენენ —
ცეკვა-თამაში დაიწყეს ხელად,
ფანდურის ხმაზე სიმღერა იწყეს,
გაშხიარულდნენ უსმელ-უქმელად.
შორს გაისმოდა ლხინის ხმა ტუბილი,
თითქოს ნართების იყო ქორწილი.
ფანდურის ხმა და ხალხის სიმღერა
ხამიცს ძალიან ენატრებოდა.
როცა შეხვდა ცისკრის ვარსკვლავსა

წამს გაიფიქრა ზამიცმა გულში:
აქ რალას ვდგავარ, შოღი მეც წავალ
და ჩავებმები სოფლის ფერხულში! 29

ვ. აბაევის აზრით, „ფანდირს“ სკეითებიც აცნობდნენ,³⁰ ეს კი ზე-ტყველებს მის აღრინდელ წარმოშობაზე. ნართების ეპოსში ფანდირის წარმოშობა დაკავშირებულია ნართი სირდონის დიდ პირადატრაგედიასთან. თქმულება „სირდონის ოჯახის დაღუპვის“ თანახმად, გვალვამ გაახმო ველ-მინდორი, დადგა შიმშილისა და გაჭირვების წელი. ნართები შიმშილით იხოცებოდნენ. გაიძვერა სირდონმა გამოსავალი ნახა: მენახირე სოზირიყოს მოპარა ურიზმაგის შავი ძროხა, დაკლა, ხორცი დიდი ქვაბით შედგა ცეცხლზე, ქვაბთან დატოვა თავისი სამი შვილი, თვითონ კი ნახირისკენ³¹ გასწია. ნიხასში მან მასხრად აიგდო სოზირიყო. ეს უკანასკნელი მიხვდა, რომ სირდონმა ძროხა მოიპარა. სოზირიყო შევიდა სირდონის ბინაში, ნაკუწ-ნაკუწად აქცია მისი შვილები, ტყავში გაახვია ძროხის მოხარშული ხორცი და დაბრუნდა უკან. ეს ტრაგიკული სცენა თქმულებაში აღწერილია შემდეგნაირად:

სოზირიყო სახლში შევარდა სწრაფად
და ურდულებით ჩავეტა კარი,
ქვაბი ცეცხლიდან დაბლა ჩამოდგა,
იმიშველა ხმალი — პირმოღვარი
და ავ სირდონის სამივე ბიჭი
მან ასო-ასოდ აქუწა ხელად,
შემდეგ მოხვეტა და ბნელ კუთხეში
მიყარა იქვე წარბშეუხრელად.³²

ნართების ეპოსის ეს თქმულება ღრმა ტრაგიკულ სიუჟეტზეა აგებული. სევდით აღსავსე გონებამახვილმა სირდონმა უფროსი შვილის მარჯვენა მკლავს ოვალური ფორმა მისცა, ზედ გააბა დედის თმებიდან³³ წამოღებული თორმეტი სიმი,³⁴ მივიდა ნიხასში და მწუხარებით ააკვნესა ახლად აწყობილი საკრავ-ინსტრუმენტი:

სამ შვილს მან მისცა ერთი საფლავი,
მხოლოდ დატოვა დაუმარხავი
უფროსი ვაჟის მარჯვენა მკლავი.
ნიშიდან დედის თმები აიღო
და შვილის მკლავზე ის თორმეტ სიმაღ
ზედ გადაკიმა და იმ მკლავ-ფანდურს
გულის ქვითინი ცრემლად აწვიმა,
ჩამოჭდა ქვაზე, ჩამოჰკრა სიმებს,
აატირა და აამეტყველა.
ფანდურის „ღენესამ, სირდონის მოთქმამ —
დაამწუხარა ამ ქვეყნად ყველა.³⁵

ამის შემდეგ ნართებში ვხვდებით ყისფანდირს (თორმეტსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი — რ. ჩ.), ამასთან, თანახმად ეპოსისა,

ნართები ყისფანდირის გარდა კიდევ ხმარობდნენ სტივოს, სალამურს და სხვა საკრავ ინსტრუმენტებს.

გასული საუკუნის ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სავა ქოქიევი თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევში გვატყობინებს, რომ ოს ხალხში გავრცელებულია სამი სახის მუსიკალური ინსტრუმენტი: ორსიმიანი ვიოლინო, მეცხვარის სალამური და არფა.³⁶

თქმულების თანახმად, ყისფანდირი ნართებს სირდონმა შეუქმნა. მან ყისფანდირის სიმების აკვნესებაში გამოხატა შვილების დაღუპვით გამოწვეული უსაზღვრო სევდა და მწუხარება. მწუხარება გადაედო ნართებსაც, რომელთაც აპატიეს სირდონს დანაშაული და კვლავ მიიღეს თავის საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ სევანური თქმულებით ჩანგის წარმოშობა შვილის დაღუპვით გამოწვეულ მწუხარებას უკავშირდება. ამ თქმულებას გადმოსცემს პროფ. დ. ჭანელიძე: „ზემო სევანური თქმულებით, მოხუცს ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი, რომლის ვაჟკაცობის სახელი მთა-სა და ბარში იყო გავრდნილი. ეს ვაჟკაცი ერთ დღეს ავად გახდა და ცოტა ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მთელმა თემმა შავი ძაძები ჩაიცვა. მოხუცი მამის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. უკანასკნელ ეამს ადგა მოხუცი, ააქრა შვილის გვამს მარჯვენა მკლავი, მოლუნა სამ კუთხად იდაყვში, სიმებად გააბა ვაჟის ოქროს ქოჩრის თმები და ზედ დაადინა თავის მწუხარებისა და მოთქმის ცრემლები. ამნაირად, — ამბობს ხალხი, — ჩანგის ტანი მკლავია იმ ვაჟკაცისა, სიმები — ოქროს თმები და ჩანგის მიბნედილი მწუხარე ხმები კი — ვაჟკაცის მამის მღულარე ცრემლებით“³⁷. როგორც ვხედავთ, ყისფანდირისა და ჩანგის შექმნას კავკასიის ხალხებში ერთი საერთო საფუძველი აქვს, რაც მათ შორის გარკვეული კულტურული ისტორიული ურთიერთობის დამადასტურებლად უნდა მივიჩნიოთ. ნართების მიდრეკილება და დიდი სიყვარული ხელოვნებისადმი იქიდანაც ჩანს, რომ ისინი ეშმაკ და გაიძვერა სირდონს ყველა დანაშაულს აპატიებენ, მის ავკაცობას მოითმენენ და აიტანენ, ოღონდ ყოველდღე მათთან იაროს თავისი საკრავით და მგრძნობიარე ჰანგებით გაართოს ნიხასის დამსწრე საზოგადოება. სირდონიც სიამოვნებით ასრულებს ამ საპატიო მისიას, ვინაიდან მისი ძირითადი „პროფესია“ ხომ სხვადასხვა ფორმის, ხასიათის, სიუჟეტისა და ჟანრის სანახაობის წარმოდგენა-შესრულება იყო.

ამის შემდეგ ეპოსში ხშირად ვხვდებით ამ მუსიკალური ინსტრუმენტის ხსენებას. ყველა ნართი ფლობს ამ ინსტრუმენტს, ყველას შეუძლია მასზე დაკვრა. გმირობითა და გამბედაობით ცნობილი ჰანძის ძე საბა ეწვია ურიზმაგის სასტუმრო ოთახს. მასპინძლები სტუმარს არ შეეგებნენ, სასტუმრო ოთახი ცარიელი დახვდა. დიდი ხნის

ლოდინის შემდეგ სტუმარმა კედლიდან ჩამოიღო სოზირიყოს თორმეტსიმიანი ფანდირი, დაუკრა და ლეგენდები დაამღერა. მომღერალმა მაშინვე შექმნა ტექსტი იმის შესახებაც, რომ მასპინძლები ადგილზე არ დახვდნენ და ეს ტექსტიც ფანდირის ხმაზე მოთქმასავით დააკენესა. დაინიშნა საბა ურიზმაგის ქალიშვილზე და ერთი წლის შემდეგ კვლავ მიაკითხა საცოლეს, ამჯერად წვერმოშევებული, სათანამვერ იცნო სასიძო და სათანადო პატივი არა სცა. სტუმარმა კვლავ ჩამოიღო თორმეტსიმიანი ფანდირი და თავისი მწუხარება ააკენესა.³⁸

ნართების ეპოსის თანახმად, ფანდირის შექმნით დასაბამი მიეცა მუსიკალური ხელოვნების განვითარებას ნართებს შორის. საერთოდ, ოსეთის თითქმის ყველა ხეობის ნიხასში საპატიო ადგილს იკავებდნენ ხალხური ხელოვნების წარმომადგენლები. ხდებოდა ისეც, რომ ერთ ნიხასში შემთხვევით ხვდებოდა ორი ხელოვანი. ამ შემთხვევაში ისინი სადმე მოფარებულში რჩეულთა თანდასწრებით ერთმანეთს ეკობრებოდნენ და მხოლოდ გამარჯვებულს ჰქონდა უფლება, თავისი ხელოვნება, ძირითადად კი მუსიკალური ინსტრუმენტებით, ნიხასში საჯაროდ წარმოედგინა.

ნართების ეპოსმა შემოგვინახა თქმულება მუსიკალური ხელოვნების უბადლო ოსტატზე — ახას შვილ აცამაზზე. მას ორი აღმზრდელი ჰყავდა — მშობელი დედა და ძიძა, რომელნიც უმღეროდნენ ხალხურ სიმღერებს. აცამაზი უდრეკ და მხნე ვაჟკაცად გაიზარდა. გაეყარა იგი თავის ორ ძმას. უფროს ძმებს მიწა და ქონება ერგოთ, ხოლო უმცროსს — აცამაზს მხოლოდ სალამური. იმის გამო, რომ მას ბავშვობიდანვე მუსიკის სიყვარული ჰქონდა ძვალ-რბილში გამჭდარი, შუაკაცებმა მას სალამური არგუნეს. ნართელ ვაჟკაცს უსაზღვროდ შეუყვარდება შავი მთის ბატონის, მოხუც საინაგის ერთადერთი ქალიშვილი აგუნდა.

აგუნდა უყვარს ნართელ ვაჟიშვილს
— აცამაზს, ძლიერ უყვარს აგუნდა,
თავის შავ ვაცებს ყორულში სტოვებს
და აცამაზი შავი მთის წვერზე
ავა, დაჯდება კაეოვან კლდეზე,
ის ააკენესებს ჯადო სალამურს,
და მთა-ბარს მოჰყენს ჰანგებს საამურს.³⁹

ხელოვნება სწორედ იმიტომ იქმნებოდა და იქმნება, რომ ადამიანებმა შეიგრძნონ, შეითვისონ და გაიზიარონ. ხელოვნების ენით საუბარი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ყველაზე უფრო უტყუარი, მაღალი და ესთეტიკური ფორმაა. რომელიც დასაბამიდან მოზარდი თაობის მუდმივი მოთხოვნილების საპასუხოდ და საზრდოდ უშრეტ ნაკადად მოედინება ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების

კვლადაკვალ. ფოლკლორისტ თამარა ხამიციავას აზრით: „ს-მღერით ახერხებდნენ თავისებურ საიდუმლო აზრებს, რომელსაც გებულობდა მხოლოდ ის, ვისი მისამართითაც იქმნებოდა ესა თუ ის მუსიკალური ფრაზა“.

ეპოსის ერთ-ერთ ლეგენდაში ურიზმაგი ტყვედ ვარდება. მისი ტყვეობის ამბავი ნართებს რომ გაეგოთ, მან ჯადოსნური სიმღერა წამოიწყო და მისი საშუალებით გააგებინა, თუ როგორ დაიხსნან ნართებმა თავიანთი თანამემამულე. ასევე სიმღერის საშუალებით, გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ცნობილმა ოსმა სახალხო გმირმა ხაზბი ალიკაევმა თანამემამულეებს აუწყო, თუ რა საფრთხე მოელოდათ ყაბარდოელი თავადებისგან. ხალხური ლეგენდის თანახმად, შავი მთის მეცხვარემ სალამურის დაკვრით მთიდან მთამდე გააგებინა თეთრი მთის მეცხვარეს მოახლოებული ხიფათი. ხოლო ნართების ეპოსის თანახმად, აცამაზის სრულყოფილად ფლობს სალამურზე დაკვრის ხელოვნებას. სწორედ ამ უბაღლო ხელოვნებაში ოსტატურად ააქლერა თავისი საყვარელი ინსტრუმენტი და მგრძნობიარედ შესრულებული მუსიკის მეშვეობით აღწევს იგი მიზნის შესრულებას.

აცამაზის დაკვრა აჯადოებს ადამიანებსა და ცხოველებს, სულიერ და უსულო ბუნებას. თქმულების ზოგიერთი პასაჟის წაკითხვისა თუ მოსმენის დროს უნებურად გაგონდება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპი, რომლის მიხედვითაც ავთანდილის სიმღერის ხმაზე „სმენად მხეცნი მოვიდიან“. არსებობს აცამაზზე თქმულების რამდენიმე ვარიანტი და ყველა ტექსტს ერთი და იგივე სიუჟეტი აქვს. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ზოგან თქმულება მოცემულია ლექსის სახით, ზოგან კი პროზით.

ოსური ხალხური საკრავის — ფანდირის შექმნაზე არსებობს სხვა ვერსიებიც, რომლებიც დაცულია თქმულების ვარიანტებში. მათ შორის საერთო ის არის, რომ მუსიკალური ინსტრუმენტის შექმნა დაკავშირებულია ღრმა დრამატულ განცდასთან (დიდი სიხარული ან ღრმა მწუხარება).

ნართების ეპოსის თქმულებაში „მოხეტიალე მხედარი“ მოცემულია ფანდირის შექმნის სწორედ ასეთი განსხვავებული ვერსია. თქმულების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი — ჭორიკანა ქალის ვაჟი-შვილი, ცდილობს თავი მოაწონოს სალხაის ულამაზეს ქალიშვილს, რომელმაც გათხოვება დააპირა. სასიძომ ხისგან ლამაზად გამოთალა ფანდირი, მივიდა სალხაის ციხე-კოშკთან, აახშიანა თავისი საკრავი და გულში ჩამწვდომად დაამღერა სხვადასხვა თქმულება. მის სიმღერას გატაცებით უსმენდა ირგვლივ სამყარო, მაგრამ სასახლის ულამაზესი ქალიშვილის ყურადღება ვერ მიიპყრო, რადგანაც მისი

გული მოხეტიალე მხედარმა გრძნეულობით მოხიბლა. გამწარებულმა ვაჟმა ფანდორი კედელს მიანარცხა და დაამსხვრია. მეორედ უკეთესი ფანდორი გამოთალა და ახლა უფრო მომაჯადოებლად ააუღერა იგი. მომხიბლავმა მუსიკამ თავისი გაიტანა, სალხაის ქალიშვილის ყურადღება მიიპყრო ვაჟმა. ქალმა სიმართლევც არ დაუმალა და აღიარა, რომ მას მოსწონს მოხეტიალე მხედარი. ჭორიკანა ქალის ვაჟიშვილმა შესთავაზა. წამოვიდეს ჩემთან ასპარეზზე მოხეტიალე მხედარი და იქ გამოვცადოთ ჩვენი ვაჟაკობაო. ცხადია, ქალ-ვაჟის დაახლოვება მოხდა ხელოვნებით. კერძოდ კი მუსიკისა და განცდის მეშვეობით.

ნართებში დღესასწაულს, ან სხვადასხვა მიზეზით მოწყობილ ნადიმს აუცილებლად თან სდევდა სახალხო სანახაობის საჯაროდ შესრულება ხელოვნების სხვადასხვა დარგიდან. ნართების უფროსი თაობა ინტერესით ადევნებდა თვალს ამ სანახაობას და სათანადო შეფასებას აძლევდა, იწონებდა, ან იწუნებდა მას:

ხელოვნების თითქმის ყველა კომპონენტია ერთად შერწყმული ნართების ეპოსის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟში — შეუღრეკელ, სიტყვამახვილ და ცეკვის ჯადოქარ სოზირიყოში, რომელსაც სანახაობის დროს ბადალი არ ჰყავდა ნართთა საზოგადოებაში. ეპოსიდან ვლინდება. რომ მტრებთან ბრძოლაში გამარჯვებული ნართები ყოველთვის იხდიდნენ ნადიმს, სადაც ძირითადად ყურადღებას აქცევდნენ სხვადასხვა სახის სანახაობებს. ხელოვნების თითქმის ყველა დარგში იმართებოდა შეჯიბრი, რომელიც მაყურებელში უფრო მეტ ინტერესს იწვევდა.

ერთ-ერთ ასეთ ნადიმზე მოწვეული ჰყავდათ უცხო მებრძოლი გმირი ჩელეხსართავი, რომელიც განთქმული იყო ვაჟაკობით და, ისევე, როგორც სოზირიყო, ხელოვნების დიდი ტრფიალი იყო. დამკვიდრებული ადათ-წესების მიხედვით, ახალგაზრდობა სხვადასხვა სანახაობების ჩვენებით იწყებდა შეჯიბრს. უფრო სწორად, ნართების დღესასწაული იყო თავისებური ოლიმპიადა, სადაც გამარჯვებულთ წინასწარ დაწესებული პრიზით ასაჩუქრებდნენ. პრიზიორი თავის რეპუტაციას შემდგომ დღესასწაულებზე უფრო ამკვიდრებდა, ვინაიდან პირველ ნომრად ყოველთვის უჩვენებდა თავის ოსტატობას წინადღესასწაულზე გამარჯვებული. ხელოვნების ასეთმა შეფასებამ განაპირობა ის, რომ ოსურ ფოლკლორში და საერთოდ ოს ხალხში სახალხო სანახაობები სრულდებოდა პროფესიული შემართებითა და დახვეწილი. სრულყოფილი არტიზტიზმით, როგორც ეს მოცემულია ეპოსის ერთ-ერთ თქმულებაში:

ნართების უხუცესებს სურთ, რომ გამოსცადონ ჩელეხსართავი, თუმცა სტუმარ-მასპინძლობის წესის თანახმად, სტუმარს პირდაპირ

არ მიმართავენ და არ იწვევენ საცეკვაოდ. მაგრამ ეს უკანასკნელი მიხედვება, რომ გამოწვევა მისი მისამართით არის, ამიტომ მოემზადება თავისი ოსტატობის საჩვენებლად ნართთა საზოგადოებაში. ურიზმაგმა იცის, რომ ნართებს შორის ცეკვის ჯაღოქარი — ხელოვნების მამამთავარი სოზირიყო. ამიტომ საასპარეზოდ გამოჰყავს სოზირიყო. ამ შემთხვევაში ჟიურის როლში გამოდიან თვითონ ნართების უხუცესები. თავომწონე ჩელესხართაგი არ ლაიბნევა, წინ წამოდგება, ჭამარს შეისწორებს და ამაყად მიმართავს საზოგადოებას: „ცეკვა-თამაშში მე შევეჯობრები ნართელ სოზირიყოს“. ცეკვის ამ ორმა ჯაღოქარმა შეჯობრების წინ საჯაროდ დათქვეს, რომ გამარჯვებული მიიღებს დამარცხებულისგან საჩუქარს — ამ უკანასკნელის ყველაზე ძვირფას არსებას, ან ნივთს. ჩელესხართაგისთვის ყველაზე საყვარელი მისი და იყო, ბოლო სოზირიყოსთვის კი საბრძოლო იარაღი. შეჯობრების შემდეგ წაგებული ვალდებულია დაუთმოს მოგებულს წინასწარ დაპირებული პრიზი.

გამოწვევის სცენის სიუჟეტი მძაფრი დრამატული დიალოგებისაგანაა შემდგარი. თქმულებაში მალალმხატვრულად და დინამიკურად არის აღწერილი სოზირიყოს ცეკვა. მან უბაღლო მხატვრული შესრულებითა და ტექნიკური დახვეწილობით მოხიბლა მაყურებელი.

რიგის მიხედვით ცეცხლთვალა ნართმა —
 სიზორიყომ იწყო ცეკვა თავიდან:
 ჯერ ითამაშა დაბლა მიწაზე,
 მერე ცეკვითვე ფინჯზე ავიდა.
 ის თამაშობდა, ცერზე დგებოდა,
 ცეკვაედა ჭაცხის პირზე პირველად,
 თვალმოუსწრებლად დასრიალებდა
 და ირხეოდა გასაკერველად,
 მაგრამ ფინჯიდან სოზირიყოს ცეკვით
 არ ჩავარდნილა ნამცეცი პურიც.⁴⁰

ეს იყო მართლაც ცეკვის ჯაღოსნურად შესრულება, რომელმაც ალტაცებაში მოიყვანა იქ მყოფი საზოგადოება. ლამაზად შესრულებული მისი ყოველი ილეთი — მეტყველი დრამატული მოქმედებით, ხელოვნების განუმეორებელ ფორმას იძლეოდა, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. სწორედ თქმულების ამ გადმოცემამ სოზირიყოს მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ცეკვის შესახებ, ააღებინა ხელში ფუნჯი საქართველოსა და ჩრდილო ოსეთის სახალხო მხატვარს, ოსური ფერწერის დიდოსტატს მახარბეგ თულანოვს და მეტყველი საღებავებით შეაქმნევინა უკვდავი ტილო „ნართების ნადიმი“. სადაც გმირი სოზირიყო ცეკვავს ცერებზე ხმლებით ჭაცხის პირებზე.

ხელოვნების ორი მესვეურის — სტუმრისა და მასპინძლის შე-

ჯიბრი გრძელდება. დადგა ჩელეხსართაგის ჯერი. ამ უკანასკნელმაც საოცარი ოსტატობით შეასრულა ცეკვა.

ახლა ხიზის-ძე — კობტა, ამაყი თითის წვერებზე მარდად ტრიალებს, ის თამაშობით ნართებს ანკვიფრებს: ვით შთის ჩანჩქერი, ისე სრიალებს, ხან ისარაგით ზეაერდება და თვის იარაღს უღერებს ნართებს, ხან ძირს ეშვება დაქრილ ჩიტივით და ჩიკორივით ბრუნავს, ცეცხლს ანთებს. მაშინ ნართები, წელთფროსობით, თავის ცირყებს და ხმლებს აგებებდნენ და გახარებულ იმათ პირებზე ჩელეხსართაგსა ზედ აცეკვებდნენ!⁴¹

1. ბოლოს ცეკვა აკმარეს და გააჩერეს ჩელეხსართაგი. უხუცესებმა (ყიურიმ) ბევრი იმსჯელეს, მაგრამ პირველობა ვერც ერთს ვერ მიაკუთვნეს. მაშინ მათ ღიასახლისს მოატანინეს ნართების ცნობილი სასმისი ვაცამონგა. რონგით⁴² სავსე ვაცამონგა თავზე დაიდგა სოზირი-ყომ და ისე ვირტუოზულად შეასრულა ჯადოქრული ცეკვა, მისი მიხრა-მოხრა ისე ელასტიურად ხდებოდა, რომ სასმისიდან წვეთიც არ დაიქცა. თეატრალური სანახაობა-პანტომიმა წარმატებით შეასრულა სოზირიყომ. თავზე შედგმული ვაცამონგათი ასევე უშეცდომოდ გაიმეორა სასცენო მოძრაობის ეს მეტად რთული ილეთი ჩელეხსართაგმაც, მაგრამ სანახაობის დასასრულს სასმისიდან რამდენიმე წვეთი მაინც დაექცა. ამის გამო სოზირიყოს მიაკუთვნეს პირველობა.

ნართები სხვადასხვა დღესასწაულების დროს, ძველი პერიოდის ბერძნებივით, გართობა-სანახაობებს მართავდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით. რომ ბერძნების დღესასწაულები დაკავშირებული იყო რელიგიურ მისტიკიკებთან, ნართების დღესასწაულები კი ეძღვნებოდა მტერზე გამარჯვებას, ბავშვის (ვაჟის) სახელის დარქმევას (ნომვარან), ქორწილს, საპატიო სტუმრის (ცითი ვახაგ) მიღებას და ა. შ.

ნართები ეპოსის მიხედვით რელიგიური ინდიფერენტშიმით გამოირჩეოდნენ, თუმცა ჰყავდათ თავიანთი მფარველი ღმერთები, რომელთაც თავისივე მსგავსებად წარმოიდგენდნენ. ღმერთებთან ნართების ურთიერთობა დიდი მოწიწებით არ გამოირჩეოდა. სწორედ მათ ასეთ სულიერ განწყობილებასთან იყო დაკავშირებული ის მდგომარეობაც, რომ საცხოვრებელ ბინებს სხვებთან შედარებით მალალ კარებს უკეთებდნენ, რათა ბინაში შესვლისას თავის დახრა ღმერთს მისთვის თაყვანისცემად არ მოეჩვენოსო.

ანტიკური პერიოდის ბერძნული თეატრის წარმოშობის პირველ ხანებში დრამატურგი, რეჟისორი და აქტიორი ერთი და იგივე პიროვნება იყო. ანალოგიური მოქმედების ამსახველი ტექსტები გვხვდება ნართების ეპოსში („ურბიშმაგის მოთხრობები“, „სირდონის

აპბები“ და სხვა). ნართების ეპოსის ცენტრალურმა პერსონაჟმა — გონებამახვილმა და ბრძენმა ურიზმაგმა სხვადასხვა პერიოდის სანახაობისათვის მრავალი ტექსტი შეადგინა, სადაც სხვებთან ერთად თვითონვე ამ სანახაობათა უშუალო მონაწილეა.

ზემოდასახელებული რამდენიმე თქმულების ავტორიც, როგორც ტექსტიდან ირკვევა, ძირითადად ურიზმაგია, მისი მითითებით და კარნახით მოქმედებენ სანახაობის მონაწილენი. ამავე დროს, თვითონაც ხომ ამ სანახაობის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილეა.

მაშასადამე, აზრი იმისა, რომ სანახაობისათვის წინასწარ ჩაფიქრებული სცენარი არსებობდა თუ არა, ვფიქრობთ, საეჭვო არ არის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბერძნული თეატრის ტრადიციების მსგავსს ვხედავთ ნართებთანაც. ბერძნებივით ნართებშიც დღესასწაულებთან დაკავშირებული თეატრალიზებული სანახაობების პირველსაწყისებში ცეკვა-სიმღერები და თამაშობები იყო, მაგრამ სანახაობისადმი განკუთვნილი წინასწარ ჩაფიქრებული ტექსტის სიუჟეტი თანდათან გაამდიდრეს და შეიყვანეს მოქმედი პირებიც.

ოსური სიმღერის სოლოს შემსრულებელს ბანს აძლევდა მომღერალთა გუნდი. როგორც ამას ოსური ანდაზა ადასტურებს, რომ ოსური სიმღერა ბანის გარეშე უიშველია⁴³.

სანახაობის პროცესში შეძლებისდაგვარად ყველა ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო მასობრივ წარმოდგენაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მის ოჯახს სასჯელი არ ასცდებოდა, როგორც ეს ნართების ერთ თქმულებაშია გადმოცემული: „ვინც დილით ადრე, მზის ამოსვლამდე სათამაშო მინდორთან არ გამოცხადდება, იმას მიწასთან გავასწორებთ. ისეთ დღეს დავაყრით, რომ საზოგადოებაში აღარ გამოესვლებოდეს“⁴⁴. როგორც ჩანს, ხელოვნებისადმი მიდრეკილება მეტ-ნაკლებად თითქმის ყველას ჰქონდა, ამიტომ აიძულებდნენ მონაწილეობა მიეღოთ სანახაობების მოწყობაში.

ხელოვნების ამ იშვიათ მოვლენას — ოსურ ხალხურ სანახაობებს, სადაც ერთად იყო შერწყმული მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, თეატრი, პანტომიმა, დიდ შეფასებას აძლევს ფრანგი ნართოლოგი ჟორჟ დიუმეზილი. მას, აზრის განსამტკიცებლად, მოჰყავს გასული საუკუნის ცნობილი ეთნოგრაფის — ჯანთიმერ შანაევის აღწერილი ტექსტი: „მოემზადნენ ალაგათები“⁴⁵: სასმელთაგან რაც ღმერთს შეუქმნია, ყველაფერი ჰქონდათ. შემდეგ მიიპატიყეს ნართები. სუფრასთან რიგ-რიგობით ადგილები დაიკავეს სტუმრებმა. პირველი რიგის ერთ თავში სუფრის უფროსად იჯდა ურიზმაგი, მეორეში — ხამიცი, მესამეში — სოზირიყო, ხოლო მეოთხე რიგში ფარსაგებიდან⁴⁶ იჯდა სუფრის თავში ხიზის შვილი — შეძლებული ჩელეხსართაგი. დაიწყო ნადიმი, წარმოთქვეს სადღეგრძელოები. მაგილებს ამარაგებდა სირდონი⁴⁷“.

ამის შემდეგ ე. დიუმევილი დეტალურად აღწერს სანახაობის მოქმედების მსვლელობას და შეჯიბრების ძირითად მიზანს, რომელსაც ზემოთ ჩვენც შევხეთ.

ოსური მასობრივი ცეკვა „სიმდი“. რომელიც ნახსენებია ნართების ყველა თქმულებაში. გამოირჩევა სხვა ცეკვებისგან ღრმა ფსიქოლოგიური დრამატუზმით. სინარჩარით. ლირიკული განწყობითა და ქალვაჟის ურთიერთამაღლებული დამოკიდებულებით. ოსური ხალხური ცეკვა „სიმდი“ თავისი დამხმარე კომპონენტებით და შინაგანი აგებულებით ერთი მთლიანი სპექტაკლია. რომელიც სრულდებოდა რაიმე დღესასწაულთან დაკავშირებით დღე-ღამის განმავლობაში, ზოგჯერ კი მთელი კვირითაც.⁴⁸ „სიმდის“ შესრულების პერიოდში დიალოგებიც იმართებოდა. როდესაც ახალგაზრდებმა შავ მთაზე „სიმდი“ გამართეს („ნართების სიმდი“) და მთელი კვირის განმავლობაში დღითა და ღამით ცეკვავდნენ. რათა ცეკვით მოეჭადოებინათ შვიდი ძმის ერთადერთი და — აქულა მზეთუნახავი. შეიძლება კიდევ გაეგრძელებინათ სიმდის ცეკვა. ახალგაზრდობა ამ მდგომარეობიდან ბრძენ. უხუცეს ურიზმაგს რომ არ გამოეყვანა.

ურიზმაგსა და მოცეკვავე ნართ ახალგაზრდებს შორის გაიმართა დიალოგი.

ურიზმაგი. რა მოგივიდათ ნართის გონებამახვილნო ვაჟკაცებო, თქვენი ცეკვით ცა და დედამიწა რომ შეანძრით. ხალხს ძილი და მოსვენება რომ დაუკარგეთ?

ახალგაზრდები. გეტყვით. როგორ არ გეტყვით, ჩვენო ბრძენო ურიზმაგ. შენს მეტს ვის უნდა გავუმხილოთ ჩვენი საიდუმლოება...

ურიზმაგი. თქვით და იქნება მეც რამეში გამოგადგეთ.

ახალგაზრდები. შვიდი გზის შესაყარში რკინის ციხე-კოშკი დგას. სადაც ცხოვრობს ქვეყნის ულამაზესი ასული აქულა...

ვცეკვავთ. იქნებ ერთი შემოვლის დროს მაინც გამოიაროს ჩვენც და ჩვენგან რომელიმე თვალში მოუვიდეს“...⁴⁹

ბრძენი ურიზმაგი ახალგაზრდებს ჰპირობდა. რომ ის ულამაზეს აქულას საცეკვაო მოედნამდე მოიყვანს. სამაგიეროდ ახალგაზრდები ძვირფასი ნივთით დაასაჩუქრებდნენ თავიანთ საყვარელ მოხუცს. ურიზმაგი მართლაც ახერხებს აქულას მოყვანას, მაგრამ თანახმად ოსური წეს-ადათისა. იძულებით ქალის შეყვანა „სიმდში“ არავის შეეძლო. არჩევანი თვითონ ქალზე იყო დამოკიდებული.⁵⁰ და აი, სათითაოდ გამოცხადდნენ აქულასთან. პირველად ცეკვით მიუახლოვდა ნართებში ქებული მხნე ვაჟკაცი სოსლანი. აქულამ ახედ-დახედა და უპასუხა: კარგი ვაჟკაცი ხარ. სოსლანი. შენთან ცეკვაზე უარს არ ვიტყვოდი. მაგრამ მთიელი ხარ. და შენს არქივში თომის ჩაფენა რომ

ვერ მოვახერხო, ხომ გამიწყრები? ასევე უარით გაისტუმრა თითქმის ყველა ახალგაზრდა. მან ყველას უარყოფითი მხარე იცოდა, ბიჭებს სამართლიან შენიშვნებს აძლევდა და ეს უკანასკნელნიც თავს ველარ იმართლებდნენ. ბოლოს ცეკვითვე მიუახლოვდა ხამციის ვაჟიშვილი — ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გონებაამაზვილი, გამოწვრთნილი და შეუდრეკელი ბათრადი. ყველას ეგონა, რომ აქულა დათანხმდებოდა, მაგრამ მზეთუნახავმა ამ ქაბუქსაც გამოუჩინა უარყოფითი მხარე და უთხრა შემდეგი: კარგი მხარბეჭიანი ვაჟკაცი ხარ, ბათრად, თვითონ მზის ასულიც კი სიამოვნებით იცეკვებდა შენთან, მაგრამ დღემდე როგორ არ მოიფიქრე, რომ შენი გვარია უხუცესები ყველა გამოგეცნო. ერთ-ერთი მათგანი, სახელად ონი, ფრთიანმა შეიღდავა დევმა ყანძარგასმა მთების იქით შორეულ ტრამალეებში წაიყვანა, თავის ფარას მწყემსად დაუყენა და ზამთარ-ზაფხულად გადმობრუნებულ ტყავის ქურქში, მშიერ-მწყურვალმა დარშითუ ავდარში მოსვენება არ იცის... უსაზღვროა მისი წუხილი, მისი ტანჯვა. მდუმარე მთებიც კი თანაგრძნობას უწყევნ. აი, იმას თუ გაანთავისუფლებ, მაშინ კი აუცილებლად ვიცეკვებ შენთან...

ცეკვა „სიმღი“ გრძელდება. ბათრადი მიდის თავისი მოგვარის გასანთავისუფლებლად, კლავს ბოროტ მოძალადე ყანძარგასს, მოჰყავს განთავისუფლებული თავისი წინაპარი ყანძარგასის ქონებითა და ძვირფასი განძეულით. ბათრადმა, ცხადია, მოიპოვა იმის უფლება, რომ არჩეულ აქულასთან იცეკვოს, ამის შემდეგ კი ცოლადაც ირთავს მას.⁵¹ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, რომ საქორწინო ვაჟს, სხვა დადებით თვისებებთან ერთად, აუცილებლად ცეკვა-თამაშიც უნდა შესძლებოდა, ე. ი. ყველა სახის ხელოვნების გამოვლენის უნარი უნდა ჰქონოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველ მეუღლეს ვერ შეირთავდა, ვინაიდან ხელოვნებისადმი მიდრეკილება ვისაც არ გააჩნდა, ისეთ ვაჟკაცს უვარგისს უწოდებდნენ, და აბა, უვარგისს რომელი წესიერი ქალი გაჰყვებოდა ცოლად?

ცხადია, ასეთი მკვიდრი და, ამავე დროს, სასარგებლო წეს-ადათი უდიდესი სტიმული იყო ოსური ხალხური ხელოვნების განვითარება-წინსვლისათვის, რომელსაც უძველეს დროიდანვე ჩაესახა მტკიცე საფუძველი და ხალხთან მჭიდრო კავშირში წლიდან-წლამდე აღმავლობის გზით მიედინებოდა. გარდა ამისა, ნართების ეპოსის მიხედვით, ხელოვნების ნიჭით მომადლებულ ადამიანებს, ე. ი. შეჯიბრებაში გამარჯვებულ პირებს უდიდეს შეფასებას აძლევდნენ; ვინც უკეთესად გამოავლენდა თავს, ის აუცილებლად ჯილდოს იმსახურებდა.

გარდა ცეკვა-სიმღერისა და თეატრალური თუ სპორტული თამაშობებისა, ნართების გასართობ სანახაობას წარმოადგენდა ლეგენ-

დების. თქმულების. სხვადასხვა საინტერესო ამბის მოყოლა-დეკლამაცია დიქციონის. მეტყველების, სახის ტექნიკურად შეცვლის მეშვეობით. მხატვრულ ფორმებში ამა თუ იმ ეპიზოდის წარმოსახვით, რისთვისაც დაწესებული იყო სპეციალური ჯილდო ვაცამონგა-ნუაზან (საპატიო თასი — რ. ჩ.), რომელსაც იღებდა გამარჯვებული. ეპოსიდან ვიცით, რომ ასეთ შეჯიბრებებს ნართები ხშირად აწყობდნენ. მოვრყვანთ ერთ ნაწყვეტს: „ერთ დღეს ნართები ისხდნენ ნიხასში. წინ სასმელთ სავსე ვაცამონგა დაიდგეს და დაიწყეს შეჯიბრი საინტერესო ამბების მოყოლა-წარმოსახვაში. სანახაობის მონაწილენი ერთმანეთს ცვლიდნენ. ერთმანეთზე უყეთეს ამბებს ჰყვებოდნენ, ან-სახიერებდნენ საინტერესო ეპიზოდებს, მაგრამ ვაცამონგა წილად არავის ზღდა. ბოლოს ჯერი დადგა ხამიციის შვილზე — კეთილ დაუდრეკ ბათრამზე. ამ უკანასკნელმა საინტერესო თქმულება, ღრმა შინაარსიანი სიუჟეტით ისე რეალურად დახატა და ოსტატურად ისეთი ფორმით წარმოადგინა, რომ ნიხასში მყოფი ყველა მაყურებელი მოხიბლა და ჯადოსნური თასი ვაცამონგაც მას მიეკუთვნა“.⁵² ნართები მქვერმეტყველებაშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და აქაც სათანადო პრიზი იყო დაწესებული, ისე, როგორც ნართების ერთ-ერთ ლეგენდაშია მოცემული:

„ნართ ხალხში თვალთმაქცობითა და გონებამახვილობით ცნობილი იყო სირდონი. მასთან გაბაასება-შეკამათებას ყველა ერიდებოდა. ვისაც კი სურდა შეემოწმებინა საკუთარი მქვერმეტყველება, ის საპაექროდ მიდიოდა სირდონთან. ერთხელაც, თავმომწონე და ამაყი ნართებიდან ერთმა განაცხადა: მე მივდივარ სირდონთან საპაექროდ, მას გავაცრუებ, თქვენ კი იციანებთ და იზეიმებთ! — და წავიდა სირდონთან.

— შენთან საპაექროდ მოვედი და უნდა გამაცრუო, — პირდაპირ განუცხადა სირდონს. სირდონს გაეღიმა...

— თუ გაგაცრუე, — განუცხადა მოსულმა სირდონს, — მაშინ შენი ჯადოსნური ჩოხა-ახალუხი უნდა დამითმო, თუ შენ გამაცრუე, მაშინ ხურჯინით სავსე ოქრო-ვერცხლს მოგცემ.

— თანახმა ვარ, — უპასუხა სირდონმა, — მხოლოდ ცოტა ხნით ცხენი მათხოვე, რომ ჯადოსნური ჩოხა-ახალუხი მოვარბენინო.

— სიამოვნებით. — და ათხოვა თავისი ცხენი.

სირდონი წავიდა მოპაექრის ოჯახში, მის ცოლს განუცხადა, რომ თქვენი ქმარი ერთ ხურჯინ ოქრო-ვერცხლს თხოულობსო. ქალმაც მისცა ხურჯინით სავსე ოქრო-ვერცხლი...

ბოლოს, როცა კაცი მიხვდა, რომ სირდონმა აჯობა, მაშინ განაცხადა: ვინც სირდონს ეპაექრება და ცდილობს მის გაცრუებას, ის თვითონ გაცრუებულია“.⁵³

ხამიცს, ამბის საინტერესო მოყოლითა და მკვერმეტყველებით, სირდონის შემდეგ ბადალი არ ჰყავდა ნართ საზოგადოებაში. და აი, როცა ნართების ძველ თაობას ეპვი შეეპარა თავიანთი ახალგაზრდობის ღირსებებში, მათი შემოწმების, მათში პატრიოტიზმის გაღვიძების თუ წაქეზების მიზნით დააწესეს სამი სახის სპეციალური პრიზი — ძვირფასი მატყლისაგან ნაქსოვი ნაჭერი. ხამიცმა საჯაროდ განაცხადა, რომ სამივე პრიზი მას ეკუთვნის, ვინაიდან მისი შვილი ბათრადი ყველაზე უკეთესია ნართებს შორის და ბათრადის ამბების საინტერესო და მკვერმეტყველური გადმოცემით დაარწმუნა მოხუცები, რომ მისი შვილი ღირსია ამ ჭილდოს მიღებისა.

ნართებში თუ რაიმე სადავო და საყამათო საკითხი წამოიჭრებოდა, უფროსები (ეგრეთწოდებული უხუცესთა საბჭო), საკითხს საფუძვლიანად იხილავდნენ და მას სამართლიანად წყვეტდნენ, თუმცა უპირატესობას აძლევდნენ თვით შემოქმედის ნიჭით დაჭილდოებულ პიროვნებას.

მაშინაც, როდესაც სამმა ნართელმა მონადირემ ერთად მოკლა შავი მელია, ვერ შეთანხმდნენ, თუ ვის მიაკუთვნონ მელიის ტყავი და მიმართეს ნიხასში მყოფ უხუცესებს — თავკაცებს:

ნართის ვაჟებმა სამი მოხუცი
წამოიყვანეს თმადათოვლილი:
ქერა ეარსაგან და დიჩენავი,
მოხუცი ჩიჯო-ზალმისის შვილი.
მათ მელის ტყავი წინ გაუმაღეს:
— ერთად მოვკალით მელია შავი,
მაგრამ მის ტყავზე ველარ ვრიგდებით,
თქვენ გადაწყვიტეთ, ვისია ტყავი!
— ძალიან კარგი! — თქვეს მოხუცებმა, —
ოღონდ გვიამბეთ თითო თქმულება,
თუ ვინ რა ნახეთ თქვენს სიჭოცხლეში
გაქირვება და მხიარულება.
ვირც უფრო ლამაზ მოთხრობას იტყვის,
მისი იქნება მელიის ტყავიც!
— კარგი სიტყვაა! — უთხრეს ვაჟებმა
და რაგით იწყეს თხრობა ამბავის.⁵⁴

დიახ, მოიწონეს ვაჟებმა უფროსების გადაწყვეტილება, ვინაიდან საინტერესო ამბების თხრობით გაწვრთნილებს, თითოეულს იმედი ჰქონდა, რომ ყველაზე კარგ თქმულებას ის მოუთხრობდა. მართლაც სამივემ ერთიმეორეზე უკეთესი თქმულება წარმოთქვა, ისე რომ უხუცესებმა პირველი ადგილი ვერავის მიაკუთვნეს. კიდევ მრავალ თქმულებაშია აღწერილი ნართების ნადიმი, რომელიც ეკევა-ხიმღერითა და სხვადასხვა სანახაობა-თამაშობებით (დოლით, მიზანში სროლით, ხეზე ცოცვით, მითოლოგიური პერსონაჟების განსახიერებით) მთავრდება. მოყვანილი ტექსტებიდან ცხადი ხდება,

რომ ნართთა საზოგადოებაში ხელოვნების სხვადასხვა სახეები მაღალპროფესიულ დონეზე იყო აყვანილი და ნიჭიერ შემსრულებელთა ნაკლებობა არ იგრძნობოდა. ისინი სიამოვნებას ანიჭებდნენ საზოგადოებას თავიანთი საშემსრულებლო ხელოვნებით.

შიქლება დაიბადოს კითხვა, კანონზომიერია თუ არა მარტო-ოდენ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით ოსური ხელოვნების საწყისების შესახებ მსჯელობა. ამასთან დაკავშირებით კვლავ საგანგებოდ უნდა ავლნიშნოთ ის ფაქტი, რომ წარსულში უდამწერლობო ხალხის მიმართ (მდგომარეობას არ ცვლის ის გარემოება, რომ შემონახულია ისტორიული ცნობა ძველად ოსური დამწერლობის შესახებ. ოსური დამწერლობის ძეგლები არ შემორჩა.) მსგავს საკითხებზე მსჯელობისათვის ხალხური ზეპირსიტყვიერება თითქმის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. მით უმეტეს, სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ ნართების ეპოსში, საერთოდ ოსურ ფოლკლორში აისახა ხალხის რეალური ცხოვრება, მისი ფსიქიკა, საზოგადოებრივი და მორალური შეხედულებები.

ნართების ეპოსის გარდა, ოსური ხელოვნების საწყისებზე გარკვეულ მასალას იძლევა ოსური ლეგენდები, ზღაპრები, ანდაზები, იგავ-არაკები, ანექდოტები და სხვა.

ხელოვნების მეშვეობით ოსები ერთმანეთს უზიარებდნენ როგორც სიხარულს, ისე მწუხარებას. გასული საუკუნის ცნობილი ოსი ეთნოგრაფის და პუბლიცისტის საბა კოკიევის გადმოცემით, ოსები სიმღერით ხიბლავენ ყველას, რითაც ნამდვილად ქების ღირსნი არიან. ამ ხალხში სასიმღერო ხელოვნება საკმაოდ არის განვითარებული. იშვიათად შეხვდებით ისეთ ოსს, რომელმაც სიმღერა არ იცოდეს; სპეციალურ საღამოებსა და დღესასწაულებს აწყობენ, სადაც სიმღერასა და მუსიკის დაკვრაში ათენებენ.⁵⁵

ხელოვნების სხვადასხვა სახეობის საჭაროდ შესრულება (ნიხასზე, საზოგადოებრივი თავშეყრის, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ადგილებზე). როგორც ავლნიშნეთ, ნართული ეპოსის ვარდა აისახა ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებშიც. გადმოცემებში ამ ხელოვნების მაღალსაშემსრულებლო დონეს საგანგებო ხაზი ესმევა. იდეალურ პიროვნებაში ოსური ზეპირსიტყვიერება არა მარტო ფიზიკურ ძალას, სამხედრო ქველობასა და ვაჟაკურ შემართებას გულისხმობს, არამედ სულიერ ღირებულებებსაც — გონებამახვილობას, მჭევრმეტყველებას, სიმღერისა და ცეკვის ხელოვნების ოსტატურად ფლობას, ერთი სიტყვით, ფიზიკურ და სულიერ ჰარმონიას.

ოს ხალხში შეკრებილი მრავალფეროვანი მასალა უფლებას გვაძლევს, ფართოდ ვიმსჯელოთ წამოყენებულ საკითხებზე. ამ ათიოდე

წლის წინათ სპეციალურად მოვიარეთ საქართველოში ოსი ხალხის დასახლების ისეთი რაიონები (კერძოდ ლენინგორის, კასპის, გორის, ქარელის, დუშეთის, ახმეტის, ლაგოდენის სოფლები და მსხვილად დასახლებული პუნქტები), სადაც ნაკლებად და ზოგან სულაც არ ჩაწერილა ოსური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ამ რაიონების სოფლებში მცხოვრები ხანში შესული პირების გადმოცემით, სასიძო თავის ღირსებას ავლენდა ხშირად გართობა-თამაშობების მაღალკვალიფიციურ დონეზე შესრულებით. ამის ნიადაგზე, უწინ ოსეთში ულამაზესი ქალის არჩევანი იყო ის ვაჟკაცი, ვინც თავის თანატოლებთან შეჯიბრებაში გამარჯვებული რჩებოდა. ზღაპარი „ჯიდის ლამაზიც“ ამ სიუჟეტზეა აგებული: „შეიკრიბნენ საქორწინო ვაჟკაცები თუჯიის ციხე-სიმაგრესთან, სადაც იჯდა ჯიდის ულამაზესი ასული. აქ თავმომწონე ახალგაზრდობა ერთმანეთს ეჯიბრებოდა. პირველად გამართეს „სიმღი“. ცასა და მიწას ფარავდა სიმღერის, ცეკვისა და ტაშ-ფანდურის ხმა. ირგვლივ მტვრის კორიანტელი დააყენეს. ცეკვა დამთავრდა. შემდეგ თხოვნით მიმართეს თეთრჩოხიან სტუმარს — იცეკვე, ახლა შენი ჭერიაო.

— მეც ვციდი ბედს. — თქვა სტუმარმა და ჯადოქრულად შემოუარა წრეს. მაყურებელი ალტაცებაში მოიყვანა.

— შეუძლებელია უკეთესად ვინმემ იცეკვოს, — ერთხმად დაასკვნეს მაყურებელმაც და უხუცესთა საბჭომაც და პირველობა მასვე მიაკუთვნეს. შემდეგ სიმღერაში დაიწყო შეჯიბრი. ახალ-ახალი სიმღერებით წარუდგა მსმენელს თავმომწონე ახალგაზრდობა. მათში კარგებიც ბევრი ერია, მაგრამ სტუმრის ხავერდოვანმა ხმამ სულიერი თუ უსულო საგანი ყველა ერთად მოაჯადოვა. თეთრჩოხიანის სასიამოვნო ჰანგები ადამიანებს ფართო ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა. ამჟერად სიმღერაშიც პირველობა სტუმარმა დაისაკუთრა. ახლა შეჯიბრი დაიწყო მჭევრმეტყველებასა და გონებამახვილობაში. ბევრმა გამოავლინა მაღალი ოსტატობა მხატვრულ კითხვაში, მაგრამ როგორც კი ამეტყველდა თეთრჩოხიანი, სტუმარი. მაშინვე სამყარო სმენად გადაიქცა და დამსახურებულად აქაც გამარჯვება მან მოაპოვა. ცხადია, ჯიდის ულამაზესმა ასულმაც საქმროდ თეთრჩოხიანი სტუმარი აირჩია.“⁵⁶

ხალხური ხელოვნების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო სიუჟეტი აქვს ლეგენდას „მზორათი მზორის“ შესახებ. თანატოლებში მამაცობითა და ვაჟკაცობით ბადალი არ ჰყავდა მზორათი მზორს. მან საცოლედ აირჩია ულამაზესი ასული აზავხანი. როდესაც ხელი სთხოვა, ქალმა ასეთი პასუხი გასცა: მზორათი მზორ, მე ისეთს გავყვები ცოლად, რომელიც თანატოლებში ყველაზე უკეთ იცეკვებს. ამ დღეებში სუთნა მინდორზე დანიშნულია თამაშები. აი იქ ვინც

უკეთესად იასპარეზება. ვინც უფრო ლამაზად წარდგება მაყურებელთა წინაშე, ჩემი საქმროც მხოლოდ ის იქნება. დათქმულ დღეს შეჯიბრი მართლაც საინტერესოდ წარიმართა. სხვადასხვა ფორმისა და ჟანრის სანახაობაში უკეთესად შესრულებაზე ერთმანეთს ეცილებოდნენ ახალგაზრდები. თითქმის ყველა შეუტდომლად და ლამაზად აარულებდა თავის მისიას, მაგრამ მზორათი მზორს — სანახაობის მთავარ შემსრულებელს — იმ მონაწილეებთან ბადალი არ ჰყავდა. მაშინ კი ისურვა აზვახანმა მასთან ეცეკვა „სიმღი“, ეს ხომ თანხმობა იყო ქალის მხრიდან.⁵⁷

ოსურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დატულია უამრავი ლეგენდა და თქმულება-შეჯიბრი სიტყვაკაზმულობაზე. ერთი ასეთი თქმულება 1966 წელს ჩამაწერინა ქარელის რაიონის სოფ. ყინწვისის მკვიდრმა. 87 წლის გიორგი ჯიოვემა, რომელიც მიმტკიცებდა, რომ თქმულება „თავადის ვაჟიშვილის“ სიუჟეტი ნამდვილ ამბავზეა აგებული. მან ეს თქმულება გაიგო და დაიმახსოვრა ჩვენი საუკუნის დასაწყისში ცნობილი ხალხური მთქმელისგან — 98 წლის ხუხუ ხუბულაგისგან.

ლეგენდის სიუჟეტი ასეთია: მდიდარ კაცს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა. გოგო დროზე დასრულდა და გათხოვების დრო დაუდგა, მაგრამ მამა საკადრის სასიძოს ვერ შოულობდა. ამის გამო ქალიშვილის გათხოვებას აყოვნებდა. ერთხელაც მამამ საჯაროდ განაცხადა: ვინც ჩემს ქალიშვილს საინტერესო ამბების მოყოლით და მოხერხებული სიტყვაკაზმულობით მოხიბლავს, იმას გავატან ცოლად. თავადის ვაჟიშვილი, რომელსაც თავისი თავის იმედი ჰქონდა, თანამად გამოცხადდა მდიდარი კაცის ქალიშვილთან. მისმა მკვიერ-მეტყველებამ. გონებამახვილურმა სიტყვაკაზმულობამ ააღელვა მდიდარი კაცის ქალიშვილი. მან თავი ვეღარ შეიკავა, გადაეხვია ვაჟს და ცოლქმრობაზე თანხმობა განუცხადა.

სიტყვა-პასუხისა და საინტერესო ამბის სიუჟეტზეა აგებული „პატარა გაბელის ლეგენდა“.⁵⁸

გაბელი თავადთან მიდის და სთხოვს ქალიშვილის ხელს. თავადს სიღარიბის გამო არ მოეწონა სასიძო, მაგრამ ცივდაც არ გამოისტუმრა და მისცა შემდეგი დავალება:

— თუ სიტყვაკაზმულობით, ლამაზი დიქციითა და საინტერესო ამბების ღამაჯერებლად მოყოლით მომიგებ, მაშინ ცოლად გავატან ჩემს ქალიშვილს. წაგების შემთხვევაში კი სიცოცხლეს უნდა გამოეხადო...

ბიჭი დათანხმდა. დათქვეს დღე და იმავე კვირის პარასკევს გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილას — სოფლის განაპირა მაღალ ბორცვთან. იმ დღეს სანახაობის საცქერლად მოგროვდა უამრავი ხალ-

ხი. ლეგენდა ლეგენდას და თქმულება თქმულებას მოაყოლა ღარიბი კაცის შვილმა. იგი ჰყვებოდა მგრძნობიარედ, დამაჭრებლად, ზოგიერთი პერსონაჟის განსახიერებით, წმინდა ხალხური სამეტყველო ენით. მისმა დიქციამ, ტექსტის გადაცემის ხელოვნებამ მოაჯადოვა ირგვლივ მსმენელები. თავადმა ქალიშვილის ხელის მთხოვნელს — გამარჯვებულ ღარიბი კაცის შვილს უარი ველარ უთხრა, დამოყვრდნენ და გაბედნიერდა გონებამახვილი ვაჟკაცი.

სიტყვაკაზმულობით აღსანიშნავია ხალხური თქმულება „ყმა“, რომელიც დიალოგზეა აგებული. დათქმული წლების შემდეგ მეცხვარემ ბატონს თავისი წილი მოსთხოვა. მაშინ ბატონმა შემდეგი წინადადება წამოუყენა ყმა მეცხვარეს:

ბ ა ტ ო ნ ი. კარგი, რახან აღარ გინდა რომ მემსახურო, მეც გიშვებ, მხოლოდ ერთი პირობით: თუ ჩემს ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემას შესძლებ — ჩემს ფარას გაჩუქებ, თუ არა და. ეს ხუთი წელი მუქთად გიმსახურია.

ყ მ ა. თანახმა ვარ, შემეკითხე რაც გინდა.

ბ ა ტ ო ნ ი. რა არის ერთი?

ყ მ ა. ერთი მაღალი ღმერთია, რომელიც მართალსა და მტყუანს მხოლოდ ის არჩევს.

ბ ა ტ ო ნ ი. მაშ ორი რაღა იქნება?

ყ მ ა. მეცხვარე ორი თვალით იფარავდა შენს უთვალავ ფარას, ორი ფეხით დასდევდა უკან. ერთი ბატანიც არ მოაკლო.

ბ ა ტ ო ნ ი. სამზე პასუხს ველარ გამცემ.

ყ მ ა. სამფეხა ძველებური ოსური მაგიდა, რომელიც მშიერს აპურებს, დალილს კი უცბად ათრობს.

ბ ა ტ ო ნ ი. ოთხზე რაღას მოიგონებ?

ყ მ ა. წელიწადის ოთხსავე დროში ყველამ იცის წესი, ყადრი, წასვლას გთხოვდი, არ მიშვებდი და ამევსო გული დარდით.

ბ ა ტ ო ნ ი. ხუთზე მგონი ველარ შესძლებ, რომ პასუხი კვლავაც გამცემ?

ყ მ ა. ეველა ხელის ხუთი თითი კაცს აძლევენ შვებას, ლხენას.

ბ ა ტ ო ნ ი. ადრე ნართების ხარი არწივს თურმე მოუტაცებია. ნეტავ რამხელა იქნებოდა ის არწივი?

ყ მ ა. რად იჭერებ ზღაპრის ამბებს, კოლოს თვლიდნენ ალბათ ხარად.

ბ ა ტ ო ნ ი. როგორ თუ კოლო, იმ ხარისგან ურიზმაგი მიწას ხნავდა.

ყ მ ა. ნართების სიმდიდრე ვისაც ებარა, იმას მიწის ხენა აღარ უნდოდა... და ა. შ.⁵⁹

ამ ხალხური თქმულების სიუჟეტზე კოსტა ხეთაგუროვმა შექმნა

ბრწყინვალე პოემა იმავე სახელწოდებით. დიდმა პოეტმა პოემა იმავე დიალოგის პრინციპზე ააგო.

ოსურ ზეპირსიტყვიერებაში ზოგიერთი თქმულება პირდაპირ დრამატული ნაწარმოების ფორმითაა მოცემული, ისე როგორც ორი ძმის — ბუძისა და ასლანბეგის დიალოგია:

ასლანბეგი. ბიძაშვილობაში მტრად ცხოვრება შეუძლებელია, ძმაო ბუძი. ამიტომ გავეცალოთ აქაურობას, ვეწვიოთ ვალაგარს, მაგრამ იქ მასპინძლად ვის შევიგულებთ?

ბუძი. არა. ძმაო. სჯობია ავიდეთ სოფელ ბაზისში და ვესტუმროთ ბუთათის გვარს.

ასლანბეგი. შეიძლება, ვინაიდან მათ საიმედო ადგილსამყოფელა აქვთ... თუმცა როგორ შეგვინახავენ, ისინი ხომ ლოგიხად თავიანთსავე ჩოხა-ახალუხს იყენებენ. აბა ასეთ უთავო ხალხს როგორ ვესტუმროთ და თავი როგორ შევაფაროთ?

ბუძი. მაშინ უნალში მცხოვრებ ცალაგათებს ვესტუმროთ ძმაო ასლანბეგ.

ასლანბეგი. ვერც ისინი შეგვიფარებენ, ჩემო ბუძი, ფეხსაცმლის ნაცვლად უხეშ ტყავს იკრავენ ფეხზე და დათვებივით დაბაჯბაჯებენ.

ბუძი. ნამადში მცხოვრებ ჩელეხსათებს რომ ვეწვიოთ, იმაზე რაღას იტყვი?

ასლანბეგი. როგორ ვიკადრებ ისეთ ოჯახში შესვლას, სადაც ხორბლის პურის ნაცვლად, უხეშ შვრიას ლეჭავენ საქონელივით.

ბუძი. სოფელ ლუარში ციმოითებს მაინც ვესტუმროთ. მგონი ეგენი ჩვენს შენახვაზე უარს არ იტყვიან?

ასლანბეგი. ის საცოდავები აბა, როგორ შეგვინახავენ, კეთილო ძმაო. სოფლის სამივე უბანს მეტი სიზარმაცით სული ამოსდის. შიმშილით იხოცებიან და ხელის განძრევა მაინც ეზარებათ. წისქვილის გოდორზე კატა ჰყავთ მიბმული.

ბუძი. ქუხარში მცხოვრებ ბასკაანთ გვარს რომ ვეწვიოთ?

ასლანბეგი. ვერა, ძმაო, ვერა, ვერც ისინი შეგვინახავენ, მაქა სოფლის მოახლეა. ბასკაც უარეს მდგომარეობაშია.

ბუძი. ცირში მცხოვრებ ბაცოითებზე რაღას იტყვი?

ასლანბეგი. ისინიც როგორ შეგვიფარებენ, ძმაო ბუძი, ხენის დროს კვალში ბალახის ძირების ძებნისას თორმეტნი ბელტის ქვეშ მოჰყვენ და დაიღუპნენ.⁶⁰

მოყვანილი ტექსტი, ვფიქრობთ, ადრინდელი ოსური დრამატული ნაწარმოების ერთ-ერთი ნიმუშია, რომელიც შემორჩენილია ხალხური ზეპირსიტყვიერების სახით. ეს არის წარმოდგენა-სანახაო--

ბის ტექსტი, რომელსაც საიმპროვიზაციო თეატრში (ნიბასში) ასრულებდნენ მუსიკის თანხლებით. სცენა მეტად დაძაბულია: ორ ძმას ძალიან უჭირს, ეძებენ თავშესაფარს, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობენ. საერთოდ, ვინ იყვნენ ძმები — ასლანბეგი და ბუძი, ან რად გადაიკიდეს თულათოვების გვარი? ეს ახალგაზრდები თავად ბათა თულათოვ-ს უკანონო შვილები იყვნენ, ეგრეთ წოდებული ქავდასარდები.⁶¹ ასლანბეგი და ბუძი მამაცი და უშიშარი ვაჟკაცები იყვნენ, ყობანის აღდარები თულათოვები ცდილობდნენ თავიდან მოეცილებინათ ისინი. მათ მხარს უჭერდნენ ამ ხეობის სხვა აღდარებიც, კერძოდ ყანუყოვები. უმადურები ცდილობდნენ მასხრად აეგოთ ორი ქავდასარდი, საზოგადოებისათვის ჩამოეცლებინათ ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცები. თავმომწონე ძმებმა აღდარების შეურაცხყოფა და უხამსი დამცირება ველარ აიტანეს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუტყხადეს მათ. ბრძოლას მკვეთრად გამოხატული სოციალური ხასიათი ჰქონდა, რომელიც ინდივიდუალურ და სტიქიურ ფორმებში ვლინდებოდა. დასაწყისში ერთგვარ წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგრამ მაინც საბოლოოდ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ.

ამ სცენას ორი მსახიობი ასრულებდა ყისფანდირის მუსიკის თანხლებით. სამწუხაროდ ამ სანახაობის მთლიანმა ტექსტმა ჩვენამდე ვერ მოაღწია და მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები შემოგვრჩა, რის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ზემოთ წარმოდგენილი სიუჟეტის აღდგენა.

ოსებში რევოლუციამდე ძლიერ იყო ფეხგადგმული სისხლის აღების წესი. რომელიც უარყოფით გავლენას ახდენდა საზოგადოების განვითარებაზე. წესადათხევა აგებული ისტორიული ლეგენდა „აფხარდთი ხასანა“, რომელსაც თოჯინების მეშვეობით ბრწყინვალედ ასრულებდა გასული საუკუნის უნიჭიერესი ხალხური მთქმელი, მუსიკოსი და მომღერალი, პირველი ოსი სახალხო მსახიობი, ბავშვობიდან უსინათლო ბიბო ძუგუტოვი (ქვემოთ განხილულია მისი ცხოვრება და შემოქმედება). ბიბომ ზეპირად იცოდა ხალხური შემოქმედების თითქმის ყველა ნიმუში, მაგრამ ყველაზე ძლიერ უყვარდა ხასანას ლეგენდა. როგორც მახარბეგ თულანოვი გადმოგვცემს, ყოველმხრივ განვითარებულმა და ნიჭიერმა მსახიობმა ლეგენდის ტექსტიდან საინტერესო სცენარი შექმნა, რომელსაც თითქმის ყველაწვეულეზაზე ასრულებდა. თვითმომქმედი მსახიობი ისე ოსტატურად და დამაჯერებლად ამოქმედებდა თოჯინებს, რომ მისი შესრულებისას მაყურებელი ცრემლს ვერ იოკებდა. ხალხს უსაჩდვროდ შეაყვარა ხასანა და მისი დედა გოსამა. სამაგიეროდ ყველამ შეიძულა აღდარი მულდართი ყულაინათი, მისი შვილები. მისი დამქაშები..

მსგავსი სანახაობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო პროფესიულ დონემდე აყვანალი. საკმაოდ მომზადებული, დამუშავებული, საინტერესოდ წარმოდგენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მაყურებელი არა მარტო უარყოფდა, არამედ სატირულ ანექლოტებსაც კი შექმნიდა უფერულ, სუსტ ღონისძიების მომწყობზე.

სანახაობის შემქმნელი ერთი პიროვნება არ იყო. მას ქმნიდა თვითონ ხალხი, უფრო სწორად, საზოგადოების ის ნაწილი, ჯგუფი, რომელსაც შემოქმედების ამ სახეობისადმი მიდრეკილება ჰქონდა. სიმღერის, ან სანახაობის ტექსტი იქმნებოდა ნამდვილი ამბავის საფუძველზე. ამასთან, ასეთი ამბავი უთუოდ საინტერესო უნდა ყოფილიყო საზოგადოებისათვის. თუ ადგილი ექნებოდა ისეთ მოვლენებს, რომლებსაც ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლოთ, მის შესახებ თხზავდნენ სათანადო სიმღერებს.

ოსურ ზეპირსიტყვიერებაში უხვად გვხვდება არა მარტო ხელოვნების ელემენტები, არამედ ცალკეული ეპიზოდებიც. ადამიანები ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ქმნიდნენ მხოლოდ და მხოლოდ რეალური მოვლენების საფუძველზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მათ საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრებაში, და რომელნიც ამა თუ იმ ზომით საზოგადოებრივი მნიშვნელობის მატარებელნი იყვნენ.

ოსური საიმპროვიზაციო თეატრის საწყისები ქველი ალათ- წესების მიხედვით

უძველეს დროიდან, როცა მთიელი ხალხის თითქმის ყველა სოფელსა და დასახლებულ პუნქტში, რელიგიური და საზოგადოებრივი დღესასწაულების, ქორწილებისა და ნადიმების გამართვის დროს მათი აუცილებელი თანმხლები იყო ხალხური სანახაობა, ხალხის წილიდან გამოსული თვითონ საზოგადოების მიერ შექმნილი სახალხო ხელოვნება და მასთან ერთად საიმპროვიზაციო თეატრი, რომლის ძირითად რეპერტუარს წარმოადგენდა ადამიანთა სოციალური უთანასწორობისა და ხალხის ქვედა ფენების მძიმე მდგომარეობის ასახვა, მჩაგვრელებისა და ჩაგრულთა განსახიერება.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ თითოეულ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან თითოეულ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას⁶².

ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები შეიძლება გავავრცელოთ ოსი ხალხის უძველესი კულტურისა და ხელოვნების იდეური შინაარსისა და დანიშნულების შესახებაც. ამ კულტურასა და ხელოვნებაზე კი სათანადო მასალები შემოგვინახა ოსურმა ზეპირსიტყვიერებამ.

მართალია, ხალხური სანახაობანი ძირითადად ხორციელდებოდა საკულტო-რელიგიურ და საზოგადოებრივ ნადიმებთან დაკავშირებით, მაგრამ არც ერთი სანახაობა (მხედველობაში თუ არ მივიღებთ სახალწლო და აღდგომის სიმღერებს, მტაცებელ ნადირთა ღმერთების — აფსათისა და თუთირისადმი მიძღვნილ ტექსტებს) არც სიუჟეტით და არც მოქმედებით უშუალოდ არ იყო დაკავშირებული იმ ღვთაებების სახელთან, რომელთა პატივსაცემადაც იკრიბებოდა ხალხი იმ დღეს, ან ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაშიც კი. რელიგიური დღესასწაული მხოლოდ საბაბი იყო იმისა, რომ თეატრალი-

ზებული სანახაობა ეჩვენებინათ. სწორედ ამის გამო ქვემოთ ჩვენ შევევებით მხოლოდ იმ დღესასწაულებს, რომელთა დროსაც იმართებოდა სანახაობები, კერძოდ იმპროვიზირებული თეატრი.

უძველესი დროის საკულტო-რელიგიური დღესასწაულებისა (ჯუთიოი, ახალი წელი) და ოსური მდიდარი ზეპირსიტყვიერების მეშვეობით დადასტურდა, რომ ხალხური ხელოვნების ცალკეული ეპიზოდები შეიქმნა ნართების ეპოსის წარმოშობის დროიდან. თეატრალურ სანახაობაში ძირითად როლს ორი მთავარი მოქმედი პირი, ეგრეთ წოდებული ნიღბოსანი ასრულებდა. ერთი იყო დათვის ნიღბოსანი. მეორე — მაიმუნის ნიღბოსანი, რომლებიც ხშირად მოქმედებდნენ ერთად. იყო შემთხვევები, ისინი ცალ-ცალკეც გამოდიოდნენ. ოსურ ხალხურ სანახაობებში ცნობილია სხვა ნიღბებიც (ცხენის, ხარის, ცხვრის, თხის, ძაღლის, კატის, მამლის, მტრედის, მგლის, კურდღლის, მელის, არწივის, ირმის, ჭივის, და სხვა). ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ისიც სოფლებში, სანახაობაში მოქმედ პირებად გამოჰყავდათ მგელი ან კურდღელი. თხა და ა. შ. ისინი მთავარ როლებს ასრულებდნენ. თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი ნიღბოსნები მასობრივ მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდნენ.

სანახაობაში გამარჯვებულისათვის დაწესებული იყო საჩუქარი — პრიზი. საუკეთესო მონაწილე ღებულობდა ყველაზე უკეთეს პრიზს — საუკეთესო ცხენს (ბედაურს, არაბულს); მომდევნო პრიზები იყო: ჩოხა-ახალუხი, ეერცხლის ჭამარ-ხანჯალი, ნაბადი, ქურჭი, ყაბალახი, წინდები, თოფი. ღამბაჩა და ა. შ.

ვინც საპრიზო პირველ ადგილს დაიმსახურებდა, ე. ი. ცხენს ვინავე მიაკუთვნებდნენ. მას უფროსები მიართმევდნენ საპატიო სასმისს (ფოლკლორში ფიქსირებულია „ვაცამონგას“ სახელწოდებით, რაზეც წინა თავში ვეჭონდა საუბარი) — ჭივის რქას სასმელით (არყოით ან ლუდით). ეს გამარჯვებული მადლობას უხდიდა საზოგადოებას მისი ხელოვნების მაღალი შეფასებისათვის და სვამდა მოწოდებულ სასმისს. შემდეგ სანახაობის მთავარი ხელმძღვანელის ნებართვით აუღერებოდა მუსიკა და პრიზიორს, მისთვის სასურველ ქალიწილთან ერთად. უნდა ეცეკვა აუცილებლად. სანახაობის ასეთი ფორმით ჩატარება უფრო მეტ ინტერესს იწვევდა მოზარდ თაობაში, უბიძგებდა მათ ნიჭისა და უნარის სრულყოფისაკენ და საზოგადოების წინაშე თავიანთი შემოქმედების წარმოსადგენად. ამიტომაც იყო, რომ გასულ საუკუნეებში სანახაობების რიცხვი ოსებში საკმაოდ დიდი იყო. ასე რომ, თეატრისადმი სიყვარული ოსებს უხსოვარი დროიდან მოსდევთ. ისინი ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილად, პრიმიტიულად მაინც ახერხებდნენ დამტკბარიყვნენ

იმპროვიზირებული სანახაობით. სანახაობები გრძელდებოდა დღე-ღამის განმავლობაში, უფრო ადრინდელ პერიოდში კი (ზეპირსიტყვიერი გადმოცემით) — მთელი კვირა. ხალხს სისხლ-ხორცში ჰქონდა გამჭდარი სიყვარული, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ასეთი ხანგრძლივი დროით შესრულება. ყურება ან მოსმენა. ზოგ შემთხვევაში თეატრალური სანახაობა სრულდებოდა მაყურებლის გარეშე. ე. ი. მაყურებლის როლშიც თვითონ შემსრულებელნი გამოდიოდნენ.

წარსულში რელიგიურ-კალენდარული დღესასწაულები მაქსიმალურად იყო დატვირთული ყოფითი რეალობით, რომლებიც წარმოადგენდა ადამიანთა სულიერი და პრაქტიკული ცხოვრების თავისებურ შერწყმას. ამ მხრივ აღსანიშნავია სამიწათმოქმედო წლიური კალენდარი, რომელიც მკიდრო კავშირშია ოსების სამიწათმოქმედო რელიგიის გენეზისთან. იგი დაყოფილი იყო ციკლებად: საზამთრო. საგაზაფხულო და საშემოდგომო. ამ პერიოდების მიხედვით იმართებოდა იმპროვიზირებული სანახაობანი. მტკიცედ დაკავშირებული სამიწათმოქმედო კულტების დღეობებთან. უძველესი დროის ქართულ დრამატულ სანახაობებსაც ხომ სამიწათმოქმედო დღეობებს უკავშირებდნენ.⁶³ ადრინდელ პერიოდში დღესასწაულებს (რელიგიურს თუ საზოგადოებრივს) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა სულიერი კულტურისა, ურთიერთდამოკიდებულებისა, შინაგანი მსოფლმხედველობისა და ხელოვნების განვითარებისათვის.

უხსოვარ დროიდან ოს ხალხს ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა აქვს მოძმე ქართველ ხალხთან, რამაც განაპირობა უძველესი დროიდან კავკასიაში მცხოვრები ამ ორი ერის არსებობისა და ყოფა-ცხოვრების, კულტურისა და ხელოვნების ურღვევი ერთიანობა, მსგავსება. ან ერთიმეორეზე ზეგავლენის მოხდენა, რის საფუძველზეც საგულისხმო ნაშრომებში სათანადო დასკვნები გამოიტანეს ამ ხალხების ისტორიის, ენისა და ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების ცნობილმა მკვლევარებმა. ამის გამო, ჩვენს ნაშრომში საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები, ოსური თეატრის ხალხურ საწყისებთან დაკავშირებით, სიუჟეტური და მოქმედების მსგავსებით ზოგ შემთხვევაში ახლო დგანან ქართული თეატრის ხალხური საწყისებისა და კერძოდ, პროფესორ დ. ჯანელიძის მიერ მოყვანილ საილუსტრაციო მაგალითებიდან. თუმცა ორივე ერში სანახაობები ინარჩუნებენ ეროვნულ კოლორიტს.

ოსების რელიგიური დღესასწაულები სიმრავლით გამოირჩეოდა. ამას თავისი საფუძვლიანი ახსნა აქვს. წარსულში ადამიანის მიერ ბუნების ძალების შეუცნობლობის პირობებში ფართოდ იყო გავრცელებული ცრუმორწმუნეობა. მათ სჯეროდათ, რომ ქვეყნად არსე-

ბობს ღმერთი და სხვა უხილავი ზეციური ძალები, რომლებიც წარმართავენ ადამიანთა ცხოვრებას და, სამაგიეროდ, მოითხოვენ პატივისცემას. აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ბერძნების (ისევე როგორც სხვა უძველესი ხალხის) წარმოდგენით ღმერთები საჭიროებდნენ საგანგებო ყურადღებას ადამიანისაგან, რომელსაც თითოეული ღმერთისათვის უნდა მოეწყო მისთვის საგანგებოდ განკუთვნილი რიტუალით — მსხვერპლშეწირვა და სახობო სიმღერა⁶⁴.

ოსებში ზეციური ძალების საპატივცემულოდ გამართული ანალოგიური რიტუალი იყო შემოღებული. ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები. ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ნაშრომები საშუალებას იძლევა გამოვიტანოთ დასკვნა. რომ ოსებში არსებობდა საერთო სახალხო მასობრივი დღესასწაულები: ნოვ ბონ (ახალი წელი), ქუვაძან (აღდგომა), თუთირ (თევდრობა), ხორ-ხორ (მოსავლის აღება) და სხვა. გარდა ამისა, ოსებში იყო კიდევ სასოფლო დღესასწაულები, რომელთაც იხდიდნენ ცალკეული სოფლები: საოჯახო დღესასწაულები, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ ოჯახის წევრები. საზოგადოებრივი დღესასწაულებიდან აღსანიშნავია ვალახისი ბონ (გამარჯვების დღესასწაული) და ნომავარან (ახალდაბადებულის სახელის შერქმევა). აღნიშნული დღესასწაულების გასამართავად სოფელი, აული, ხანდაზან მთელი ხეობაც კი ერთიანი ძალით წინასწარ ემზადებოდნენ: ადულებდნენ ლუდს, ხდიდნენ არაყს, კლავდნენ წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელს, აცხობდნენ ხაჭაპურებს. დღესასწაულისადმი მიძღვნილი სანახაობის მონაწილენი კი სადმე არჩეულ ადგილას ამზადებდნენ ხელოვნების ახალ-ახალ ნიმუშებს, რათა დანიშნულ დღეს მაყურებლის წინაშე წარმოედგინათ დამუშავებული და საინტერესო თეატრალური სანახაობა.

დღესასწაულის დღეს იმართებოდა ერთიანი, საერთო-სახალხო დიდი ზეიმი საგანგებოდ ნადიმისათვის განკუთვნილ მინდორზე, ზამთრობით — ნიხასისათვის აშენებულ და მომზადებულ საზოგადოებრივ შენობაში. წესის თანახმად, სუფრასთან დასხდომის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ხანშიშესულებს. ახალგაზრდები იქვე სხვადასხვა სანახაობებით, სპორტული თამაშობებით, ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ჩვენებით ართობდნენ მონადიმე ხალხს. ეს წარმოდგენები პროფ. ბ. ალბოროვის აზრით, ძირითადად აგებული იყო დრამატული ელემენტების საფუძველზე: „დრამატულ ელემენტებს ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა მრავალ დღესასწაულსა და სახალხო-მასობრივ სანახაობის წეს-ჩვეულებებში. ასე მაგალითად, მეხდაცემული-სა და წვიმის გამომწვევ ცერემონიებში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქალებიც, როგორც ცეკვაში, ასევე სასიმღერო-საპაე-

ქრო კუპლეტებშიც; უამრავი თეატრალური ელემენტია ბიჭის გაბანვის ცერემონიალსა და საკულტო დღესასწაულ „კახცგანანში“⁶⁵ სადაც ჩართულია მოქმედება სიმღერით. დრამატული ელემენტებია ჩაქსოვილი ქორწილის წეს-ადათებსა და სხვა მასობრივ სანახაობებში⁶⁶.

ბ. ალბოროვის მიერ დასახელებულ დღესასწაულებსა და ნადიმებზე გამართულ სანახაობებს ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული, თეატრალური ელემენტები. ოსურ სახალხო სანახაობებზე და კერძოდ ოსურ ხალხურ თამაშობებზე საინტერესო კვლევითი მუშაობა ჩაატარეს სერგო გაგიევმა და ვიქტორ ჯუსოევმა. ამ საკითხს ორივე ავტორმა სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა⁶⁷, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევინ ოსური ეთნოგრაფიისა და ხელოვნების მკვლევარებს.

არა მარტო დღესასწაულების დროს უჩვენებდნენ იმპროვიზირებულ ხელოვნებას, არამედ სანახაობის მონაწილე მუდმივი ჯგუფები (დასები) ჰყავდა ოსთა მეფის სასახლეს, რასაც მკაფიოდ გვაუწყებს ოსური ზეპირსიტყვიერება და რის საფუძველზეც მართებული დასკვნა გამოიტანა ცნობილმა ქართველმა მწიგნობარმა ზაქარია ჭიჭინაძემ. მისი აზრით, „მეტად უცხო სანახავი ყოფილან დავით სოსლანის ოსთა მეჩანგენი, მგოსანნი, მოშაირენი, მოთამაშენი, მოასპარეზენი, მეჭირით-მებურთენი და სხვაც ამგვარი, რაც მაშინ თურმე ოსებში და ნამეტურ ოსთა დიდებულთ შორის კარგად ყოფილა გაჩაღებული. ქებით ამბობენ ოსთა სასიმღერო კილოთიც და XII საუკუნის ოსებში თურმე სახალხო სიმღერებს ისე იტყოდნენ და იმღერდნენ, როგორც ეს მაშინ ქართველებს სცოდნიათ. დავით სოსლანის მომღერალთა გუნდიც თურმე სანაქებო ხმოვან მომღერალ კაცთაგან შესდგებოდა.“⁶⁸

თუ ოსეთის მეფისწულს — დავით სოსლანს სასახლეში მეფის გამართობი დასი ჰყავდა, ცხადია, მაშინ მის წინამორბედ მეფეებსაც ასეთივე სასახლის კარის მსახიობთა ჯგუფები ეყოლებოდათ. მაგრამ სათანადო წერილობითი საბუთების უქონლობის გამო, ამ ფაქტზე მსჯელობისგან თავს ვიკავებთ.

როგორც ავღნიშნეთ, სანახაობის წარმოსადგენად მისი მონაწილენი ღონისძიებისთვის წინასწარ ემზადებოდნენ, რომლებსაც ჰყავდათ ხელმძღვანელი. ეს ხელმძღვანელი თამაშობების მსვლელობის დროს მორიგის მოვალეობას ასრულებდა⁶⁹. ამ უკანასკნელის გარეშე არც ერთ მოქმედ პირს სანახაობაში მიღების უფლება არ ჰქონდა.

ოსი ხალხის დრამატული სანახაობებისა და საიმპროვიზაციო თეატრის შესახებ მდიდარი მასალა შემოგვინახა „ნოვ ბონის“ სამიწა-

თმოქმედო საკულტო დღესასწაულმა. რომელიც განსხვავებული სახით რევოლუციის შემდეგაც იმართება. სწორედ ამის გამო, როგორც თეატრალური ხელოვნების საწყისების ძირითად წყაროს, უფრო ფართოდ განვიხილავთ ამ დღესასწაულის მსვლელობას. ოსები ახალი წლის — ნოგ ბონის დღესასწაულს მთასა და ბარში, ყველგან აწყობდნენ. ამასთან. ერთნაირი ფორმით, თუმცა სანახაობების ჩვენებით არა მარტო ხეობები, არამედ სოფლებიც კი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

გასული საუკუნის ოსური კულტურის ცნობილმა მკვლევარებმა და ეთნოგრაფებმა ამ დღესასწაულის მსვლელობა საკმაოდ ვრცლად აღწერეს.

„ოსეთში — წერს ე. ვერდერეესკი, — ახალი წლის დღესასწაული ცნობილია „ნოგ ბონის“ სახელწოდებით, რაც სიტყვისიტყვით ნიშნავს ახალ დღეს. ახალი წლისთვის მზადება ძალიან წააგავს ქართველების მომზადებას ამავე დღესასწაულისთვის. დიასახლისები დღესასწაულის წინ პერიოდში ხდიან პრასის ან ქერის არაყს. ადულებენ ლუდს. შემდეგ ფქვილისგან აცხობენ ეგრეთ წოდებული ვასლი დიდის სხვადასხვა ფორმის ფიგურებს, მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო — წლის პირველი დღისადმი, რომელსაც საქართველოში „ბასილობას“ უწოდებენ. ისინი აცხობენ სპეციალურ თაფლკვებებს — ადამიანის ფიგურის განსახიერებას.

ახალი წლის წინ ოსების აულებიდან ისვრიან თოფებითა და პისტოლეტებით. სროლა გრძელდება მთელი დამის განმავლობაში. ქართველებისგან განსხვავებით, ახალ წელთან სროლით შეხვედრა გამოწვეულია ცრურწმენით. ოსები ისვრიან ზემოთ ჰაერში მთვარის მიმართულებით. ვინაიდან მათივე რწმენით, ზუსტად ახალი წლის დამეს მთვარეს ურჩხულის ან ცის გველისაგან დაღუპვა უქადის.

ახალი წლის გათენებისას ყმაწვილები და მოზრდილები გადმობრუნებული ქურქებით, ცეკვა-თამაშით კარაკარს დადიან და სახუმარო სიმღერით ოჯახის პატრონს ბედნიერებას ულოცავენ: მამაკაცებს — მონადირეობისა და ბრძოლის უნარს, მანდილოსნებს — ბიჭიანობას. ასეთი მილოცვის საპასუხოდ საჩუქრად ღებულობენ სადღესასწაულო სამზარეულოდან საჩუქარს, აგროვებენ ბარაქიან დოვლათს და ღია ცის ქვეშ ქეიფობენ“.⁷⁰

შემდგომშიც იგივე ფორმით, იმავე რიტუალის მიხედვით სრულდებოდა საახალწლო დღესასწაული. ეს რიტუალი სხვა ავტორებმაც ფართოდ ასახეს თავის ნაშრომებში. ჩვენ ერთგვარად საეჭვოდ მიგვაჩნია ის აზრი, რომ ბასილის სახელი უკავშირდება ვასილის სახელს, როგორც ამას ფიქრობს ე. ვერდერეესკი.⁷¹ იგი ვასილის სახელს უკავშირებს ოს ხალხში ქრისტიანობის შენარჩუნებას. სიმ-

ღერები და ლეგენდები ბასალზე ოსეთის თოქმ-ს ყველა კუთხეშია (მთლიანად კაკასიაშიც). ვაერცლებულია. ამასთან, როგორც ოს ქრისტიანებში, ისე ოს მაჰმადიანებშიც, მაჰმადიანობა ოსებში ვერ ანდელი მოვლენაა და იგი ძველიდან შემორჩენილი მემკვიდრეა.

ოსებში საახალწლო სუფრისათვის ბასილ-ს საპატრივკენილ-ს სპეციალურ კვირს აცხობენ. მეზობლებს შორის შეჯამრიც კი იყო გამოცხადებული. ვინ უფრო მაიმსვავსებდა ვამომცხვარ კვირს ბასილის სახეს, ვფეჭობთ. ზემოთ წამოჭრილი საკითხი ბასილ-სა და ვასილ-ს ერთიანობას შესახებ დამატებით არგუმენტს საჭიროებს. ამ ეჭვის საფუძველს გვაძლევს ოსურ ზეპირსიტყვიერებაში დღემდე შემორჩენილი მხატვრულობის თვალსაზრისით ბრწყინვალე ლეგენდა „ბასილი და ოლა“.⁷²

ლეგენდ-ს მიხედვით ბასილმა სიბრძნით, ვაყვაცობ-თა და ხალხ-რბანისლით საზოგადოების დიდი სიყვარული დაიმსახურა. მისი ქეზის სახელი ქვეყანას მოედო. ბასილი ამის გამო ორისთონას (ოსეთის) მეფე ვახდა. მან სიკეთე და ბედნიერება მოუტანა თავის ხალხს. მოსპო მანვე ზნე-ჩვეულებები. უსარგებლო ადათ-წესები და ადამიანები დააყენა ნათელი ცხოვრების გზაზე. ხალხმა უსაზღვროდ შეიყვარა თავისი ბრძენი და კეთილი მეფე. ყველა უსიტყვოდ ასრულებდა მის სამართლიან განკარგულებას. ბასილ-ს სიკვდილ-ს შემდეგ მისი სახელი ლეგენდად იქცა ირონებში. ორისთონის ყველა კუთხეში შეტხზეს სიმღერები, თქმულებები და ლეგენდები თავის საყვარელ გმირზე. შესაძლებელია, ოსებში საახალწლო კვირი შემოღებულია ოსი ხალხის ლეგენდარული გმირ-ს ბასილ-ს საპატრივკენილოდ, რომელსაც ბერიკების ჯგუფი უმღეროდა ტერმინი „ბერკა“ — ბერიკაობა სამხრეთ ოსეთში გვხვდება, უფრო ხშირად კი ლენ-ნგორის რაიონის ქსნისა და ლეხურის ხეობების სოფლებსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მცხოვრებ ოსებში. დღესაც ოს ხალხში დამკვიდრებულია ასეთი გამონათქვამები: „ბერკად წავიდა და წლობით შინ აღარ დაბრუნდა“, ან „სტუმრად წახველ, ბერკად კი არა“. „სოფლიდან სოფლად ბერკად დადიოდა“ და სხვა. „ბერკა“ ქართულ „ბერიკაობიდან“ უნდა იყოს ოსებში შემოსული. ამ უკანასკნელიდან ალბათ ხმოვანი „ი“ და ბოლოსართი „ობა“ ამოვარდა. სიტყვას მიეცა ოსური ფორმა „ბერკა“ და ასე დამკვიდრდა ოსებში. პროფესორ დ. ჯანელიძის განმარტებით ბერიკაობა, თავდაპირველად, ღვთაებისათვის „ზვარად“ შეწირულ მონა-ბერების მიერ შვილიერების დანაყოფიერების დასამწყლობლად შესასრულებელ წეს-მომსახურება-სანახაობასთან ყოფილა დაკავშირებული⁷⁴. მაშასადამე, აღნიშნული პერიოდიდან ბერიკაობა ისევე მტკიცედ იყო დამკვიდრებული ოს ხალხში, როგორც ქართველებში.

ბერიკები საახალწლოდ წინასწარ ემზადებოდნენ. ახალწლის დამესა და დღეს სოფლებში კარდაკარ დადიოდნენ, სხვადასხვა ფორმისა და სახის იმპროვიზირებულ სცენებს აწყობდნენ. სამაგიეროდ მასპინძელი აძლევდა წინასწარ ბერიკებისათვის გამზადებულ წილს. (სასმელ-საჭმელს). სწორედ ამიტომაც ოსური ნათქვამი „ბერკაილ-ზილინ“. რომელიც სრულდებოდა სიმღერით, ცეკვით, სხვადასხვა-სანახაობათა ჩვენებით. ბერიკები მასპინძელს ულოცავდნენ ახალი წლის მობრძანებას.

სადღესასწაულო სანახაობის ჩვენებისათვის ახალგაზრდები ათი დღით ადრე ემზადებოდნენ. სოფელში იქმნებოდა ორი-სამი ჯგუფი, ოცი ან ოცდაათი კაცის შემადგენლობით. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ისეთი პიროვნება, რომელსაც ყველაზე უკეთ შეეძლო ცეკვა-თამაში, სიმღერა და ოხუნჯობა. სხვა მონაწილეებსაც აუცილებლად უნდა შესძლებოდათ სიმღერა და ცეკვა. ჯგუფს, გარდა მსახიობებისა, ჰყავდა დანხმარე პერსონალი: ცხენების მომვლელები, ნადავლის-შენგროვებლები. კოსტიუმის მზიდავები. მომზადების პროცესში, ე. ი. რეპერტიკების დროს ჯგუფიდან ითხოვდნენ შეუფერებლებს, ავსებდნენ შესაფერისი პირებით.

ხელმძღვანელი ჯგუფს წინასწარ აცნობდა სამოქმედო სცენარს. და თან აფრთხილებდა, რომ ადგილზე სიტუაციის მიხედვით შეიძლება სცენარიც შეიცვალოს. მაგრამ ისინი არ უნდა დაიბნენ, უნდა გაუვონ მთავარ მოქმედ პირს, ხელი შეუწყონ, რომ სანახაობა უკეთ ჩატარდეს და მყოფების მოწონება დაიმსახუროს.

როგორც ავლნიშნეთ. სიმღერასა და ცეკვაში მონაწილეობა ყველას უნდა მიეღო, აი ერთი სიმღერის ნიმუში:

მისამღერო: წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ,
სტუმრად მასპინძელს ვეწვიოთ.
გუნდი: თუ შეშინდება — გავშორდეთ.
მისამღერო: უხვად მივიღებთ საჩუქარს.
გუნდი: თუ კი იძუნწა — არ მივალთ.
მისამღერო: სხვაგან წავალთ, სხვაგან წავალთ.
გუნდი: ძუნწს კი წყევლას არ დაჯავლებთ,
სხვაგან წავალთ, სხვაგან წავალთ.

ამ სიმღერას საახალწლო სანახაობის დასაწყისშივე მღეროდნენ. სოფ. ქარტისში, ცხილონსა და ზაყორში (ლენინგორის რაიონი), — გვატყობინებს ა. ქეთიშვილი, — აგრეთვე ჩრდილო ოსეთის სოფლებში კამათსა და მახჩესკში, ხოლო სოფ. ქრისტინეთში — დიგორულ დიალექტზე. ადგილობრივი მკვიდრნი აღნიშნავენ, რომ ტექსტი თითქმის ერთი და იგივეა, რაც ზემოთაა მოცემული, მხოლოდ სიმღერა სხვადასხვა სოფლებში განსხვავდება ერთმანეთისაგან.

როგორც შესრულების მანერით, მოტივით, მუსიკალური ელემენტებით, ასევე გადმოცემის შინაარსითაც.

პროფესორ ბორის ალბოროვის არქივში სხვა საინტერესო მასალებთან ერთად, არის ცნობა „ახალი წლის ბასილობა“, რომელიც ოსური თეატრის საწყისების ერთ-ერთი უტყუარი მასალაა. მკვლევარის გადმოცემით ბასილობას აწყობდნენ პარასკევს ან შაბათს საღამოს. ყველა ოჯახი საკლავით ხვდებოდა ამ დღესასწაულს და ღამით ერთმანეთს ეპატივებოდნენ ბასილობას, როცა ხაჭაპურებს აცხობდნენ; ამავე დროს დიასახლისები კიდევ აცხობდნენ ადამიანების, ცხოველებისა და სხვადასხვა საგნების ფიგურებს. ცალკე აცხობდნენ ცხრა, ეგრეთ წოდებულ „დედას“ (ოსურადაც ქალის ფიგურას „დედა“ ჰქვია, ალბათ ქართულიდანაა შემოსული). ფიგურა „დედებისაგან“ ხუთს სახორბლეში აგდებდნენ, ხორბალი გამოულეველი გვექნებო, ერთს კერიის ჭაჭვზე ამაგრებდნენ (ოსებს წმინდად მიაჩნიათ ერთოდან ჩამოშვებული ჭაჭვი, რომელზეც სადილის ქვაბი ეკიდა), დანარჩენებს საქონლის გომურის ჰერზე ამაგრებდნენ.

საახალწლო დღესასწაულის სანახაობას დეტალურად აღწერს ოსური ხალხური შემოქმედების დიდი მოამაგე მახარბეგ თულანოვი, რომელიც საახალწლო რიტუალის შემსრულებლებს ჭგუფებად ჰყოფს. მისი აღწერილობით — დილით ყმაწვილები ნილაბჩამოფარებული დადიოდნენ კარდაკარ და „ბასილობას“ (ახალ წელს) ულოცავდნენ თანასოფლელებს. საღამოთი კი მათ ცვლიდნენ მოზრდილი უაჟკაეები, ისინიც ნილაბჩამოფარებულნი იყვნენ. ჰქონდათ მხოლოდ თვითნაკეთი ნილაბები, შეკერილი შავი ან ნაცრისფერი ქსოვილისაგან, რომელზეც დამაგრებული იყო წვერ-ულვაშები და გრძელი რქები ჯიხვის. თხის ან ირმის. ნილაბს უწოდებდნენ „ირმის თავს“.

ეზოსთან მთელი ჭგუფი სანახაობას სიმღერით იწყებდა:

„მასპინძლებო, მასპინძლებო,
ოჯახის თავმა მოჰქლას ირემო,
დიასახლისმა შობოს ვაჟაკი,
ბასილის მარჯვენა იყოს ჩენი!“⁷⁵

მასპინძლები მაშინვე არ ულებდნენ ჰიშკარს, ჭგუფი კვლავ იმეორებდა იმავე სიმღერას, ზოგჯერ სხვასაც და სიმღერით აიძულებდნენ, რომ გაეღოთ კარი. თუ სულ არ გაულებდნენ კარს, მაშინ სიმღერითვე გაკენწლავდნენ მასპინძელს ძუნწობისათვის, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა, ძნელად შეხვდებოდათ ოჯახი, რომელიც საახალწლო მოლოცვებს არ უშვებდა შინ. მხოლოდ აჩერებდნენ იმ მიზნით, რომ სანახაობა, ცეკვა-თამაში, საოხუნჯო სიმღერები დიდხანს გაეგრძელებინათ. ეზოში შესული ბერიკები ცდილობენ ხმის შეცვ-

ლას. რათა მასპინძლებმა ისინი არ იცნონ. მათ ნიღბები აქვთ სახეზე, ქურჭებიც ვადპობრუნებულა აცვიათ. რომელზეც შემორტყმულია განიერი ქამარი. მასზე კი უშველებელი ხის ხმალი ჰკიდია. შემოსულზე მაშინვე ააქვრებენ გარმონს და იწყებენ სახუმარო ცეკვების შესრულებას. ასახიერებენ დევებს. დათვებს. მგლებს, შინაურ და გარეულ ცხოველებს. შემდეგში ორი მონაწილე ერთმანეთს ვითომ შეეკამათება. კამათი გადაიზრდება ჩხუბში. ერთ-ერთი იშიშვლებს ხის ხმალს და ჩაარტყამს მოწინააღმდეგეს. „დაჭრილი“ ეცემა მიწაზე და „კვდება“. „მკვლელი“ თავის მსხვერპლთან თავდახრილი დგას და მონანებით იძახის: „ოი, რა ვქენი ეს?!“

ამ დროს ოჯახის უფროსი ინსტინქტურად ეკითხება:

მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი. მართლაც რა ქენი, შე ოჯახქორო?

ნ ი ლ ბ ო ს ა ნ ი. ავღელდი და შევცდი!

მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი. ნუთუ არაფრით შეიძლება, რომ მას სიცოცხლე დაეუბრუნოთ?

ნ ი ლ ბ ო ს ა ნ ი. შეიძლება, როგორ არ შეიძლება.

მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი. აბა, ცხენი და საჩქაროდ დობტურთან კაცი ვაფრინოთ.

ნ ი ლ ბ ო ს ა ნ ი. დობტური მაგას ვეღარ უშველის.

მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი. აბა, ვინ უშველის?

ნ ი ლ ბ ო ს ა ნ ი. მხოლოდ შენ, მასპინძელო, შენა გაქვს მაგის წამალი: მომეცი ერთი აბაზი და ერთ წამში გავაცოცხლებ.

მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი. აილე, შე კაცო, აბაზის გულისთვის კაცს როგორ გაეწირავ?

მასპინძელს გამოაქვს ფული და აძლევს ნიღბოსანს. „მკვლელი“ იღებს ვერცხლის აბაზს და გახარებული ცეკვით შემოუვლის „მკვდარს“. თან ვერცხლის ფულს სახესთან მიუტანს. „მკვდარი“, როგორც კი გაიგებს ფულის აღებას, მაშინვე „ცოცხლდება“, წამოდგება და ხმაძალა იძახის: „ჰოი, რამდენი მეძინა!“ „მკვდარი“ და „მკვლელი“ გადაეხვევიან ერთმანეთს და კვლავ ერთად გააგრძელებენ ცეკვას. მასპინძლები სუფრასთან მიიპატიებენ სანახაობის მონაწილეებს. ისინი მორიდებით სვამენ და ჭამენ. ისე რომ მასპინძლებმა მათი ვინაობა არ იცნონ. გამოსვლისას ბავშვები ცდილობენ ნიღბები ააცალონ. მაგრამ ბერიკები არ ნებდებიან. ამ მოქმედების დროს ისმის ყვრილი, უცნაური შეძახილები⁷⁶.

მ. თულანოვს ეს სანახაობა თავის თვალთ უნახავს და დაამახსოვრდა სამი ნიღბი: ირმის, მამლის და თხის, რომლებიც დახატა ფანქრით.

საახალწლო სანახაობის თითქმის ყველა მონაწილეს ჰქონდა გა-

კეთებული შინაური ან გარეული ცხოველის ნიღაბი. ვისაც ნიღაბი არ ჰქონდა, იმას მურით სახეს უღებავდნენ. ცხენის ძუისგან წვერ-ულვაშს უკეთებდნენ, აცვამდნენ ბანჯგვლიანი მხეცის ტყავის ქურკს და ასე გამოჰყავდათ სანახაობაში მონაწილეობის მისაღებად, ასე რომ. ჯგუფიდან თანასოფლელები ვერც ერთს თითქმის ვერ იცნობდნენ ხოლმე. ასეთ შემთხვევაში სანახაობა მაყურებელში უფრო დიდ ინტერესს იწვევდა და უფრო გულდასმით უყურებდნენ მათ მოქმედებას. საახალწლო მილოცვის ძირითად სანახაობას წარმოადგენდა „დათვობანა“. ამ სანახაობას საქართველოშიც უჩვენებდნენ, ძაგრამ არა საახალწლოდ. ქართულ-ოსური ტექსტების სიუჟეტები ახლო დგანან ერთმანეთთან. პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის ნაშრომის მიხედვით საქართველოში „დათვობანას“ თამაში ხდებოდა წელიწადში ერთხელ. აღდგომის წინ. სანამ 48 ოღიანი მარხვა დაიწყებოდა⁷⁸, ხოლო ოსებში „დათვობანას“ აწყობდნენ ახალ წელს.

ოსური სახალხო სანახაობის მონაწილეების მოქმედებას, კოსტიუმებს, ნიღბებს და გრიმს დეტალურად აღწერს პროფ. ბორის ალბოროვი:

ახალგაზრდობა, წარსულში კი ხანშიშესულებიც, საახალწლო სანახაობაში მონაწილეობის მისაღებად წინასწარ ემზადებოდნენ. ეძებდნენ ისეთ ნიღბს და კოსტიუმს. რომელიც ბერკას სასაცილო ფორმას მისცემდა. წარსულში ნიღბები ჰქონდათ თვითნაკეთი ცხენის ძუისგან, ან ნაბდისგან. სადაც სპეციალურად ამოჭრილი იყო თვალების გასახედი და პირის ღრუ. რომელსაც უწოდებდნენ „ლაკამს“⁷⁸. ნიღბს ღვეზელის ფორმა ჰქონდა. ნიღბოსან ბერიკებს უწოდებდნენ ახალი წლის დათვებს.

მონაწილეებიდან ვისაც ნიღაბი არ ჰქონდა, ის სახეზე იკეთებდა მოქარგულ აბრეშუმის ნაჭერს. თავზე იხვევდა ყაბალახს. ან იხურავდა ბანჯგვლიან ტყავის ქუდს. სანახაობა მხიარული და სასაცილო რომ ყოფილიყო. ამისათვის ზოგი მონაწილე ბეზიას ძველ ახალუხს იცვამდა, ზოგი კი — დაფხრეწილ ძონძებს. კოსტიუმი აჭრელებული იყო ფერადად აღმოსავლური გემოვნებით. ხელში ზოგს თითისტარი ეჭირა. ზოგს ვედრო. ერთეულებს საწვიმარი. ან ტარიანი ცოცხი ჰქონდათ. ხუმარებს ცალ ფეხზე ევროპული ტუფლი ეცვათ. მეორე ფეხზე ბანჯგვლიანი ქალამანი. ერთ მხარეს თეთრი წვერი ჰქონდათ, მეორე მხარეს კი შავი. ბერიკებიდან ერთ-ერთი იმოსებოდა საპატარძლო კოსტიუმით და თავდაჭერით ასრულებდა პატარძლის დამახასიათებელ მოძრაობებს.

საახალწლო დათვები ყოველთვის პატივისცემაში იყვნენ. სოფელი მოუთმენლად ელოდა მათ გამოჩენას. ბერიკები მუსიკის თანხლებით კარიდან კარზე დადიოდნენ, მაყურებელიც ექსტრად იკრიბებო-

და და სანახაობაც დიდი მონდომებით სრულდებოდა. ნიღბის ახლა სირცხვილი იყო.

მართალია, საახალწლო ბერიკებს დათვებს უწოდებდნენ, სინამდვილეში დათვის ნიღბს ყველა არ იკეთებდა. ეზოში შემოსული ბერიკები ახალი წლის მოლოცვით იწყებდნენ სიმღერას (საილუსტრაციოდ მოგვყავს ბწკარედული თარგმანით — რ. ნ.):

გუნდო: ეი, ბასილანო!
ბარაქა, ბარაქა!
ოი, იი.

მისამღერი: ოქროს კაცი, ბასილი!

გუნდო: ბარაქა, ბარაქა!

მისამღერი: სახლის პატრონმა ირემი მოკლას!

გუნდო: ირემი მოკლას. ირემი მოკლას.

მისამღერი: დიასახლისმა ვაეი შობოს!

გუნდო: შობოს ვაეკაცი, შობოს უდრეკი!

მისამღერი: ოი, მალა მთაზე დავლით ლუდი!

გუნდო: დავლით სირჩები, დავლით ერთად!

მისამღერი: ზოგვართვით მწვადები შიშინ-შიშინით!

გუნდო: სანამ ცხელია, მივირთვათ ერთად.

მისამღერი: სტუმრად მასპინძელს ვეწვიოთ.

გუნდო: თუ შეშინდება, გავშორდეთ.

მისამღერი: თუკი იძუნწა — არ მივალთ.

გუნდო: სხვაგან წავალთ, სხვაგან წავალთ.⁷⁹

ბერიკებს სიხარულით ხვდებიან, ეპატივებიან ოჯახში და მონაწილეები მართავენ ცეკვა-თამაშს. თუ ოჯახში მანდილოსნები ვერ ხვდებიან, მაშინ თვითონ ბერიკები წარმოადგენენ სანახაობას შემდეგნაირად:

სანახაობის ერთ-ერთი მონაწილე მიწაზე ვარდება და მომაკვდავივით ფეხებსა და ხელებს აბარტყუნებს.

— რა მოუვიდა თქვენს ამხანაგს, — აქეთ-იქიდან შეიკთხევს აყრის მაყურებელი.

— ავად გახდა საცოდავი. გრძელი და მძიმე. გზა გამოვიარეთ... გზაზე მეტად დაიქანცა, — უპასუხებს ბერიკა.

— როგორ თუ გრძელი გზა? მაინც საიდან მოდიხართ? ყობანიდან თუ კუდაროდან?⁸⁰

— არა, არა, — უპასუხებს ბერიკა.

— მოზდოკიდან, თუ მოზდოკის რომელიმე ხუტორიდან?

— მალალი მთის ხეობიდან. — უპასუხებს ბერიკა.

— რას უზამთ თქვენს ამხანაგს? სასწრაფოდ ფერშალთან ვინმე გაიქცეს.

— არა! ფერშალი ვერ უშველის. სულ სხვა წამალი სჭირდება!

— წყალი მიეცით, წყალი! — ხალხის ბრბოდან დაიყვირებს ვი-

ლაცა. გამოაქვთ ცივი წყალი, ასხამენ მიწაზე მწოლიარეს, უსიამოვნოდ იშმუშნება, მაგრამ მაინც ითმენს.

— მოუტანეთ ბურახი! — ბრძანების კილოთი ამბობს უფროსი.

მოიტანენ ბურახს, მიართმევენ „ავადმყოფს“, ის მძიმედ ამოიოხრებს. ცდილობს სასმისის აწევას. მაგრამ ვერ შესძლებს

— სპილენძს თხოულობს, თხოულობს სპილენძის ნაჭერს!

— მიეციოთ სპილენძის ფული!

ავადმყოფს აძლევენ სპილენძის ფულს, მაშინ თვალებს გაახელს, წამოდგება, უკრავენ გარმონს, დაიწყებენ ცეკვას და სანახაობის ჩვენებას⁸¹.

ზემოაღწერილ საახალწლო სანახაობებს უჩვენებენ ჩრდილო-ოსეთის შემდეგ სოფლებში: ქრისტიანეთში, ბათაყოში, ყობანში, სანიბაში, ქურთათში და სხვა. ცხადია, უტყუარია პროფ. ბ. ალბოროვის ჩანაწერები. იმდენად. რამდენადაც გასული საუკუნის დასასრულს მისივე თანამედროვე პოეტრი. 90 წლის ანდრეი გულუევი თავის მოგონებაში აღნიშნავს. რომ ბ. ალბოროვი თვითონაც მონაწილე იყო იმ იმპროვიზირებული წარმოდგენისა, რომელიც ზემოთ მასვე აქვს აღწერილი.

ეთნოგრაფ ლ. ჩიბიროვის ნაშრომებისა და ჩვენი ჩანაწერების მიხედვით საახალწლო მილოცვის ღონისძიება-სანახაობები ტარდებოდა სამხრეთელ ოსებშიც, თუმცა ეს სანახაობები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ როგორც წარმოდგენის ტექსტის სიუჟეტებით. ისე მონაწილეთა ნიღბებით. კოსტიუმებით და სხვა კომპონენტებითაც. მაგრამ ძირითადი სქემა და კომპოზიცია ერთი და იგივეა. საილუსტრაციოდ ვიღებთ სამხრეთელების საახალწლო სანახაობების რამდენიმე მაგალითს.

პროფესორ ლ. ჩიბიროვის მონაცემებით ახალწლის ღამეს ახალგაზრდების ჯგუფები სოფლებში კარდაკარ დადიოდნენ და ოჯახის უფროსებისადმი მიძღვნილი სიმღერებით თითქმის ყველა კომლს უმღეროდნენ. აღიდებდნენ დიასახლისს, უსურვებდნენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ბარაქიანი მოსავლის მიღებას. ოჯახის მომატებას, საქონლის გამრავლებას და მასთან ერთად თვითონაც საჩუქარს მოითხოვდნენ.

სანახაობის მომწყობნი უმთავრესად დადიოდნენ ნიღბებით, ან-სახიერებდნენ ცხოველებს, სახესე ისვამდნენ შურს. ირახმებოდნენ ჯოხებითა და კომბლებით. უკულმა იცვამდნენ ტყავის ტანსაცმელს, ქმნიდნენ კომიკურ ტიპაჟებს, საინტერესოდ აწყობდნენ სანახაობებს. უჩვენებდნენ ფოკუსებს, და თუ დიასახლისი ძუნწობას გამოიჩენდა, მაშინ, პირველი სიმღერის შემდეგ ბიჭები მომდევნო სიმღერის ტექსტს საწინააღმდეგოდ ცვლიდნენ. მათი სიმღერები რეა-

ლური სინამდვილის ფონზე იყო აგებული. შეჭგუფებული ახალგაზრდები მანამდე არ მოშორდებოდნენ ჭიშკარს, სანამ ოჯახიდან საჩუქარს არ მიიღებდნენ.⁸²

როგორც ვხედავთ, საახალწლო აღილოსები (მგალობლები) მრავალი იყო სამხრეთ ოსეთშიც. თითქმის ყველა სოფელში იკრიბებოდნენ აღილოსების ჯგუფები და ქმნიდნენ იმპროვიზირებულ სანახაობებს. ისინი ახალი წლის დღე-ღამეს ჯერ მეზობელ სოფლებში უჩვენებდნენ თავიანთ ხელოვნებას და ხორაგით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ შინ. ეს ხორაგი წინასწარ შერჩეულ შენობაში მიჰქონდათ. ეპატყებოდნენ თანასოფლელებს და ერთად კოლექტიურ ნადიმს იხდიდნენ. ამავე დროს, სხვა ჯგუფს გზავნიდნენ სოფელში, რომელიც უჩვენებდა საახალწლო სანახაობას, უმატებდა ადრე ნაშოვნ სანოვაგეს ახალს და ღრეობა გრძელდებოდა მთელი კვირის განმავლობაში. ცეკვა-თამაშისა და სიმღერის ხმა არ წყდებოდა. სანახაობა ერთიანი ფორმით სწორედ ამ შენობაში ტარდებოდა. დაბაკვაისაში მცხოვრებმა არსენიკა ბაგაევმა გადმოგვცა თავისი მამის — ბარზო ბაგაევის ნაამბობი, რომლის მიხედვითაც, ნიხასის შენობაში სანახაობებს სხვადასხვა ჯგუფი უჩვენებდა სანახაოზე. უკეთ ვინც წარმორადგენდა ამა თუ იმ სანახაობას, ცეკვას, სიმღერას, იმისთვის დაწესებული იყო პრიზი — ცხენი, ყოჩი, ჭამარ-ხანჯალი და სხვა.

ნიღბებით (ა. ბაგაევმა მაჩვენა პრიმიტიულად დამზადებული დათვის, ღორის, თხისა და ცხენის ხის ნიღბები — რ. ჩ.) ბარზომ ოსტატურად გაითამაშა შემდეგი სცენები:

1. დაჭრილი დათვი გამხეცეებული ეომება გარეულ ნადირებს და კერძოდ გარეულ ღორს.
2. მგლისგან შეშინებული თხა პატრონს ავონებს, რომ მტერი მოსვენებას არ აძლევს და საძოვარზე წასვლისას მგელი აუცილებლად შექამს მას. პატრონი გამოვა, თოფს ისვრის, გაისმის მგლის ბლავილი, თხა სიხარულით საძოვარზე გარბის.
3. ბრძოლის ველზე დაჭრილი მხედარი ცხენიდან ეცემა მიწაზე. ბედაურმა უპატრონოდ არ მიატოვა მეომარი, მიწაზე წვება, დაჭრილს ისვამს ზურგზე და მიდის სოფლისაკენ.

ყველაეს სცენები გასული საუკუნის დასასრულს სანახაობის სხვა მონაწილეებთან ერთად ისე ოსტატურად შეუსრულებიათ ძმებს ბარზო და იაკორ ბაგაევებს (სოფელი სარითათი, ჯავის რაიონი). რომ უხუცესთა საბჭომ ბარზო ვერცხლის ჭამარ-ხანჯლით დააჯილდოვა, ხოლო იაკორა კი მოზრდილი ქედილათი.

ჩვენი ჩანაწერებიდან ოსტრო სახალხო სანახაობების დასადგენად აღსანიშნავია 98 წლის ანტონ ქეთიშვილის (ღენინგორის რ-ნი, სოფ. ქარტისი), 96 წლის კიზო სოყუროვის (ღენინგორის რ-ნი, სოფ. ცხი-

ლონი). 78 წლის ალიხან ჩიგოევის (ლენინგორის რ-ნი, სოფ. ჩიგო-
ინი), 73 წლის არეშო მარგოევის (ლენინგორის რ-ნი, სოფ. წოლდი)
და სხვათა ნაამბობი.

ქარტისში, — გვიამბობს ანტონ ქეთიშვილი, — საახალწლო სა-
ნახაობისთვის ორი კვირით ადრე ვემზადებოდით. ჩვენს სოფელში
სანახაობის მთავარი მონაწილენი და ხელმძღვანელები იყვნენ თვი-
თონ მამაჩემი დიმიტრი შიოს ძე ქეთიშვილი (ჩეთითი) და ასლანბეგ
იასონის ძე ქარქუსოვი. ორივეს კარგად ეხერხებოდათ ცეკვა-თამა-
ში, სიმღერა, ცხენზე ჯირითი, ჰქონდათ ვაჟკაცური სასიამოვნო გა-
რეგნობა და დარბაისლური მოსწრებული სიტყვა-პასუხი. თუ სად-
მე ქორწილი, დღესასწაული ან ნადიმი იყო, პირველი პატივისცემი
სტუმრები დიმიტრი და ასლანბეგი იყვნენ. ვინაიდან ნადიმი უიმა-
თოდ უფერულად ტარდებოდა. ეს იყო 80 წლის წინათ, ახალი წლის
წინ მამაჩემი დიმიტრი ცხილონელმა კაცმა თავისი შვილის ქორწილ-
ში მეჭვარედ (ნათლიად) წაიყვანა, ხოლო ასლანბეგი, პირად საქმე-
ზე, ჩრდილო ოსეთში იყო წასული. ახალი წლის წინა დღე იყო, დი-
დი ზოვლი მოვიდა და უკან დაბრუნება ველარ შეძლო. ცხადია, სა-
ახალწლო სანახაობის ჩატარება დიმიტრისა და ასლანბეგის გარეშე
შეუძლებელი იყო. სოფელი შეწუხდა.

— ბერკაზი ვინ გაივლის კარდაკარ და ვინ მოგვილოცავს ახალ
წელს, — ნიხასში მოსვლისთანავე გულის წუხილს ერთმანეთს უზი-
არებდნენ სოფლის უხუცესები, ვინაიდან მტკიცედ სწამდათ, რომ
ბერეკების მოლოცვის გარეშე ის წელი ხალხს წუხილისა და ვაის
მეტს არაფერს მოუტანდა.

— დინოს ვაჟს ანტონს დავავალოთ თავისი მამის საქმე, ცეკვა-
სიმღერა კარგად ეხერხება, ჯერ ყმაწვილია, მაგრამ საკმაოდ ვაჟკა-
ცური იერი აქვს, მჭევრმეტყველიცაა და დათვის როლსაც ის შეას-
რულებს, — უთხრა სოფლის უხუცესებს ბარძინ ყარაევი. — მე თუ
დამავალებთ, ჰაბუქს ისე მოვამზადებ, რომ მამას აჯობოს.

მე მაშინ 16—17 წლის ყმაწვილი ვიყავი. მამასთან ერთად ბერკა-
ზე კარდაკარ მეც გამივლია ჩემს უმცროს ძმასთან დავითთან ერთად.
სანახაობაშიც მონაწილეობა მიველია ძმებს. გვაცეკვებდნენ, მი-
მუნის როლსაც გვათამაშებდნენ, მაგრამ დათვის საპასუხისმგებლო
როლის შესრულება ძნელი იყო ჩემთვის, ამიტომ ბარძინს მაშინვე
უარი ვუთხარი. ჰკუთამახვილი და მოხერხებული მოხუცი აღარ მო-
მეშვა და მთელ ჯგუფთან ერთად დავიწყეთ დათვის როლის განსა-
ხიერებისათვის მზადება წინასწარ ჩაფიქრებული მოქმედების მი-
ხედვით. სახლებში დაფანტული ნიღბები მოვავროვეთ. მამის მიერ
ნაბმარი დათვის ტყავი ჩამაცვეს, ხოლო სერგო ქეთიშვილს ჩემს მა-
გერად გავუყეეთ თხის ნიღაბი, გრძელი წვერით, ტანზე ჩავაცვით

შალისგან მოქსოვილი შარვალი, ძროხის კუდით, შალისავე ზედა-სამოსით. ერთ ფეხზე თხის თეთრი ბალნიანი ტყავი, ხოლო მეორეზე მელის ტყავი შემოიხვია. ამის შემდეგ სერგო მართლაც ნამდვილ ეშმაკს დაემსგავსა. სწორედ ამ დღიდან სოფელში სერგოს კი არა, ეშმაკს ეძახდნენ. ხოლო მის შვილებს — ეშმაკის შვილებს. შალიკა ყარაევს მგლის ნილაბი გავუკეთეთ. ტანზე ჩავაცვიტ ჭიხვის ბანჯგვლიანი ტყავი. ასე რომ. ერთი შეხედვით რუხ მგელს დაემსგავსა, დღესაც მას შალიკას კი არა. მგელს ეძახიან.

რომელთაც წინასწარ დამზადებული ნიღბები არ ეყოთ, იმათ სახეები ბარძინა ყარაევმა ბუხრის მურის, აგურის ფხვნილისა და ხენდროს ნარევით სხვადასხვა ფერით შეუღება, ტანზე ჩააცვა მათ მიერ მოტანილი ძველი, დახეული ტანსაცმელი, თხისა და ცხვრის ქურქები, დათვისა და კამეჩის ტყავები. ჩემს ძმას, დავითს, რომელსაც 12 წელიც არ შესრულებოდა. ჩააცვეს სპეციალურად მისთვის საგანგებოდ შეკერილი კოსტუმები: პატარა თეთრი ჩოხა-ახალუხი. თეთრი უძირკობი, დაახურეს ფაფახი, ბრილიანტის მძივებისგან მოქარგული თეთრი ყაბალახი მხარბეჭზე კოხტად გადაუფარეს, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოარტყეს, პატარა დამბაჩაც დაკიდეს. ფიზიკური აგებულებით ისედაც ლამაზი იყო. მართლაც მოწყვეტილ ვარსკვლავს ჰგავდა. მას სანახაობის დაწყების დროს, მომღერალთა გუნდის შემდეგ — როგორც ახალი წლის მოციქულს — რამდენიმე ნარნარი ოსური ცეკვა უნდა ეცეკვა. მართლაც არაჩვეულებრივად ასრულებდა პატარა არტისტი თავის მოვალეობას. მისი მოქმედებით ყველა ალტაცებაში ვიყავით მოსულები. პირველი სანახაობა, შემოწმების მიზნით, სოფლის თაკვაცებს ვუჩვენეთ საყდრის გვერდზე, ნიხასის წინ 30 დეკემბერს. ვერც ერთი ჩვენგანი თანასოფლელებმა ვერ იცნეს. ჩვენი ვინაობის შესახებ ერთმანეთს ეკითხებოდნენ. სანახაობის ჩვენება დაიწყო საახალწლო მილოცვის სიმღერით. ყისფანდირებს უკრავდნენ კუდარ ჩეტიევი და ნიკო ზალოევი, დანარჩენები კი ყველა ერთად ვმღეროდით საახალწლო სიმღერას. სიმღერის შემდეგ პატარა დავითი მუსიკის ხმაზე წრის შუაგულისკენ ისე მიცურავდა, თითქოს ლამაზი გედი ზღვის ტალღებს ეთამაშებო. მის გამოჩენას, მის ყოველ მოძრაობას ხალხი ალტაცებით ხვდებოდა. ამის შემდეგ კი იწყებოდა ნათვარ-სანახაობა. რომლის მოქმედების სიუჟეტი ხალხური ლეგენდის საფუძველზე იყო აგებული...

სამხრეთ ოსეთში, ქსინისა და ლეხურის ხეობებში არსებობს ასეთი ლეგენდა: ვინმე ხუბაევების ასული ტყეში მარტო წასულა. აქ შეხვედრია მას ბანჯგვლიანი მხეცი. მხეცს ბუნაგში წაუთრევია ქალი და მასთან კავშირი დაუმყარებია. ქალი როცა გონს მოსულა, სირცხვილისაგან შინ ველარ დაბრუნებულა, დარჩენილა მხეცის მეუღ-

ლედ. ქალს უწობია დედალ-მამალი პატარა ბელები, რომლებიც არც შეხედულებით, არც სხეულით არ ჰკავდნენ თავიანთ წინაპრებს. ამის გამო პატარა ბელების მამა — ბანჯგვლიანი მხეცი შორს გადაკარგულა. ბელების დედას თავისი შვილებისათვის დათვები უწოდებია.⁸³ ეს ლეგენდა ხუბაეების გვარმა მტკიცედ იწამა და დღესაც საჭაროდ აცხადებენ, დათვები ჩვენი სისხლ-ხორცისა არიანო. ამიტომ ხუბაეების გვარის წარმომადგენელი დათვის ხორცს სათოფედ არ ეკარება.

ხალხური მთქმელი, სოფ. როროს მკვიდრი ზაქარია ჩერთყოფი გვარწმუნებდა, რომ „დათობანას“ თამაში ხდებოდა უტექსტოდ-პანტომიმით. შეიძლება მართლაც ეს სანახაობა თავიდან უტექსტოდ წარმოიშვა და თანდათანობით მოქმედებამ გამოიწვია, რომ მონაწილეებს გამოეგონათ მისთვის ტექსტი. ცხადია, ქსნისა და ლეხურის ხეობებში საახალწლო სანახაობების სიუჟეტები ამ ლეგენდიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო, თუმცა ყველა ხეობა ერთიანი სიუჟეტის საფუძველზე ინდივიდუალური ტექსტით სარგებლობდა.

საილუსტრაციოდ მოგვყავს ერთი ტექსტი, რომლის სიუჟეტი ვითარდება შემდეგნაირად:

შორიდან ისმის მგლის უწყვეტი ყმუილი, ახალგაზრდა ქალი ყვირილით შემორბის; აქ არის სამკავისაგან გაკეთებული ტყავადაფარებული პატარა ქონი-ბუნაგი.

ქ ა ლ ი (შემორბის). მიშველეთ, მიშველეთ! რუხი მგელი მომდევს!
(გადის მეორე მხრიდან.)

მ გ ე ლ ი (შემორბის ღმუილით). სად გამექცევი ამ უღრან ტყეში?! მაინც მე უნდა შეგქამო.

ქ ა ლ ი. (აქეთ-იქით ხეებს ეფარება). ნუთუ ტყეში მიწიერის სინსილა გაწყდა (ხმამალა). მიშ-ველ-ეთ!..

და თ ვ ი (გამოძვრა ბუნაგიდან, იზმორება). ამ შუალამისას ტკბილი ძილი ვინ დამიფრთხნო? რა გაყვირებს, დედაკაცო, ქვეყანა ხომ არ იქცევა?

ქ ა ლ ი. (შეშინებული.) მგელი მომდევს.

და თ ვ ი (გაკვირვებით). რად მოგდევს, რა უნდა შენგან?

ქ ა ლ ი (ტირილით). უნდა შეგქამოო!..

და თ ვ ი. უნდა შეგქამოო?! მხეცი ყოფილა, მხეცი! ასეთი ლამაზი ქმნილება შესაქმელად როგორ გაიმეტა... ჩემგან ნებართვა რომ არ აუღია, როგორ შეგქამს?!

ქ ა ლ ი. შენგან ნებართვა არ აიღო, მაინცა მქამს.

და თ ვ ი. ნუ გეშინია. ამ უზუშ ნადირს მე გავცემ პასუხს... რუხო მგელო, ჩემი ნებართვის გარეშე ხალხს რად აწუხებ, რად აც-

რემლებ მშვენიერ ქალიშვილებს?

მ გ ე ლ ი. შენ ვინ მაგდიხარ, ბაჯბაჯა დათვო! შენზე ნაკლები ვაჟკაცი არც მე გახლავარ არც აგებულებით და არც ღონით, გვარი-შვილობითაც არ ჩამოგვივარდება!

დათვი. თავხედო მოძალადევ, თუ ასეა, მაშ მიფრთხილდი! (დაძრო ხმალი და მგელს შეება. მათ ბრძოლას შემინებული ქალი შორიდან უცქერს. დათვა გულში ჩასცა მგელს მახვილი და მოკლა.)

ქ ა ლ ი. გმადლობთ, კეთილო დათუნია.

დათვი. რის მადლობა... ამ ქვეყნად ერთადერთი მხეცი მე ვარ, რომელიც სიკეთეს ვთესავ... ნულარ შიშობ, ლამაზო ასულო, მოდი ახლო. შემოიხედე ბაჯბაჯას ბუნავში. გეფიცები მალალღმერთს — არ დავარღვევ სტუმარ-მასპინძლობის წმინდა წესებს. მეწვიე და ტკბილი თაფლით გაგიმასპინძლები. (დათვა შეიტყუა ქალი ბუნავში და არშიყი დაუწყო. ქალი ცდილობს თავის დახსნას, მაგრამ ვეღარ ახერხებს.)

ქ ა ჯ ი. (მოულოდნელად გაჩნდა). დიდებულო ნადირთა მეფევ, ბრძენო და გოლიათო დათვო!

დათვი. ვინ ხარ?

ქ ა ჯ ი. ნიხასიდან მოციქული გახლავართ ჩემო ბატონო!

დათვი. მერედა რა გინდა? თქვი ჩქარა და მომწყდი თავიდან!

ქ ა ჯ ი. დღეს ნიხასში მხეცებმა სასწრაფო თათბირი მოიწვიეს. მეფობის სკამიდან ბებერი ღომი გადააბრძანეს, მის ნაცვლად კი თქვენ დაგასახელეს ტყისა და მხეცების ახალ მეფედ.

დათვი. ხა-ხა-ხა! მაშ დღეიდან მეფეთა-მეფე მე გახლავართ!

ქ ა ჯ ი. დიახ, ასე გახლავთ... მხოლოდ თქვენს თანხმობასღა ელიან ამომრჩეველი მხეცები.

დათვი. სად არიან ის ჭეშმარიტი მრჩეველები, რომელ ნიხასში სხედან?

ქ ა ჯ ი. აგერ აქვე, სამეფო ნიხასში, დიდი მუხის ქვეშ.

დათვი. წაეღ, ახლავე იქ გავჩნდები, მაგრამ ამ ლამაზ ასულს რა ვუყო?

ქ ა ჯ ი. თქვენს მობრძანებამდე ეგ მე მომანდეთ, დიდო ბატონო.

დათვი. თუ ასეა მაშ მობრძანდი შიგნით, გაართე ჩემი საცოლე, მე კი მეფობის ტახტს დავისაკუთრებ. (გაღის.)

ქ ა ჯ ი. (გოგოს აიძულებს გავიქეთო, გოგო უარზეა.) წამოდი, უკან გამომყევი, სახლში უნდა წაგიყვანო.

ქ ა ლ ი. ვინ ხარ?

ქ ა ჯ ი. ადამიანი.

ქ ა ლ ი. თუ ადამიანი ხარ, კუდი რად გაბია, რქები რატომ გაქვს?

ქ ა ჯ ი. ტყის კაცი ვარ. მენდე ქალო. ადამიანის მოდგმისა ვარ:

ქ ა ლ ი. გენდობი. ოღონდ იმ ბაჭბაჯა მხეცს მომაშორე და ქვესკენ-
ლშიც ვამოგყვები.

ქ ა ჯ ი. მც სწორედ ქვესკენლში მიმყავხარ, ცოლად შეგირთავ, შვი-
ლებს გავაჩენთ. ამით კი ქაჭებს და ადამიანებს შორის კავშირს
დავამყარებთ.

ქ ა ლ ი. შენ წადი მარტოდ, მე აღარ მოგდევ... ადამიანი კი არა, ეშ-
მაკი ყოფილხარ.

ქ ა ჯ ი. გაგიჟდი?! წამოდი თორემ. მოტყუებული დათვი გამხეცე-
ბული დაბრუნდება და შეგკამს. (ქალი ძალით მიჰყავს.)

დათვი (გაცხარებული შემობრის). იმ ეშმაკის კულმა გამაბითურა. ნა-
კუწ-ნაკუწად ვაქცევ. ასო-ასოდ შევეკამ! (ბუნაგიდან გარეთ ღმუ-
ლით გამოდის.) ჩემი მზეთუნახავი დაკარგე... უკუეო და უტინო ვარ... დღეის
შემდეგ სიცოცხლის ღირსი აღარ ვარ... (იღებს ხმალს, ირტყამს შერდში და
ვარდება).

მხეცები მოგროვდებიან ერთად და მოთქვამენ:

მოკვდა ჩვენი დათუნია!
გუნდი: ოი, ოი, დათუნია!
მისამღერო: რით გიშველოთ, დათუნია!
გუნდი: ოი, ოი, დათუნია!
მისამღერო: საცოდავი დათუნია!
გუნდი: ოი, ოი, დათუნია!
მისამღერო: ლუდი ხომ არა გწყურია?
გუნდი: ოი, ოი, დათუნია!
მისამღერო: ნუ გეშინია, დათუნია!
გუნდი: ოი, ოი, დათუნია!
მისამღერო: მასპინძელს მოუტანია,
გუნდი: ოი, ოი, დათუნია!
მისამღერო: ბასილას მარჯვენა ხელი,
გუნდი: ოი, ოი, დათუნია!
მისამღერო: ოქროს მანეთიუ მოგართვა,
გუნდი: ოი, ოი, დათუნია!
მისამღერო: მასპინძელო, მასპინძელო!
არ გაგვიხდე ურჩი.
მიაწოდე დათუნისას,
მანეთი და ლუდი!
გუნდი: თვალს გაახელს დათუნია,
ოი, ოი, დათუნია!

სოფლის თავკაცს საყდრიდან გამოაქვს ლუდი და ოქროს მანე-
თი და მიაწოდებს დათვს. დათვი წამოხტება, ხელში ფულითა და სი-
სმისით ცეკვავს სოფლის თავკაცთან ერთად. დანარჩენი სანახაობის
მონაწილენი გარშემო ფერხულს უვლიან.

მოიწონეს სოფლის თავკაცებმა ახალი ჩგუფის სანახაობა. უფრო-
სი თაობის ბერიკებთან შედარებით პრიმიტიულობა და სისუსტე
ემჩნეოდათ, მაგრამ მაინც მომავლის წარმატების ნიშნები ჰქონდათ.

ამიტომ უხუცესთა საბჭომ ნება დართო ეჩვენებინათ ეს სანახაობა. ახალგაზრდა ჯგუფმა დაუყოვნებლივ კარდაკარ დაიწყო სიარული და სანახაობის დემონსტრირება. დამწყებმა ნიღბოსნებმა დახეული კოსტრუმით და თვითნაკეთი გრიმით ისე შეიცვალეს იერი, რომ თანასოფლელებს ეგონათ. სხვა მეზობელ სოფლიდან იყვნენ გადმოსულები. შემდეგ წლებში ახლად შექმნილმა ბერიკების ჯგუფმა მოქმედება უფრო გაააქტიურა. ახალი წლის გარდა ისინი თავიანთ სანახაობებს უჩვენებდნენ რელიგიურ და საზოგადოებრივ დღესასწაულებზეც.

ოსური ფოლკლორის ცნობილმა მკვლევარმა. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ჯავა-ქოთანთოს მკვიდრმა 65 წლის ალექსანდრე ბიაზიროვმა გვიამბო ახალწლის დღესასწაულზე შემდეგი: უწინ. ჩვენს სოფელში ახალი წლის წინა ღამეს იკრიბებოდა სოფლის მხიარული ახალგაზრდობა. სახეს მურით ითხაპნიდნენ, პირუკულმად იცვამდნენ ტყაპუქს (ცხვრის, თხის, დათვის. მგლის, ჭიხვის ტყავისგან დამზადებულს) და სოფლებში კარდაკარ დადიოდნენ. ცოტა მოშორებით დგებოდნენ და სიმღერით მასპინძელს ულოცავდნენ ახალი წლის მობრძანებას. ბერიკები უჩვენებდნენ საინტერესოდ მომზადებულ სანახაობას — „დათვობანას“. სანახაობის ჩვენების შემდეგ მონაწილენი მისართმევს მოითხოვდნენ. იყო ხოლმე ისეთი შემთხვევაც, რომ მასპინძელი მეტრ ლიტენწის გამო არაფერს იმეტებდა. მაშინ ბერიკები მოქმედებით, ცეკვა-სიმღერით უარყოფითად ახასიათებდნენ მასპინძელს:

ქერში ჰკიდა ძველი ფიცრები,
ეშმაკებს ჰგვანან ჩვენი მასპინძლები,
ეშმაკის კულებს — მათივე რძლები.
ჩეფი, ჩეფი, ჩეფენა,
ოჯახის ბარაქა ტყისკენა!
არ ენახოთ წიწილა,
სახლი დაენგრეთ ცხვირწინა.

თანახმად ალ. ბიაზიროვის ნათქვამისა, ასეთივე საახალწლო სანახაობებს უჩვენებდნენ ჯავის რაიონის სოფლებში: ყემულთა, წონი, ერწო, ჩესელთა, ვრმანი, როკი; ზნაურის რაიონის სოფლებში: ყორნისი, რუსთავი, ოეორა და სხვა.

საინტერესო თეატრალიზებულ სანახაობებს უჩვენებდნენ სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულების დროს. ადრე ოსებს შორის ასეთი წეს-ადათი არსებობდა: დღესასწაულებსა თუ სხვა ნადიმებზე ხანში შესულები სუფრასთან ისხდნენ და დროს ატარებდნენ. ახალგაზრდისთვის სირცხვილად ითვლებოდა მოხუცების გვერდით დაჯდომა და სპირტიანი სასმელის თუნდაც გემოთი გასინჯვა. მოზარდი

ახალგაზრდობის ძირითად მიზანს შეადგენდა. რაც შეიძლება მეტი სანახაობითა და ხალისიანი საიმპროვიზაციო ხელოვნების სხვადასხვა ქანრით გაერთოთ მონადიმე უფროსები. თეატრალიზებული სანახაობების ჩვენებით გამოირჩეოდა აღდგომის დღესასწაული. აღდგომის საღამოსაც სოფლის ახალგაზრდები კარდაკარ დადიოდნენ. ამჟერად მათ უწოდებდნენ ჭონაზე მოსიარულეებს. ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, ახალგაზრდები ოსეთში აღდგომის ღამეს მთელი ღამე სიმღერით სოფელ-სოფელ დადიან. მათ ქრისტეს აღდგომის მახარობლებს ეძახიან. ამიტომ რომელ ოჯახშიც მივლენ, იქ ან უნდა აჩუქონ წითლად შეღებილი კვერცხები, ყველი, ანდა სხვა რამე⁸⁴. იგივეს იმეორებს ეთნოგრაფი ლუდვიგ ჩიბიროვი⁸⁵.

სახალხო სანახაობების წარმოსადგენად ხალხს თეატრალური ხელოვნება სჭირდებოდა. პროფესიული თეატრის არსებობის პირობებზე, არ იყო. ამის გამო თავის ამ სულიერ მოთხოვნილებას ისინი თეატრალიზებული სანახაობებით იკმაყოფილებდნენ. ამ სანახაობებს ოსი ხალხი დიდი აღტაცებით ხვდებოდა, უფრო მეტიც, საინტერესო ღონისძიებებში მყოფი მთელი თვითონაც მონაწილეობდა.

ჭონაზე მოსიარულე ახალგაზრდების რიცხვი 20—40 კაცს შეადგენდა. ძირითადად მამაკაცები მონაწილეობდნენ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ქალიც გამოჰყავდათ ხოლმე, მხოლოდ მამაკაცის კოსტიუმში მონაწილეთა წლოვანებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

სააღდგომო რიტუალის, ეგრეთ წოდებული ჭონაზე მოსიარულეთა სანახაობის ტექსტის ყველა ვარიანტი თითქმის ერთი და იგივე პრინციპზეა აგებული და ერთმანეთს იმეორებს, ამიტომ საილუსტრაციოდ მოგვყავს მხოლოდ ერთი.

წარსულში ჭონის აქტიური მონაწილის — 93 წლის გიორგი ჯიოვის (ქარელის რ-ნი, სოფ. ყელეთი) და 70 წლის ზაურბეგ ზოზროვის. (ლენინგორის რ-ნი, სოფ. წირი) გადმოცემით, სააღდგომო ჭონაზე გასასვლელ სამზადისს ათი დღით ადრე იწყებდნენ.

პირველად უნდა ეშოვათ წინწკლებიანი ცხენის ნილაბი, ქათმებისა და ფრინველების ნიღბები, შინაური ცხოველებისა და ნადირების ქურჭები, დახეული ტანსაცმელი; ხოლო შემდეგში მოემზადებინათ სანახაობა. ჭონაზე დადიოდნენ მზის ჩასვლის შემდეგ, მთელი ღამის განმავლობაში, კარიდან კარზე, სოფლიდან სოფელში. საახალწლო რიტუალისგან განსხვავებით, საჩუქრად იღებდნენ მხოლოდ კვერცხებს. მასპინძელს თვითონ გამოჰქონდა კვერცხები (3-დან 15-მდე) და წითელაქება „ცხენზე“ წითელ ხურჭინში თავისი ხელით აწყობდა. ცხენის ნიღბის ქვეშ შეერთებული იყო ორი ადამიანი. პირველს ნილაბი თავზე ჰქონდა ჩამოცმული, მეორეს — უკანა

მხრიდან ხელებით ეჭირა პირველი და თან წელში იყო მოხრილი. ნიღბიდან მოყოლებით გადაფარებული ჰქონდა წითლად დაწინწკლული ტყავი, ან უხეში შალისგან საგანგებოდ დამზადებული ნაჭერი. ერთი შეხედვით, მართლაც თქმულებებში აღწერილი აღდგომის ცხენის ფორმა ჰქონდა. თუ მონაწილეებს შორის პატარა ბიჭი იყო, მაშინ „ცხენზე“ მას შესვამდნენ. იგი იყო პასუხისმგებელი კვერცხების მიღება-შენახვაზე. სააღდგომო რიტუალს შეძახილებით იწყებდნენ. რიტუალის მონაწილეებიდან, რომელსაც დახვეწილი მეტყველება ჰქონდა. ის იწყებდა, სხვები ბანს აძლევდნენ:

დამწყები: ღმერთმა ააშენოს ეს ოჯახი!
 გუნდი: ააშენოს!
 დამწყები: სიბნელე და სიმწარე ააშოროს!
 გუნდი: ააშოროს!
 დამწყები: სიხარული არ მოაკლდეს!
 გუნდი: არ მოაკლდეს!
 დამწყები: ღმერთო, ღმერთო, ამ ოჯახში
 იყოს ლხინი და ქორწილი!
 გუნდი: იყოს ლხინი და ქორწილი!

ამ მცირე დიალოგის შემდეგ იწყებდნენ გუნლურ სიმღერას:

ალათასა, ბალათასა,
 კვერცხი ჩადეთ კალათასა,
 მოგიმატებთ ბარაქასა
 და სიხარულსა ათასსა.
 დგას აღდგომა ხურჯინებით,
 მასპინძელო, კართან გელით.
 მოგვაწოდე ქათმის კვერცხი
 პატარძალის ოქროს ხელით.

ქათმისა და მამლის ნიღბიანები პანტომიმით სამიჯნურო საამუერო სცენებით სასაცილო იმიტაციას ასახავდნენ და ამით ართობდნენ საყურებლად მოგროვილ საზოგადოებას.

იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელი იძუწებდა (ეს გამონაკლისი იყო, მაგრამ მაინც ზოგჯერ შეიძლებოდა მომხდარიყო), მაშინ მოხუცი დედაბრის როლში გამოსული ალილოსი ორივე ფეხით კოჭლობას იწყებდა და ეზოში აქეთ-იქით სიარულით ძლივს მიათარებდა ფეხებს. ზოგან იქცეოდა კიდევ, თან ყოველგვარ უხეშ, უცენზურო სიტყვებს ხმამაღლა გამოთქვამდა მასპინძლის მისამართით, ოჯახს წყევლიდა:

ქათმის ქირო, აქეთ მოდი,
 არ მოსცილდე ამ ძუნწ ოჯახს,
 გაუწვიტე ფრინველები,
 ნუ შეარჩენ ქათმის მოდგმას,
 წყველა ვიცი ავი, სუსხი,
 დე გაუწვიტე ყველა კრუხი,
 ალათასა, ბალათასა,
 ძუნწებს ვუფრთხოვთ ბარაქასა!

გულმოსული მასპინძელი იძულებული ხდებოდა ასეთი ალილო-სისათვის დიდი კეტით გაეცა სათანადო პასუხი, ან ვედრით წყალი შეესხა.

წარსულში საქართველოში ქალაქად თუ სოფლად ფართოდ იყო გამოყენებული ხალხში დამკვიდრებული სახალხო სანახაობა „ყენობა“, რომელსაც უფრო „შავ ორშაბათს“ უწოდებდნენ⁸⁶.

ოსი ხალხის ისტორიისა და კულტურის დიდი მოამაგის, გასული საუკუნის საზოგადო მოღვაწის — ნიკოლოზ ბერზენოვის (ბერძინიშვილის) გადმოცემით, ქართველები „ყენობას“ დღესასწაულობენ ოსებიც იგივე ფორმით. იმათი რწმენით, აღდგომის წინა კვირას, ორშაბათსა და სამშაბათს ზუსტად ემთხვევა ის დრო, როცა ფარაონი ჩაეფლო შავ ზღვაში. შესაძლოა, ამავე მოსაზრებით ქართველები „ყენობაზე“ შპს ისროდნენ წყალში. ამ მხარის პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რბევამ და დაქცევამ, რომელსაც სპარსეთისაგან განიცდიდა ქართველობა, განაპირობა მათ მიერ კომიკური რიტუალის სხვაგვარად წარმოდგენა: რადგანაც სპარსეთის ხელყოფას ოსეთი აცდა, ამიტომ „ყენობამ“ აქ თავისი უძველესი ფორმა შეინარჩუნა⁸⁷.

ოსურ ზეპირსიტყვიერებაში სიტყვა „ყენი“ ხშირადაა ხმარებული. ოსებში დღესაც ხმარობენ ასეთ გამოთქმებს: „Ma хьул хъен алаууыд“ (ჩემი კოჭი ყენად დადგა), „Ma ныхма цы схъен да“ (წინ რა ყენად დამიდექი), «Хъены лауд каены» (ყენივით დგას) და სხვა. ასეთი გამოთქმები უამრავია. ოსურ-რუსულ ლექსიკონში სიტყვა „ყენი“ განმარტებულია შემდეგნაირად: ყენი — ფეხზე მდგომი, აყუდებული, ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი. ყენ სლავდ — ვერტიკალურად დადგა⁸⁸.

საფიქრებელია, რომ ოსური სიტყვა „ყენი“ უძველესი ოსური სანახაობა „ყენობიდან“ გამომდინარეობს.

სოფ. როროში მცხოვრები (95 წლის, აწ განსვენებული) სერგო ჩერთყოევი ოციოდე წლის წინათ ჰყვებოდა, რომ მის მამას თვედორეს პატარაობისას ხშირად უნახავს „ყენობა“ ქარტისში, ცხილონში, ზაყორსა და წოლდში. სერგოს გადმოცემით მტერზე გამარჯვებული ყენი ხელებით დგებოდა მიწაზე და ასე ცეკვავდაო.

ქართული ხელოვნების ცნობილი მკვლევარის — აკადემიკოს შალვა ამირანაშვილისა და პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის მტკიცებით „ყენობა“ რელიგიური კი არა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური დღესასწაულია, რომ ყენობაში დატულია ქართველი ერის ისტორიული თავგადასავლის სხვადასხვა ფაქტი⁸⁹.

შეიძლება დავუშვათ აზრი, რომ ყენობა ოს ხალხშიც არსებობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს სანახაობა დავიწყებას მიეცა,

სხვა თეატრალიზებულმა სანახაობებმა გამოდევნეს იგი. ოსურმა ლე-ქსიკამ და ზეპირსიტყვიერებამ ყვენობის სახელწოდება მაინც შე-მოინახა.

სა-ნტერესოა ისიც, რომ ძველად ოს ხალხში „ყვენობა“ არა მარტო სახალხო სანახაობა იყო, არამედ უძველესი დროის ერთ-ერთ თამაშობას „ყვენობა“ ეწოდებოდა. ეთნოგრაფ ს. გაგიევის გადმოცემით, იმ თამაშობების გარდა, რომლებიც ადამიანს უნვითარებენ ძალას. სწრაფ მოძრაობას, ამტანიანობას, ოსეთში ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე, მაგიდის თამაშობებიც, რითაც ვლინდებოდა მოსახრების ნიჭი, ჩქარი და სწორი აზროვნება.

მაგიდის თამაშობებიდან ერთ-ერთი პოპულარული და უძველესი იყო „ყვენობა“⁹⁰.

თეატრალიზებული სანახაობებით იწყება ოსებში უძველესი დროიდან არსებული რელიგიური დღესასწაული „ხორ-ხორ“ (პური-პური). რომელიც იმართებოდა ვაცილას (წმინდა ილიას) პატვისცემად.

ზაქარია ჭიკინაძის ცნობით, ოსებმა ილიაობა (ვაცილობა) ზაფხულში იციან. როცა ყველაფერს მოამზადებენ, მაშინ მთელი ხალხი ფეხზე ადგება და ხევისბერები ხელში დაიჭერენ ანთებულ საინთლებს, სასმელით სავსე ყანწებს და ასე ევედრებიან წმინდა ილიას: დაგვიფარე სეტყვა-მეხიდან და უბედურებისგან და წლის მოსავალი კარგი მოგვიყვანე⁹¹.

ნ. ბერძენოვის გადმოცემით „ხორ-ხორის“ დღესასწაული⁹² ოსებში ასე იწყებოდა: სადღესასწაულოდ შეკრებილებიდან ერთი საშუალო ხნის კაცი, სახელად სოზირიყო ქუდს იხდიდა, ხელში სასმისს აიღებდა და ოდნავ აწვეთებდა. მისი ამხანაგი კი სასმისს ნელ-ნელა თავზე ისხამდა, თან ახალგაზრდებს მიმართავდა:

— რას ითხოვთ, ბიჭებო?

— ხორბალს, ხორბალს, ხორბალს!

კითხვა-პასუხი გრძელდებოდა მანამ, სანამ სასმისი მთლად არ დაიცილებოდა.⁹³

ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის სერგი მაკალათიას გადმოცემით, ხევსურები გვალვის დროს მიმართავდნენ წმინდა თეატრალური ხასიათის შემდეგ რიტუალს: დედაკაცები წელზემოდ დატიტვლდებიან, სახნის უღელს წაიღებენ და წყალზე კვალს გაავლებენ. ორი ქალი უღელს შეებმის, „მხნავი“ გუთნის დედა უკან მიჰყვება, „მწაფავი“ წინ მიუძღვის და ხარებს ერეკება. გუთანს წყალში სამჯერ გაატარებენ. წყალს ერთმანეთს შეასხამენ და იძახიან — „ალარ ვვინდა გორახი, ღმერთო მოგვე ტალახი“⁹⁴.

გვალვის დროს წარსულში ანალოგიურ მოქმედებას მიმართავდ-

ნენ ქსნის, ლეხურის, ლიახვის და ფაწას ხეობებში მცხოვრები ოსებიც. უძველეს დროს ქალები მდინარეში გუთნის გარეშე ჩადიოდნენ, წყალს ასხამდნენ ერთმანეთს და ვაცილას სთხოვდნენ წვიმის მოყვანას. ეს რიტუალი გვხვდება ოსურ ზეპირსიტყვიერებაშიც.

ვ. ჩურსინის, უფრო მოგვიანებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ბაგრატ ტეხოვის აღწერილობით, გვალვის პერიოდში სამხრეთელი ოსები თხრიდნენ ცარციათის⁹⁵ უძველეს საფლავებს, ძვლებს მალა ყრიდნენ და ასველებდნენ, წვიმის მოსვლას ითხოვდნენ ვაცილასგან, შემდეგ ისევ ასაფლავებდნენ⁹⁶.

„ხორ-ხორის“ დღესასწაული უფრო ფართოდ და დეტალურად აქვს აღწერილი თანამედროვე ოს ეთნოგრაფს ლ. ჩიბიროვს, რომელიც აღწერს: თამაშობების ზაფხულის ციკლი იხსნება ერთ-ერთი ფართო მასშტაბის დღესასწაულით „ხორ-ხორი“ (ხორბალი-ხორბალი). დღესასწაული ცნობილია ხორბლის ხატის ვაცილას საზეიმოდღის სახელწოდებით. ამ დღეს მამაკაცებიდან ერთ-ერთი ასახიერებს „ხორი ლაგს“ (ხორბლის კაცს). მას პირუკულმა ქურქს აცვამენ და შეძახილებით ასხამენ წყალს. შემდეგში საზეიმოდ აცილებენ უახლოეს მინდორში და ასრულებენ რიტუალურ თესვას.

დღესასწაული „ხორ-ხორ“ წარსულში ფართოდ აღინიშნებოდა სამხრეთ ოსეთში, განსაკუთრებით ყვირილას. ჯოჯორას და ფაწას ხეობებში.

რიტუალური თესვის დამთავრების შემდეგ სოფელში აწყობდნენ ნადიმს, სადაც სხვა საინტერესო სანახაობებთან ერთად, ხანშიშესულებს ასხამდნენ წყალს მანამდე, სანამ სარიტუალო მოქმედებაში არ ჩაებმებოდნენ. დიასახლისები ცომისგან ამზადებდნენ ხარს. ეუთნის, უღლის და სხვა სახნავი ინვენტარის ფიგურებს⁹⁷.

რელიგიური დღესასწაული, რომელშიც მთელი სოფელი ღებულობდა მონაწილეობას, სანახაობის უმეტესი ეპიზოდები ადრინდელი საიმპროვიზაციო თეატრის უტყუარი ელემენტებია. აწ განსვენებულ პროფესორ ბ. ალბოროვის არქივში მრავალი მასალა ინახება, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ოსური კულტურისა და ხელოვნების საწყისების შესახებ. ბ. ალბოროვის მასალებიდან ჩანს, რომ „დათვობანას“ არა მარტო ახალი წლის დამეს თამაშობდნენ, არამედ ამ საინტერესო სახალხო სანახაობას უჩვენებდნენ სხვა საკულტო დღესასწაულების დროსაც: თამაში „დათვობანა“, — დ. დულაევის ცნობით, — სრულდებოდა აღდგომის შემდეგ პირველ ხუთშაბათს. დღესასწაულ „ღმერთის ხატობის“ პერიოდში, თამაშის მოქმედი პირებია: დათვი, მისი პატრონი და კახაკი. დათვი მოქმედებას იწყებს პატრონის მითითებით, მაყურებლისგან მოითხოვს ხუთკაპიკიანს. მისი მიღების შემდეგ ის იწყებს ცეკვას. საცნეკაო

მოედანზე გროვდება საზოგადოება და ერთობა სანახაობით: გამძლოლის როლს ასრულებს ოსურ ჩონაში გამოწყობილი, მაღალქუდიანი, წვერებიანი მამაკაცი, რომელსაც წელზე ვერცხლის ქამარხანჯალი არტყია. დათვს სახეზე ჩამოფარებული აქვს ნაბდისგან დამხადებული ნღაბი. ხელებზე უკეთია ბანჯგვლიანი ხელთათმანები. დათვი შეუჩერებლად აქნევს თავს, იმანჭება, ცეკვავს, შემდეგ ეცემა მიწაზე — პირდაპირ იმ ადგილას, სადაც პატივცემული სტუმარი ზის. იგი მანამდე არა დგება, სანამ არ მიიღებს ფულად საჩუქარს. ოჯახის უფროსი აძლევს ფულს და ფეხს ურტყამს დათვს. ეს უკანასკნელი წამოხტება და დაიწყებს ცეკვას. ამის შემდეგ იწყება ჩვეულებრივი ცეკვა. დოლი, მიზანში სროლა და სხვა.⁹⁸

ბ. ალბოროვის მიერ აღწერილი სანახაობის ანალოგიური სიუჟეტები ჩაგვაწვრინეს როგორც ჩრდილო ოსეთის, ასევე სამხრეთ ოსეთის მკვიდრმა მცხოვრებლებმა, რომლებიც გამოთქვამდნენ იგივე აზრს, რომ სანახაობა „დათვობანას“, მოქმედების ოდნავი ცვლილებით. გარდა ახალი წლისა, სხვა დღესასწაულების დროსაც უჩვენებდნენ. ზოგ სოფელში დათვის მაგივრად სანახაობაზე გამოჰყავდათ ჯიხვი. თხა. ცხვარი, მგელი, მაიმუნი. 70 წლის ზაურბეგ ზოზიროვის გადმოცემით ლენინგორის რაიონის სოფლებში — წირში, უკანა წირში, ჭხანკსა და არმაზში დათვის მაგივრად გამოჰყავდათ თხა და მაიმუნი, რომელნიც ლაზღანდარობის შემდეგ საარშიყო მოქმედებებს ამძაფრებდნენ ქალთა საზოგადოებაში. ეს თეატრალიზებული სანახაობის კომპონი კულმინაციას აღწევდა მაშინ, როცა თხის როლს ქასოვეი გასი ასრულებდა, ხოლო მაიმუნის როლს კი სერგო ჩეთიევი. თხის ნიღაბჩამოცმული, გრძელწვერა, ჯიხვის ბანჯგვლიან ქურქშემოხვეული გასი „მე... მე... ე... ეს“ ბლავილით აქეთ-იქით დახტოდა, ხოლო სერგო კი მაიმუნის ნიღაბში, პატარა რქებით, წაბლისფერ ნაქსოვ სამოსელში, რომელსაც ხარის, ძროხის ან კამეჩის კული ეკეთა. წრეში ჩიკორივით შემობზრიალდებოდა, ხელებს, ფეხებს, ტანს ერთდროულად ამოძრავებდა და ხმამაღლა გაჰკიოდა: „ეშმაკი ვარ, ეშმაკი ვარ, გამეცალეთ! ვინც მომეკარება, ის ცხოვრებაში მოტყუებული დარჩება!“ მაყურებელი მართლაც ერიდებოდა „ეშმაკს“, ამიტომ ვისკენაც მიდიოდა, ის ჭკუფი ყვირილით წრიდან გარბოდა. ამგვარად სანახაობის წარმოსადგენად ფართო, განიერი წრეც იქმნებოდა. შემდეგ მორიგი ნომერი იყო თეატრალური სანახაობა. სანახაობა იწყებოდა ცეკვა-თამაშით, ხალხური სიმღერით. ხალხს ვასაცივებლად სიმღერაში ხმარობდნენ ყველაზე უცენზურო სიტყვებს. მღეროდნენ უშმაწური სიტყვებისგან შემდგარ ლექსებს.⁹⁹ მათ-ს სტუმარო მოქმედების დროს ხალხი სიცილით იგულებოდა, მაყურებელი კი ყოველთვის უამრავი ჰყავდა. გროვდებოდნენ მეზობე-

ლი სოფლებიდანაც, ისინი საინტერესო სანახაობის ცქერით ტკბებოდნენ.

ნამდვილი თეატრალური სანახაობები იმართებოდა ჩრდილო ოსეთში მდებარე სოფელ ძიგვისში რელიგიური დღესასწაულის დროს. აქ იკრიბებოდნენ ცნობილი ოსი მოლექსეები, მოშიარენი, მოჯირითენი, მოცეკვავენი, მომღერლები, უონგლიორები, რომლებიც კმნიდნენ ჯგუფებს და აწყობდნენ სანახაობას. ეს საინტერესო სანახაობანი დეტალურად აღწერა მ. თულანოვმა, რომლის მიხედვით ძველ ოსეთში ქურთათის ხეობის სოფ. ძიგვისში ყოველწლიურად დღესასწაულობენ ადგილობრივი ხატის დღეს. აქ გროვდებოდა ხალხის უმრავლესობა, ყველა ასაკის ქალი თუ კაცი. მაყურებლის გასართობად გამოყოფილი იყო ერთი ახალგაზრდა, რომელიც ასახიერებდა მაიმუნს. თავზე აცვამდნენ თვითნაკეთ რქებოან ნიღაბს თხის წვერით, თვალები შემოხაზული ჰქონდა წითლად. ქურქი ეცვა უკუღმა, რომელსაც ქსოვილის ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ჰქონდა ხის თოფი და ხის ხანჯალი. „მაიმუნი“ შეუწყვეტლივ ბუტბუტებდა უაზროდ, გაუგებრად, ამიტომ სჭირდებოდა მთარგმნელი, უფრო სწორედ, თვითონ ასახელებდა მთარგმნელს. „მაიმუნი“ მაღალი ხმით, მთარგმნელის მეშვეობით, ელაპარაკებოდა ხალხს. „მაიმუნს“ მაყურებლის ყველა შეკითხვაზე პასუხი უნდა გაეცა. გონივრულ კითხვა-პასუხს შეკრებილები ხალისით ხვდებოდნენ. მაყურებელი დიდხანს იმახსოვრებდა ასეთ საინტერესო ღონისძიებას¹⁰⁰.

ამ ჩანაწერიდან ნათლად ვლინდება, რომ სანახაობას ორი და მეტი მთავარი მოქმედი პირი ჰყავდა. ამავე დროს, ისინი იმდენად იყვნენ მომზადებულნი, რომ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა შეეძლოთ. ეს ინფორმაცია იმაზე მეტყველებს, რომ თვითმოქმედი მსახიობები დაჯილდოებული იყვნენ მრავალმხრივი ნიჭით. ძიგვისის სანახაობა მთლიანად თეატრალიზებულია, რომელსაც აქვს წმინდა თეატრალური სახე, როგორც კოსტიუმით, ნიღბით, ასევე შესრულების ფორმითაც და აგებულია სიუჟეტური დიალოგების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ძიგვისის საკულტო დღესასწაული უნდა ჩაითვალოს ოსური სახალხო თეატრის და ოსური თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ საწყისად.

გამართულ თეატრალურ სანახაობას დადებით შეფასებას აძლევს პროფესორი ბ. ალბოროვიც, რომელმაც თავის არქივში დავიტოვა საგულისხმო მასალები ოსური თეატრალური ხელოვნების საწყისების დასადგენად.

ძიგვისის ვასთირაჯის (წმინდა გიორგის) დღესასწაულზე იკრიბებოდა მთლიანად ქურთათის ხეობის მოსახლეობა. დღესასწაულის დღეს ეწყობოდა დოლი. სადღესასწაულო სანახაობის მშვენებას

წარმოდგენდა ახალგაზრდებისა და უფროსი თაობის ცეკვა-თამაში. სიმღერა და ოხუნჯობა. სანახაობის ცენტრალური ფიგურა იყო „მაიმუნი“ და მთარგმნელი.

მუნჯ მაიმუნს ტანზე ეცვა ქურქი უკუღმა. ეხურა ბანჯგელიანი ქუდი. სახეზე ჰქონდა ნაბდის ნილაბი, თავზე — თხის რქები.

მაიმუნი მთარგმნელის საშუალებით ჰყვება თავის უბედურებას. უკმაყოფილოა იმით, რომ ყმაწვილები მასხარად იგდებენ. დაცინიან მის ხის ხმალს. მის დიდ პირს, უცხვირო სახეს, თხის რქებს. ბავშვები სთხოვენ იმ ფულს, რომელიც შეაგროვდა მოქეიფე ხალხისგან. ის აგდებს მოძალადეებს, თავიდან იშორებს ხის თოფისა და ხის ხანჯლის მეშვეობით. და შემდეგ კვლავ ფულს აგროვებს შემდეგნაირად: იგი სწრაფად იწყებს ცეკვას, მოულოდნელად ეცემა შემძლებულ თანასოფელს, ჩამოაცვამს თავის ხის თოფს და აღარ მოეშვება მანამდე. სანამ იგი ფულით არ გამოისყიდის თავს.

მაიმუნი მთარგმნელს შესჩივის. რომ შეწუხებულს სიცოცხლეც შესძლდა. ამიტომ ხის ხმლით აპირებს თავის მოკვლას. ამის უფლებას მთარგმნელი არ აძლევს. მთარგმნელი ხელში აძლევს ლუდს. იგი დაინახავს თავის სახეს ლუდში, შეეშინდება და კვლავ ცდილობს თავის მოკვლას.¹⁰¹

ძიგვისის წმინდა გიორგის დღესასწაულის დროს გამართული თეატრალური სანახაობის ასეთი პროფესიული აღწერა (ნილაბი. კოსტიუმი, შესრულების ტექნიკისა და სხვა საკითხები) სხვა მკვლე ვარებს არ მოუციათ.

ძიგვისის ტაძართან გამართულ დღესასწაულს ეხება. ეთნოგრაფი პროფესორი ბორის ალექსანდრეს ძე კალოევი.¹⁰² მისი გადმოცემით. ძიგვისის დღესასწაულზე მთელი ხეობის ხალხი იყრიდა თავს. დღესასწაულის მონაწილეთა რიცხვი მრავალ ასეულს აღწევდა. ვინაიდან სანახაობა-გართობაში მონაწილეობდა დამსწრეთა უმრავლესობა.

თეატრალიზებული სახე ჰქონდა უძველესი პერიოდის ოსურ საკულტო რელიგიურ დღესასწაულს — თუთირს (ქართულ მისტერიასში დღესასწაული თევდორობის სახელწოდებითაა ცნობილი). გ. ჩუჩსიანი თუთირს უწოდებს მგლების მწყემსს. ასე უწოდებენ თუთირს ოსებიც და ოსეთის ისტორიის სხვა მკვლევარებიც. პროფესორ ახსარ მაგომეტოვს მიაჩნია, რომ „თუთირი“ არის „თევდორე ტარელისა“ და ქართული „თევდორობის“ გაერთიანების შედეგად მიღებული.¹⁰³ ა. მაგომეტოვზე ადრე ეს აზრი გამოთქვა გასულ საუკუნის მკვლევარმა ნიკო ბერზენოვმა.¹⁰⁴ ოსი ეთნოგრაფები ბ. კალოევი და ლ. ჩიბიროვი სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ოსები თუთირობას უძველესი დროიდან დღესას-

წაულობენ. ამის დასამტკიცებლად მკვლევარებს მრავალი ფაქტი მოჰყავთ. ავტორები აღნიშნავენ, რომ თუთიარზე უამრავი თქმულე-ბა და ლეგენდა შემონახულა ოსურ ზეპირსიტყვიერებაში. აი ერთ-ერთი მათგანი, რომელშიც ღრმად არის ჩაქსოვილი თეატრალური ელემენტები: „თუთირის პირველ დღეს ამზორათის ახალგაზრდე-ბი სანაძლეოზე ცეცხლსასროლი იარაღით ნიშანზე ისროდნენ. სა-ნაძლეოზე დათქმული ჰქონდათ თითო ყოჩი. პირველი გასროლის უფლება მისცეს ამზორს. ამ უკანასკნელმა ნიშანში კაცი დააყენა, რომელსაც თავზე კვერცხი დაადო. გასროლა და ტყვია კვერცხს მოხვდა. სანაძლეო მოიგო ამზორმა. ახალგაზრდებს შემურდათ და გადაწყვიტეს ამ ვაჟკაცის გაბიაბრუება. მათ ამზორს განუცხადეს: ჩვენ გაუწმენდავი თოფებით ვისროლეთ და მიზანს იმიტომ ავა-ცდინეთ, ამიტომ მეორედ უნდა ვისროლოთ. ამზორათის ახალგაზრ-დებმა მკვდარ ცხვარს ჩოხა ჩააცვეს, ქუდი ფაფით გაუცვეს, და-აყენეს ნიშანში და კვლავ თავზე კვერცხი დაადვეს. ამზორმა და-უმიზნა, მაგრამ ვილაცამ ხელი ჰკრა და ქუდი ნათლეთებად აქცია ტყვიამ. ქუდის გარშემო თხელი ფაფა დაიდგარა. ამზორათის ახალ-გაზრდობამ უდანაშაულო ამზორს ჩხუბი აუტეხა იმ საბაბით, რომ ჩვენს კაცს თავის ტვინი დაანთხევივნო“¹⁰⁵.

ზ. ჭიჭინაძის აღწერილობით, თევდორობის პირველ დღეს — ორშაბათს ოსეთში მწყემსები როდინში ინახავენ სავარცხელს, მა-კრატელს, რომლებსაც ქამრით ქუდთან მაგრად იკრავენ და ასე სა-ში დღელამე არც პურს ჭამენ, არც წყალს სვამენ. მხოლოდ მარ-ხულობენ და ფეხშიშველა დადიან.

როცა მესამე დღე ღამდება, მაშინ აცხოებენ ლავაშებს, აკე-თებენ ბურახს წმინდა თევდორეს შესაწირად და ასე ევედრებიან: წმინდა დიდებულო და ძლიერო თევდორე, დაიფარე ჩვენი საქო-ნელი მგლებისაგან; რადგანაც შენი ჭოფაკებია მგლები, ამიტომ პირი და ყბები ისე შეუჯარი, როგორც ამ როდინს პირი ჩვენ შე-ეუჯარით ორშაბათიდან შაბათამდინ. თევდორობის დღეებში ხალხი დიდი პატივისცემით უქმობს მთელი კვირის განმავლობაში, თამა-შობასა და ხუმრობაში ატარებენ დროს. თვითონ წმინდა თევდორეც დიდი ხუმარა და მოთამაშე იყო. ასე რომ მთელ ანგელოზებს აჯადოებდა ცეკვა-თამაშით¹⁰⁶.

ცხადია, რაკი ოსები წარსულში ფიქრობდნენ, რომ თუთირი ანგელოზების გამრთობი, ხუმარა და კომიკოსი იყო, ისინი თვითო-ნაც ცდილობდნენ საიმპროვიზაციოდ წარმოდგენილი ესა თუ ის ნომერი დახვეწილი, სრულფასოვანი, მოსაწონი და საუკეთესო ყო-ფილიყო. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოეწონებოდა ისინი თვით „ხელოვან“ თუთირს. ეს გრძნობა ყველა შემსრულებელს უბიძგე-

ბლა ჩქითკენ, რომ უკეთესად წარმოედგინათ თუთიარის საპატრუ-
ცემოდ გამართულ სანახაობაში თავიანთი ხელოვნება. ეთნოგრაფი
ლ. ჩიბიროვიც იზიარებს ზ. კიკინაძის აზრს, რომ თუთიარის დღე-
სასწაული მთელი კვირა გრძელდებოდა. ამ დღესასწაულიდან ყველა-
ზე მნიშვნელოვანი დღესასწაულის პირველი დღე იყო, ე. ი. ორ-
შაბათი. ამ დღეს მთელი ხეობის სახალხო მომღერლები, მოშიარე-
ები, ხალხური მთქმელები, კომიკოსები, ყონგლიორები, მოჯირი-
თები, ერთი სიტყვით, ხელოვნების ყველა დარგის მოღვაწენი იკ-
რიბებოდნენ სოფლის ცენტრალურ მინდორში — „ნიხასში“,
სადაც იწყებოდა ასპარეზობა. სადღესასწაულოდ მოსულები შეხ-
ვედროსას ერთმანეთს შემდეგნაირად ესალმებოდნენ: „მფარველი
იყოს შენი თუთიარი“, „შენიც მფარველი იყოს თუთიარი“ — უპა-
სუბნებდა შემხვედრი.

სანახაობის პირველ ნომრად სრულდებოდა დოდი, უფრო
სწორად, ასპარეზობა ცხენებით. მოასპარეზენი გაქანებულ ცხე-
ნებზე ასრულებდნენ სხვადასხვა მოქმედებას ლამაზი და ოსტატუ-
რი მოძრაობებით. აქ ვლინდებოდა მათი ნიჭი, უნარი, გამბედაო-
ბა, უშიშროება, მოქნილობა.

თუთიარის დღეობის დღეს იმართებოდა შეჯიბრი მშვილდით —
მიზანში სროლაში, რომელიც თითქმის ყველა რელიგიური დღე-
სასწაულების დროს სრულდებოდა (გამონაკლისია საახალწლო.
დღესასწაული, სადაც სროლა იყო, მაგრამ არა მიზანში, არამედ
მთვარისკენ, მზისკენ, ვითომდა ციური მნათობების დასაცავად).

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა თუთიარის დღეს კო-
ჭით თამაში. ამ თამაშს ჰქონდა სხვადასხვა სახელწოდებები: „ყე-
ენი“, „შახი“, „ყოჩი“, და სხვა, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა
ფორმა. შინაარსი და შესრულების მანერა.

თუთიარის დღეს ყველაზე საინტერესო და მასობრივი იყო
მწყემსების მიერ შესრულებული თეატრალიზებული სანახაობა —
ეგრეთ წოდებული „თუთიარის პირშეკრული მგელი ცხვარში“.

რევან მუზაევისა და ალექსი ზოზიროვის გადმოცემით, მაღალ
დონეზე ტარდებოდა ქსნისა და ლეხურის ხეობებში ზემოთ დასა-
ხლებული სანახაობა. მთავარ მოქმედ პირს მგლის ნიღაბი ჰქონ-
და, დანარჩენებს კი თხების, ცხვრების და სხვა მსხვილფეხა და-
წვრილფეხა საქონლის ნიღბები.

ისმის საქონლის საგანგაშო ბლავილი. შემორბის პირაკრული
მგელი. თხები და ცხვრები ერთად შეჯგუფდებიან.

მგელი. ნუ გეშინიათ, დღეს ჩვენი მწყემსის, ყოვლისშემძლე თუ-
თიარის დღეობაა და ყველა მგელს პირი გვაქვს აკრული, რომ
არ დაფარვიოთ ჩვენი მფარველის სიხარული და სიმშვიდე.

ციკანი. რა კარგია... ეხლა კი ვეთამაშები ძია მგელს.
თხა. არ გაეკარო, ჩერჩეტო, მგელი პირაკრული კი არა. მკვდარიც
საშიშია.

მგელი. უტენო თხო, ხომ გითხარი, პირს ვერ ვაღებ... ცქიტ-
ციკანი გამოუშვი, მეც მინდა მასთან თამაში.

თხა. გამეცალე, პირსისხლიანო, თქვენი სინსილა გაწყდეს!

ბატკანი. ბატონო რუხო მგელო, ციკანი მშიშარაა. მე გეთამა-
შები.

მგელი. კეთილი და პატიოსანი... ახლო მოდი, ახლო, ნუ გეშინია-
ბატკანი. მოვალ, რატომაც არ მოვალ?.. სულაც არ მეშინია შენი..

(ბატკანი მგელთან ახლო მდის, მგელი ჩაიხუტებს ბატკანს, იღლიში ამოი-
ღებს და გასაქცევად ეშხადება.)

მგელი. ხა-ხა-ხა! სულელო ბატკანო... დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ.
დამთავრდება თუთირობა — მისი მარხვაც. პირი გამეხსნება-
და ამ მშიერ გულზე გემრიელად ვისაუზმებ.

ბატკანი. გამიშვი, გამიშვი, ურჩხული ყოფილხარ!

მგელი. არა. გეთაყვა. ჩემს ბასრ კბილებს ველარ გაექცევი ..

ხმა შორიდან. ეი, მიწის შობილნო! შინაურო და გარეულო-
ცხოველებო! მგელმა სიტყვა გატეხა. არ გაუშვათ! ჩაქოლეთ,
ჩაქოლეთ, მოკალით!

სანახაობის მონაწილენი ხელში კეტებით გარს ეხვევიან მგელს,
თავში ურტყამენ, თან ცეკვავენ და მღერიან:

დაკკათ, დაკკათ, უსირცხვილომ
არ შეიგნო წესი.
ალარა სწამს წმინდა ღმერთი,
ალარც მგლების მწყემსი!
დაკკათ, დაკკათ. სასირცხვილოდ
გაიმეტეთ მხიცი.
მკვდარს უთხარით—შე მუდრეგო,
აღე, ბატკანს იცი.

მგელი კვნესა-ღმუილით ვარდება მიწაზე.

მასპინძელი. მართლა მოკალით, თქვე ოჯახქორებო?!

თხა. მართლა, აბა ტყუილი სიკვდილი ვის გაუგონია.

მასპინძელი. აღარაფერი ეშველება?

ძაღლი. ეშველება, როგორ არა.

მასპინძელი. მაშ ჩქარა დოხტურთან გავიქცევი და წამალს-
მოუტრბენინებ.

თხა. მაგის წამალი შენა გაქვს. თუ გაიმეტებ, ამით მგელს სიცოც-
ხლეს შეუნარჩუნებ.

მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი. მითხარით და ახლავე მივართმევ.

თ ხ ა. მამ გადაუგდე ერთი ოქროს აბაზიანი და ეხლავე ფეხზე წა-
მოხტება.

მასპინძელი ჯიბიდან იღებს ოქროს აბაზიანს, აძლევს თხას, თხა „მეს“ ძახილით მივარდება მგელთან, სახეზე გაუსვ-გამოუს-
ვამს. მგელი წამოხტება, მუსიკის ხმაზე სხვადასხვა სახუმარო ცეკ-
ვას ცეკვავს. ამით მთავრდება მთელი ნომრის ჩვენება, იგივე ნო-
მერს იმეორებენ (ოდნავ ცვლილებით) სხვა ოჯახთან.

გასულ საუკუნეში როგორც ჩრდილოელი, ისე სამხრეთელი ოსები ფართოდ აღნიშნავდნენ საკულტო-რელიგიურ დღესასწაულ „გიორგობას“ (ოსურად — ჯივარგიება). გაზეთი „კავკასი“ 1855 წელს აღნიშნავდა, რომ ამ დღეობას ოსები ზეიმობდნენ 15 ნომ-
ბრიდან დეკემბრის დასაწყისამდე¹⁰⁷. ეთნოგრაფ გ. ჩურსინის აზ-
რით, გიორგობა აღინიშნებოდა ნომბრის შუა რიცხვებში, ამასვე გვიმტკიცებს ზაქარია ჭიჭინაძე¹⁰⁸.

კავკასიის კულტურის, ხელოვნებისა და ეთნოგრაფიის მკვლე-
ვართა შორის ფაქტების ზუსტი გადმოცემითა და ამ ზღაპრული მხარის მრავალმხრივი აღწერილობით ცნობილი იყო გამოჩენილი რუსი ეთნოგრაფი ვ. შევეკოვი. მისი თქმით, გაზაფხულზე, წმინდა გიორგის დღესასწაულის წინა დღეს ოსები აკეთებდნენ თოჯინას, წყალს ასხამდნენ და სთხოვდნენ ბარაქიანი მოსავლის მოცემას¹⁰⁹.

მახარბეგ თულანოვის გადმოცემით, ოსები — დიგორლები აკე-
თებდნენ ქალის მაგვარ ფიტულს, რომელსაც ქალები ცეკვითა და სიმღერით სამჯერ შემოატარებდნენ სოფელს, რის შემდეგ თოჯი-
ნას წყალში აგდებდნენ და ითხოვდნენ, რომ წვიმა მოსულიყო. ეს იმ სცენის შემცველი მოქმედებაა, როცა ადამიანები გვალვის წინააღმდეგ ცოცხალ ადამიანს სწირავდნენ, ახრჩობდნენ წყალში¹¹⁰.

ეს მოქმედება თეატრალური ხელოვნების ეპიზოდის გამომხა-
ტველი აქტია, რომელიც ტრაგიკულ სახეს ქმნიდა დიდი განცდე-
ბით, მძაფრი სიტუაციითა და სევდის გამომხატველი მოქმედებით.

ცნობილი ოსი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი გავრილ თავგაზოვი დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ჩრდი-
ლო ოსეთში (გალაჭირის ხეობა. სოფ. ზრუგში, სადაც ცხოვრობ-
დნენ ქოზაეები, თავგაზოვები და ბირალოეები).

გავრილის მამის გადმოცემით (ის თავის შვილებს ხშირად უყვე-
ბოდა ძველ წეს-ადათების ამბებს), გასულ საუკუნეებში მთელ კავ-
კასიაში აღიარებული ყოფილა ზრუგის მარიამთა (იგივე მარიამობა), რომელიც იმართებოდა 20 აგვისტოდან თვის დასასრულამდე. დღეო-
ბის დასასწრებად მოდიოდნენ კავკასიის თითქმის ყველა კუთხიდან.

დღეობა იწყებოდა სახალხო სანახაობის ჩვენებით, რომელსაც

აფასებდა უფროსი თაობის რჩეულთა საბჭო (საბჭოში შესული იყო სოფლის ყველა გვარიდან თითო კაცი). გამარჯვებულს სამივე გვარი ასაჩუქრებდა თითო სამწლიანი ჭედლიათი. მომდევნო დღეს იკვლებოდა მოგებული ჭედლები და გამარჯვებულის სახელით მარიამის ხატთან ახლოს მართავდნენ დიდ ნადიმს. ამის შემდეგ ხალხში რჩებოდა გამონათქვამი — ეს ისეთი ქებული ვაჟკაცია, რომ მის საპატივეცემოდ მარიამის მინდორში სპეციალური ნადიმი გაუმართესო.

— მამაჩემი დიანოზის სიტყვით, — გვარწმუნებს გ. თავგაზოვი, — ზრუგის მარიამთაზე ყოველთვის პირველ ადგილს იკავებდა დავით ბირნაზოვი. ერთხელაც უხუცესთა საბჭომ მოითათბირა, რომ ამჯერად სტუმრებიდან უკეთესისთვის მიეკუთვნებინათ პირველი ადგილი; ძართლაც, ზაყელ სოლომონ თომავეს მიაკუთვნეს პირველი ადგილი და აღიარეს, როგორც ხალხური სანახაობის ყველაზე უკეთესი შემსრულებელი.

ჩვენს დროსაც მართავდნენ გიორგობას, — ვკითხულობთ პროფესორ ბორის ალბოროვის არქივში, — კარიდან კარში დადიოდნენ ახალგაზრდები, ნილაბამოფარებული და პირუკულმა ქურქებით. ნიღბები ჰქონდათ თვითნაკეთი რქებითა და წვერით.

იმ ნიღბებში იგულისხმებოდა თხა, უფრო ხშირად კი ვაცი. ასეთი ნიღბოსნები მეზობლად მცხოვრებ ხალხებშიც იყო, ყველაზე მეტად კი ქართველებში.

ნიღბოსნები ქურთათის ხეობის (ჩრდილო ოსეთი) სოფლებში, განსაკუთრებით — ძიგვისში კარდაკარ დადიოდნენ და უჩვენებდნენ თავიანთ ხელოვნებას. სანახაობის მთავარი შემსრულებელი ატარებდა მაიმუნის ნილაბს, რომელსაც ჰქონდა წამოხურული დიდი ნაბადი და უშველებელი ხის ხმალი.¹¹¹

გიორგობის დღესასწაულის დრო აღსანიშნავია იმით, რომ სწორედ ამ პერიოდში ახალი დანიშნულები აწყობდნენ ქორწილებს.

მთის სოფლებში ნადიმის ან ქორწილის დროს ენამახვილ ნიქიერ ახალგაზრდას პირუკულმა უნდა ჩაეცვა ცხვრის ტყავისაგან დამზადებული ქურქი, იკეთებდა ორ ხის კოვზისგან ყურებს, მართლაც ეშმაკს დაემსგავსებოდა და ეშმაკივით ოთხ ფეხზე დარბოდა, ლაზლანდარობდა და ისე ართობდა საზოგადოებას.¹¹²

ქორწილებისა და სხვადასხვა ნადიმის დროს კომიკური სცენებიც მომწყობი და აქტიური მონაწილე იყო თრუსოს ხეობის მკვიდრი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ყოფილი წამყვანი მსახიობი და ამ თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ძაბიძირ აფანასის ძე ძახათი (გარ-

დაიცვალა 1964 წ.), რომელმაც 1962 წელს ჩამაწერინა შემდეგი: ჩვენი ხეობის სოფლებში თუ ვინმე იხდიდა ქორწილს, ან სხვა ნადიმს, აუცილებლად მთელ ხეობას ეპატიებოდა. ამავე დროს, არ ავიწყდებოდათ კომედიანტებიც. მათ მოსაყვანად გამოყოფილი მოპატიყეს საშუალებით სპეციალურად ცხენს უგზავნიდნენ. მეც მაკომიკებდნენ და ძალაუნებურად თითქმის ყველა ქორწილში მიხედებოდა სიარული. ვასრულებდი ყოველთვის ნართების ეპოსიდან გაიჰვერა, მაგრამ ეშმაკი და გონებამახვილი სირდონის როლს. ლაზ-ლანდარობითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით ვართობდი ხოლმე დღე-ღამის განმავლობაში მაყრიონს და უფროს თაობას. შეზარხოშებულები სიცილ-ხარხარს ვერ იკავებდნენ.

ჩემს გარდა ნადიმის თუ ქორწილის საკონცერტო განყოფილებაში კიდევ გამოჰყავდათ ჩვენი სოფლის ულამაზესი, ამავე დროს, ცქვიტი და გამბედავი ქალწული მადინა გუდიევა, რომელსაც სხვადასხვა ფერის საღებავით უთხუპნიდნენ სახეს. პირუკულმა ქურქს აცმევდნენ. უკეთებდნენ წვერ-ულვაშს, აბამდნენ ქამარ-ხანჯალს და ასახიერებინებდნენ დადებით ან უარყოფით პერსონაჟებს, უფრო ხშირად ნართების ეპოსიდან. მ. გუდიევა ჩემ მიერ განსახიერებული პერსონაჟის საწინააღმდეგო მოქმედებას ახორციელებდა. ასეთ შემთხვევაში ჩვენი დიალოგი მწვავედებოდა და მაყურებელიც მეტი ინტერესით გვაღვევებდა თვალ-ყურს. ასე, რომ ქორწილ-ნადიმის დროს ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა საკონცერტო განყოფილების თეატრალიზებული სანახაობები, რომლებიც თუმცა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდნენ, მაინც ხალხის მენსიერებაში ბოლომდე რჩებოდნენ...

გასული საუკუნის დასასრულს ოსურ ქორწილში თეატრალიზებული ეპიზოდები კონკრეტული მოქმედებითა და სათანადო არგუმენტებით აღწერა ზაქარია ჭიჭინაძემ. რომელიც ამბობდა, რომ როცა მთელი ხალხი ქორწილში დასხდებოდა, მაშინ ხევისბერები დაილოცებინან ჩვეულებისამებრ. მერმე ახალგაზრდები შემოიყვანენ ერთ-ერთს ან სხვა რამეს. მიმყვან კაცს ხელში უჭირავს გრძელი ჩიბუხი. გრძელი ბალნიანი ცხვრის ქურქი უნდა ჩაიცვას, სახეზე მურს წაისვამს, ხელში უჭირავს ქაღალდი და ხალხს უცხო ენით ელაპარაკება, ე. წ. ხატაეურად.¹¹³ მაშინ მოიყვანენ მთარგმნელს. იგი იტყუის — მთაზე გამოვიარე, საშინლად გამიავდარდა და საქონელი დაშეხოცა. მხოლოდ ცოტა გადავარჩინე, გთხოვთ რამდენიმე სული საქონელი შემინახოთ სამადლოდო. რამდენიმე სული საქონლის შენახვაზე მორიგდებიან, იმდენ ყანწ სასმელს ასმევენ მაყრებს და სტუმრებს. ახალგაზრდები კი ტაშს უკრავენ და „შახსეი-ვახსეის“ შოტივზე მღერაინ. შემდეგ რომელიმე ქალს ვაჟურად ჩააცმევენ და

სხვა ქალთან ერთად უნდა ლეკური იცეკვონ. ამ ვაჟურად ჩაცმულ ქალს მეფეს ეძახიან, მხოლოდ მის ამხანაგს, რომელიც ქალის ფორმაშია — დედოფალს. ორივე კარგი მოცეკვავე უნდა იყოს, რომ მას-პინძლებმა და სტუმრებმა საჩუქრით დააჯილდოონ.

როცა ამ მოცეკვაეებს გაისტუმრებენ, სიძეს ხელშეკრულს შემოიყვანენ და ბოძზე მიაკრავენ, თან ყვირიან — ტუსალი მოვიყვანეთო და კედელს ჯოხს ურტყამენ. მაშინ სიძის დედა ძღვენს მიუტანს სტუმრებს და სიძეს ათავისუფლებენ. ამის შემდეგ ხელჩაკიდებული მექორწილენი კერისა და სახლის დედაბოძის გარშემო ჩეფენას¹⁴ სიმღერით და ცეკვით უვლიან, რომლის ტექსტი ასეთია:

ერთად ვიღხინოთ, ერთად ვიცეკვოთ, ოი ჩეფენა,
ჩეფი, ჩეფი, ჩეფენა. ოი ჩეფენა.
ავსულს ვიღაც თან მოჰყავს, ოი ჩეფენა,
ვინც არ ასწევს მარჯვენა ყურს, ოი ჩეფენა.
იმას ცოლი მოუკვდეს, ოი ჩეფენა.
ვინც არ დასწევს მარცხენა ყურს, ოი ჩეფენა,
იმას ქმარი მოუკვდეს, ოი ჩეფენა.
კედლის ნახვრეტში თაგვის კუდია, ოი ჩეფენა,
უღარსი ქალი მართლაც ცუდია, ოი ჩეფენა.
ახალგაზრდებო, მოდით ვიღხინოთ, ოი ჩეფენა.
და პატარძალიც ჩვენთან ვალხინოთ, ოი ჩეფენა.
ქერი გაივსო შავი რწყილებით, ოი ჩეფენა.
რძალს დაუწყვიტეს მკერდის ღილები, ოი ჩეფენა,
ყინულზე შიშობს ბრგე ნიშა ხარო, ოი ჩეფენა,
კისერზე დაკიდეთ პატარა ზარი, ოი ჩეფენა,
ქალთან ვერ ბედავს სიძე ლაჩარი, ოი ჩეფენა.
გასაკიციხა ამგვარი კაცი, ოი ჩეფენა,
ფერდობს ჩამოწვა მაღლიდან ბორცვი, ოი ჩეფენა,
ქალი არ ვარგა ჩუმი და მორცხვი, ოი ჩეფენა.
ადარ აცალოთ უზრდელს საქმენი, ოი ჩეფენა,
უკვე იცელქა იცით რამდენი? — ოი ჩეფენა,
მარცხენა ფეხით ჩეფენაო, ოი ჩეფენა,
ერთად ჩაეწვეთო ლოგინად ყველა, ოი ჩეფენა.
ქორწილია, დავკლათ დიდი თოხლა. ოი ჩეფენა.
ერთად ეიმღეროთ, ერთად ვიღხინოთ, ოი ჩეფენა.
ჩეფი, ჩეფი და ისევ ჩეფი, ოი ჩეფენა.

გარდა ასეთი სახალისო სცენებისა, ქორწილის დროს გვხვდება სხვადასხვა თეატრალიზებული ეპიზოდებიც¹⁵. კერძოდ, ძველი ადათ-წესების კარგმა მცოდნემ, გიორგი აბაევმა 1965 წელს ჩაგვაწერინა ქვემოთ მოყვანილი საქორწილო ცერემონიალიდან ერთი მეთად საინტერესო ეპიზოდი, რომელიც მთლიანად თეატრალიზებულია. ეს ტექსტი გიორგის ჩაუწერია 1920 წელს სოფ. კობის მკვიდრის, 98 წლის ანდუყაფარ გუდიევისაგან. მოგვყავს ტექსტი მთლიანად:

ქორწილის დღეს ნეფის ოჯახში პატარძლის შემოყვანის დროს (უძველესი ადათ-წესის მიხედვით ასეთ სცენას მიმართავენ) სუფრის გამწყობი ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი სახეს იმურიანებდა, თხის, მაიმუნის ან სხვა ცხოველის ნიღაბს იკეთებდა, ცხვრის ქურქს უკუ-ღმა იცვამდა და სადაც ნეფე-დედოფალი უნდა დამსხდარიყო, სწორედ იმ სკამზე წვებოდა, თან განუწყვეტლივ კენესა-ოხვრას აბამდა, მას თავზე ადგა მომვლელი-მთარგმნელი. მაყრიონი მიუახლოვდებოდა ნეფე-დედოფლის სკამს, მაგრამ „ავადმყოფისაგან“ დაკავებული აღმოჩნდებოდა. შემდეგ უფროს მაყარსა და „ავადმყოფის“ მომვლელს შორის იმართებოდა შემდეგი დიალოგი:

მაყარი. ვინ არის ეგ მწოლიარე, ჩემი დის სკამი ვინ დაისაკუთრა? მომვლელი. ჩუმაღ. გონჯი სიტყვებით შეწუხებულ კაცს ნულარ ამწარებ.

მაყარი. რა მოხდა, რამ შეაწუხა?

მომვლელი. საქორწილო მოზვერი დასაკლავად დაიჭირა, მაგრამ იმ ოხერმა უადგილო ადგილას რქა ამოარტყა.

ავადმყოფი. ვაი, ვკვდები, მიშველეთ!

მაყარი. მართლაც საცოდაობაა... კი მაგრამ, აღარაფერი ეშველება?

მომვლელი. ხელმოკლეობას მოუკვდეს პატრონი, თორემ როგორ არ ეშველება... დოსტაქარს დავიჭირა ვებდი და ის წამოაყენებდა ფეხზე.

მაყარი. რა შუაშია ხელმოკლეობა? სირცხვილი სოფელს, რომ მომაკვდავს დროზე არ შველით.

ავადმყოფი. მიშველეთ, კეთილო ხალხო!

მაყარიონი. სირცხვილი სოფელს!

მომვლელი. სოფელი რა შუაშია.

მაყარიონი. მაშ ვინ?

მომვლელი. ვინ და თქვენ?!

მაყარიონი. (ერთად). ჩვენ?!

მომვლელი. დიახ. თქვენ! ქალი რომ არ გაგეზარდათ, ჩვენი ყმაწვილისათვის რომ არ მიგეთხოვათ, ეს მკენესარა კაცი მოზვერს ხომ არ დაიჭერდა. მოზვერს თუ არ დაიჭერდა, ავადაც არ გახდებოდა.

მაყარიონი. მართლაც ჩვენი ბრალი ყოფილა.

ავადმყოფი. გული მიწუხდება, ხალხო, მიშველეთ, ჩქარა!

მაყარიონი. მაშ თუ ასეა, დოსტაქარი მოიყვანეთ, ავადმყოფი წამოაყენოს, გასამრჯელოს ჩვენ გადაუხდით.

მომვლელი. დოსტაქარი აქ გახლავთ, ბატონო.

მაყარიონი. თუ აქაა, მაშ რაღას ელოდები, წამოაყენოს რაღა,

ამ საცოდავის კენესა მაინც არ აწუხებს?

დოსტაქარი (თუთრ სამოსელში წინ წამოდგება): ავადმყოფი იმიტომია, რომ უნდა იკენესოს... დოსტაქარსაც მაშინ ხალისი ემატება, ვინაიდან გამორჩენა ავადმყოფის კენესიდან აქვს.

ავადმყოფი- ვაი, ვაი, ვაი!

მაყარიონი. ასე გამოდის, რომ დოსტაქარებს ხალხის კენესა გიხარიათ.

დოსტაქარი. ნუ გამამტყუნებთ, ღვთისგან გვაქვს მისჯილი. სამაგიეროდ ვზეიმობთ, როცა მწარე კენესას ვაქრობთ.

ავადმყოფი. ვკვდები, ვაი, ვკვდები!

მაყარი. მაშ მოდი ავადმყოფთან, წამოაყენე და ახლაც ვიზეიმებთ.

დოსტაქარი. ჭერ გასამრჯელო, მკურნალობა შემდეგში.

მაყარი. აილე ერთი ოქროს აბაზი.

დოსტაქარი. ათზე ნაკლებად ხელს არ მოგვიდებ.

მაყარი. აილე ხუთი.

დოსტაქარი. ათს კაპიკი არ დააკლდება.

მაყარი. ჰირი შენს თავს... აჰა, აილე და ჩქარა წამოაყენე.

დოსტაქარი (აილებს ფელს. მივა ავადმყოფთან, ეჩურჩულება.)

ახლა კი გაქცევით თავს ვუშველოთ! (მაყარიონი მისდევს, მაინც ასწრებენ და გარეთ გარბიან)116.

ეს პატარა ეპიზოდი ცხადია, წმინდა დრამატული სცენაა, რომელიც სრულდებოდა თითქმის ყველა ქორწილის დროს უძველესი პერიოდიდან ჩვენ დრომდე და დასაშვებია, მივიღოთ ოსი ხალხის თეატრალიზებული სანახაობის ერთ-ერთ საწყისად.

ქართული თეატრის ისტორიის პატრიარქი დ. ჯანელიძე ძველი ქართული დრამატული სანახაობის ადრინდელი საწყისების ელემენტებს საფერხულო შესრულების მისტერებში ხედავს. მისი აზრით, წარმართულ დღესასწაულებთან ერთად, რომელთაც უკვე გააჩნდათ თეატრალური განსახიერების ელემენტები, უნდა განვითარებულიყო წარმართულ-მითოლოგიური მისტერები, რომელთა არსებობის კვალი აშკარად ჩანს ქართულ საწესო სანახაობებსა და საფერხულო-სასიმღერო რეპერტუარში. ეს მისტერები დიდი სახალხო სანახაობანი უნდა ყოფილიყო, რომელნიც გარკვეულ საღვთო-მითოლოგიური შინაარსის სიუჟეტებს წარმოადგენენ. საფერხულო შესრულების ქართული ტრაგედიისა და კომედიის ფრაგმენტები დაცულია ძველ ხალხურ სიმღერა-სანახაობებში.¹¹⁷

ასევე, თეატრის ელემენტებს ხედავს ოსურ ხალხურ ცეკვებში პროფესორი ბორის ალბოროვიც, რომლის პირადი არქივის ხელნაწერებში ვკითხულობთ:

„წმინდა თეატრალური ხასიათისაა ოსეთში ცნობილი შემდეგი გასართობები: ხმლებით ცეკვა, სიმღი, ცეკვა ფეხის წვერებზე, ლეკური, ჩეფენა, რომლებიც სრულდებოდნენ ჭორწილსა და სხვა სახეიმო ვითარების დროს. აღრინდელ პერიოდში კი აღსანიშნავი იყო საკულტო ცეკვები: დათვების ცეკვა, მტრედების ცეკვა, რომლებიც გამოხატავდნენ ნადირობის წეს-ჩვეულებასა და სხვა მოქმედებას.

მუსიკალური ინსტრუმენტებიდან ოსებისთვის ცნობილია: სალამური. ჩონგური, თორმეტსიმებიანი არფა და სხვა“.¹¹⁸

ბ. ალბოროვის ზემოთ დასახელებული ცეკვების აგებულება, შესრულების მომენტები და სქემა დეტალურად აქვს აღწერილი; საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ნაწილს იმ ცეკვებიდან, სადაც უფრო ვრცლადაა გამომკლავებული და ნათლად ჩანს თეატრალური ელემენტები.

ნართების ეპოსში ფართოდ არის გაშუქებული ოსი ხალხის ცნობილი სახალხო-მასობრივი ცეკვა „ჩეფენა“ ანუ „ნართების სიმღი.“

ცეკვა „ჩეფენა“ ჩაქნევითაა (კოქლობით) აგებული. ამიტომ, ბ. ალბოროვის აზრით, ოსური სიტყვა „ჩეფენა“ ჩაქნევიდან უნდა იყოს წარმოშობილი, ცეკვის სახელწოდების ფუძეც, ხოლო „სიმღი“ (ოსური სიმინ ნიშნავს ფეხის გასმას) — გასმისგან.

ცეკვას აუცილებლად ხელმძღვანელობს წინამძღოლი — ოსეთში ცნობილ მორიგის სახელწოდებით. შეიძლება მას ვუწოდოთ რეჟისორიც. ვინაიდან მისი მითითებით სრულდება ცეკვა, ყველა მას უჭერებს და მოქმედებს მისივე ნებით. უკრავენ მუსიკოსები, მისი ბრძანებით ცეკვის რიტმზე მღერის გუნდი და სახუმარო მოქმედებას ასრულებენ მონაწილენი.

ცეკვა „სიმღი“ თავისი აგებულებით, შინაარსით, მოცეკვავეთა შინაგანი განცდების გამოხატვით, ლირიკული ურთიერთდამოკიდებულებით — ყველა ამ კომპონენტების შერწყმით თეატრალური ელემენტების გარეშე წარმოუდგენელია. „სიმღი“ ოსური ნარნარი მასობრივი ცეკვაა, სადაც მონაწილეობას იღებდა ორასამდე მოცეკვავე ქალი და კაცი. დრამატული ფორმით დიდ ინტერესს იწვევდა „ქალების ცეკვა“, რომელიც სრულდებოდა გვალვის პერიოდში, ეგრეთწოდებული სახასიათო რიტუალის შემდეგ: მოცეკვავეთა ჯგუფი ცეკვით წრეს კრავდა და უმღეროდა წრის შიგნით კომიკურ ნიღბებში გამოწყობილ ორ მთავარ მონაწილეს, რომლებიც ცეკვაში და სხვადასხვა სახუმარო ნომრის უკეთ შესრულებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. სანახაობის მსვლელობას აწესრიგებდა წინამძღოლი-მორიგე, როგორც მას უწოდებდნენ

იმ დროისათვის. საინტერესო დრამატული სანახაობა, გამიზნული წვიმის „მოსაყვანად“, გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს.

სხვადასხვა ნაღიშზეც წარმოადგენდნენ ხოლმე საინტერესო სანახაობას — „მტრედების ცეკვას“. მას ასრულებდა ქალ-ვაჟი, დედალი და მამალი მტრედის ნიღბით. ზმირად ქალის როლს ასრულებდა ქალის კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი, რაც სათანადო კომიკურ ელფერს აძლევდა და მაყურებელში უფრო მეტ მზიარულებას იწვევდა. აღნიშნული ცეკვა-სანახაობის სიუჟეტი პროფესორ ბ. ალბოროვის ჩანაწერებით ასეთია: შეყვარებულები ასახიერებენ დედალ-მამალ მტრედებს. მიმიკით, პანტომიმური მოქმედებით და ცეკვით ეარმიყებიან ერთმანეთს, შემდეგ მტრედებრივით ლულუნებენ. მამალი მტრედი ცეკვას მანამდე არ წყვეტს. სანამ დედალი მტრედი თანხმობას გაუმხელს. ცეკვის სიუჟეტი მოზარდი თაობის ღრმა ფსიქოლოგიურ განცდებს გამოხატავს¹⁹.

ბ. ალბოროვის აზრი, რომ „მტრედების ცეკვაში“ გამოხატულია პირველყოფილ ადამიანთა ინტიმური ურთიერთსწრაფვის რეალური სცენები, სავსებით მისაღებია.

ცეკვის დაახლოებით ასეთივე სიუჟეტი აღწერილი აქვს მ. თულანოვს. ანალოგიურ ცეკვას იგი უწოდებს „ინდაურების ცეკვას“.

ღრმა განცდებითა და რთული სიუჟეტის ნიადაგზეა აგებული აღრინდელი ოსური ხალხური „დათვების ცეკვა“, რომელსაც დეტალურად აღწერს ბ. ალბოროვი.

აღნიშნული ცეკვა ადამიანის შინაგანი სამყაროს რთული განცდების ამსახველია. უფრო სწორად დათვებზე ნადირობის გამომხატველი ცეკვაა. მონადირე მამაკაცი უთვალთვალებს დათვსა და მისი ბელების ცეკვას. ცეკვაში ნათლადაა წინა პლანზე წამოწეული ნადირის დედური განცდა შვილისადმი, თუ დედალი დათვი როგორ ეამბორობა თავის პატარა დათვნიებს — მათთან ერთად ხტუნაობს, მიწაზე გორაობს, თავს არიდებს ხიფათს. დედალი დათვის ცეკვას თუ ქალი ასრულებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცეკვა სრულფასოვანია²⁰.

თავისთავად ცხადია, თეატრალური ელემენტების გარეშე, რომლებიც თავიანთ ჩანაწერებში ასე უხვად წარმოგვიდგინეს დიდმა მეცნიერებმა, შეუძლებელია „დათვების ცეკვის“ შესრულება, ისევე როგორც დრამატულობის გარეშე შეუძლებელია შესრულდეს „იირმების ცეკვა“.

ეს ცეკვაც მოქმედებით, სიუჟეტის შინაარსის განვითარების მიხედვით ოსური ხალხური ხელოვნების უძველეს ნიმუშს წარმოადგენს, სადაც წმინდა დრამატული მოქმედება გადმოცემული

პანტომიმურ ფორმებში. პანტომიმა ოსეთში ადრინდელი პერიო-
დიდან ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად ჟანრს წარმოადგენდა. ეს
უკანასკნელი დროთა განმავლობაში ცეკვის ხელოვნებას შეუერ-
თდა. მისი ერთ-ერთი კომპონენტი გახდა და ამ ფორმით მოაღწია
ჩვენამდე.

ცეკვა „მხედრულს“, რომელიც აგრეთვე თეატრალური ელე-
მენტებისგან შედგებოდა, ასრულებდა ცხენზე მჯდომი მხედარი.
ეს უძველესი ცეკვა იმაზე მეტყველებს, რომ დასაბამიდან ოს
ხალხს გამუდმებით უხდებოდა თავისი მიწა-წყლის დაცვა მრავალრიცხოვანი მტრებისგან. ამ ბრძოლებში ჩამოყალიბდა მათი
მებრძოლი. მხედრული ბუნება. ისინი ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ
ცხენზე ჯდომას და გაქენებულ ცხენზე მათი სანახაობრივი ილე-
თები სრულყოფამდე აღწევდა.

აი როგორ აღწერს პუბლიცისტი ვიქტორ მარიანოვსკი გასუ-
ლი საუკუნის ცნობილი ოსი მოჭირითის ბეგა არჩეგოვის ნამ-
ბობს:

შენ გინდა გაიგო ის, თუ როგორ ვჯირითობდი? მეც ისეთი-
ვე მოჭირითე ვიყავი, როგორც სხვებია. მაგრამ სულ სხვა იყო
ბაბუაჩემი იბრაგიმი. იცი რა სასწაულებს ახდენდა! სამ ცხენზე
ერთდროულად ჯირითობდა. შედგებოდა უნაგირზე ფეხით, თავ-
ზე დაისვამდა ცოცხალ ცხვარს და ამ ფორმით ტყვიასავით გაფ-
რენალ ცხენებზე ერთიდან მეორეზე ხტებოდა²¹.

დღესაც კი, XX საუკუნის მიწურულში, როცა ხელოვნების
ყველა დარგმა უდიდეს სრულყოფას მიაღწია, სენსაცია იქნებოდა
იბრაგიმ არჩეგოვის განუმეორებელი ჯირითი მსოფლიო საციკლო
ხელოვნებაში. ამ ტრადიციებს ოსები დღესაც განაგრძობენ.

ადრინდელი ოსური ხალხური ცეკვებიდან დრამატული სიუ-
ჟეტის სიმბოლოა და ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით შეიძლე-
ბა გაშოვოთ „მეცხვარეების ცეკვა“, „ცეკვა ხმლებით“, „მრგვა-
ლი ცეკვა“, „ნართების ცეკვა“, „მიბატიყება“, „ორსართულიანი
ნართების სიმღი“ და სხვა.

„მეცხვარეების ცეკვა“ სიუჟეტურია, — აღნიშნავს ცნობილი
ოსი ქორეოგრაფი მელს შავლოზოვი, — პირველი ნაწილი სრულ-
დება პანტომიმური მოძრაობებისა და რეალური მოქმედების სა-
შუალებით. მონაწილეები მოქმედებითა და სახის გამომეტყველე-
ბით ახორციელებენ წინასწარ ჩაფიქრებულ მიზანსცენებს. ცეკვის
მეორე ნაწილში კი სწრაფი მოძრაობით ამჟღავნებენ, გამოხატავენ
თავიანთ დიდ სიხარულს²².

რელიგიური და საზოგადოებრივი დღესასწაულების დროს
სანახაობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა ოსუ-

რი ხალხური მასობრივი თამაშობანი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც მოზრდილები, ისე უმცროსი თაობის წარმომადგენლები. ჩვენ მიერ ფიქსირებულია დაახლოებით 100-მდე ოსური სხვადასხვა ხალხური თამაშობა. იმ მრავალრიცხოვან თამაშობიდან, რომელიც ხელთა გვაქვს, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ თეატრალიზებულს.

მკვლევარების დასკვნით, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობითა და ჩვენი ჩანაწერების მიხედვით, ოსი ხალხი სხვადასხვა თამაშობით უძველესი დროიდან ერთობოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბ. ალბოროვი ოსურ თამაშობებს ნართების ეპოსიდან იხილავს; ნართებს მრავალმხრივი და მრავალფეროვანი თამაშობანი ჰქონდათ, რომელთაც ატარებდნენ სპეციალურად ამ თამაშობებისათვის გამოყოფილ ადგილებში: ყაზანდონსა (სიტყვა-სიტყვით — სათამაშო ადგილი) და ზილახარის მინდორში (ნართებში სშირადაა ნახსენები ეს მინდორი).

ახალგაზრდები ხშირად ერთმანეთს ეთამაშებოდნენ (ეჯიბრებოდნენ) საინტერესო ამბის უკეთ და მხატვრული ფორმით გადმოცემაში. გავიხსენოთ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული თქმულებები: „მელიის ტყავი“, „ჯადოსნური სასმისი ვაცამონგა“; დიალოგის საფუძველზეა აგებული ოსურ ზეპირსიტყვიერებაში შემონახული შესანიშნავი ლექსი „ლასკქარან“ („მოსამსახურე“). ამ ხალხური ლექსის საფუძველზე იგივე სახელწოდების ბრწყინვალე პოემა შექმნა კ. ხეთაგუროვმა. თამაშში გამარჯვებული ღებულობდა უფროსების მიერ დაწესებულ სპეციალურ პრიზს. თამაშის შესრულების დროს ყურადღებას აქცევდნენ ამბის სიუჟეტის განვითარებას, მეტყველებას, შესრულების არტისტიზმს.

ნართები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფანდირის დაკვრაში, ცეკვებში, ჭირითობაში და სხვა. გამარჯვებული აქაც იღებდა პრიზს: ქამარ-ხანჯალს, ყაბალახს, ნუაზანს (უფროსებისგან მორთმეულ სასმისს და სხვა).

როგორც სხვა ხალხებში, ოსებშიც მასობრივად იყო გავრცელებული თოჯინებით თამაში. თოჯინები ჰქონდათ თვითნაკეთი — პრიმიტიული: იღებდნენ ორკაეიან პატარა ჯოხს, კავის სწორ მხარეს ჯვარედინად ჩხირს ბაწრით კრავდნენ, შემდეგ აცმევდნენ პატარაძლის, ნეფის, ქალის ან მამაკაცის პატარა კოსტიუმს, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით კრავდნენ. ხშირად ტალახისგან ან ცომისგან აკეთებდნენ ცხოველების ფიგურებს, ახმობდნენ და მათაც სანახაობის წარმოსადგენად ხმარობდნენ, უფრო სწორად — ათამაშებდნენ. თოჯინების თამაშის სიუჟეტები მრავალფეროვანი იყო. საილუსტრაციოდ განვიხილავთ რამდენიმეს.

თოჯინებით თამაშობდნენ როგორც გოგონები, ასევე ვაჟებიც; ერთი მათგანი ასახიერებდა ოჯახის უფროსს, დანარჩენები — ოჯახის რიგით წევრებს.¹²³ თუ თამაშობის სიუჟეტი ქორწილი იყო, მაშინ ერთ-ერთ თოჯინას აცმევდნენ პატარძლის კოსტიუმს, ნეორეს — სიძის და უჩვენებდნენ ქორწილის ცერემონიალს. ხოლო თამაშობა თუ მიცვალებულის დაკრძალვას ეხებოდა, მაშინ შესაბამის რიტუალს ასრულებდნენ. ბავშვის დაბადებას წარმოადგენდნენ ღიძი ნადიმის ფორმით, რომლის დროსაც ამღერებდნენ თოჯინებს.

ყმაწვილები თოჯინებით უფრო ხშირად თამაშობდნენ ხანჯლებით მტერთან შეტაკებას, ქალის მოტაცებას, დოლს, ცეკვას და სხვა.

თამაშობები ხდებოდა თოჯინების გარეშეც, რომლებსაც აწყობდა უფრო ხშირად უფროსი თაობა სხვადასხვა ნადიმის ან დღესასწაულის დროს.

წმინდა თეატრალური ფორმითა და ღრმა დრამატიზმით გამოირჩევა თამაშობა „ქალის თხოვნა“, რომლის სიუჟეტიც აგებულია შემდეგ მოქმედებაზე: ლხინის დაწყებამდე წრის შუაში დგამენ დასაჯდომ სკამს. მოცეკვავედ ირჩევენ ყველაზე მოხდენილსა და საუკეთესო მოცეკვავე ქაბუჯს. ის შენოდის წრეში, თავისი ხელოვნებით ატკობს მაყურებელს; შემდეგ ხალხს თვალს გადაავლებს და მის მიერ მოწონებულ ქალიშვილს მათრახის ტარით შეეხება — შენთან მინდა ცეკვაო. ქალიშვილი შემოდის წრეში, ცეკვით ერთ წრეს შემოუვლის სკამის გარშემო, შემდეგ ჯდება სკამზე. ამის შემდეგ ვაჟი ჩიკორივით ტრიალებს, ცეკვავს ცერებზე. ვაჟი ცეკვას ამთავრებს, მიდის წრეში სკამზე მჯდომ ქალიშვილთან, აძლევს მათრახს, თვითონ ჯდება სკამზე და ახლა ქალიშვილი ცეკვავს. თან ვაჟის წინ გაშვერლ ხელებს მათრახს ურტყამს. ვაჟმა ტკივილის განცდა არ უნდა გამოავლინოს. ამის შემდეგ ქალიშვილს წრეში შემოჰყავს მისთვის სასურველი სხვა ვაჟი და მასთან ცეკვავს. ცეკვის დამთავრების შემდეგ ქალიშვილი ჯდება სკამზე. ახლად შემოყვანილ ვაჟს ახლა სხვა ქალიშვილი შემოჰყავს წრეში. ასე გრძელდება გვიანობამდე.¹²⁴

უწინ ოსებში გავრცელებული იყო ქალის მოტაცება, რომელიც ხშირად ტრაგიკულად მთავრდებოდა. ამ თემაზეა აგებული თამაშობა „ქალის მოტაცება“, რომელსაც მოქმედების სირთულთა და სიუჟეტის მძაფრი განვითარებით შეიძლება ვუწოდოთ ნამდვილი თეატრალური სანახაობა. იგი ვითარდება შემდეგნაირად: მონაწილენი ჯგუფ-ჯგუფებად ერთმანეთისგან 10—15 მეტრით დაშორებულნი სხედან. საუკეთესო მოჭირბოვნი ამ ჯგუფებიდან

200 მეტრით დაშორებულ ადგილიდან რიგრიგობით ცხენს მოაჭენებენ. მოჯირითე ხალხის ათზე მეტ ჯგუფს შორის გაჭენებული ცხენით დანავარდობს. წესის თანახმად, მოჯირითე მკდომარე ხალხს ცხენით არ უნდა წეხოს, თორემ ამ ჯგუფებთან მდგარი ხმალმომარჯვებული ვაჟაკები მაშინვე ცხენს კუდს მოჰკვეთავენ. ამ რბოლაში მხედარი იტაცებს 12—14 წლის ყმაწვილს, რომელსაც ქალის კოსტიუმი აცვია; მომტაცებელი მოაჭენებს ცხენს დანიშნული ადგილისაკენ. მას მისდევს ფადისონები (მღვერები). ეს უკანასკნელნი დაწვეის შემთხვევაში ართმევენ „ქალს“ და უბრუნებენ პატრონს. თუ მღვერები ვერ დაეწვვიან, ცხადია, მაშინ გამარჯვებული გამოდის „მომტაცებელი“ და გამოყოფილ საჩუქარს — ჩოხა-ახალუხს, ქამარ-ხანჯალს, მოქარგულ ყაბალახს ის იღებს.

თეატრალიზებული თამაშობა-სანახაობა დიდ ინტერესს იწვევდა როგორც შემსრულებელთა შორის, ისე მაყურებლებში. ეს ითვლებოდა ერთ-ერთ საყვარელ თამაშობად ოსი მოზარდი თობისთვის და ამიტომ ხშირად ასრულებდნენ მდ. ჯოჯორის, ლიახვის, ქსნისა და ლეხურის ხეობებში.

თეატრალური ელემენტების საფუძველზეა აგებული თამაშობა „წეროები“. ახალგაზრდები ზურგში ჩაავლებენ ხელს ერთმანეთს. პირველი მამა წეროა, ხოლო თამაშის ერთ-ერთი მონაწილე — მგელი (მამა წეროს და მგელს როცა სათანადო ნიღბები აქვთ, მაშინ საინტერესოდ მიმდინარეობს თამაშობა). მგელი თავს ესხმის ბოლო წეროს შეძახილით: „წერო, ჩემი ხარ. აღარ გაგიშვებ!“ წეროები შეშინებული ხმით გაჰკვივან და მამა წეროს მიმართავენ: „დაგვიხსენი!“ იგი გამოდის მწკრივიდან და ებრძვის მგელს. გართულებულ პირობებში თამაშმა შეიძლება დაძაბული ხასიათიც მიიღოს¹²⁵.

თეატრალური სანახაობის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ოსი ხალხის უძველესი თამაში „ბრმა დათვი“. ეს თამაში ნადირობასთანაა დაკავშირებული და მისი სიუჟეტიც ვითარდება ნადირობის პროცესის შესატყვისად. ერთ-ერთ მოთამაშეს, დათვის ნიღბოსანს თვალები აქვს ახვეული; ის დასაჭერად დასდევს თამაშის სხვა მონაწილეებს. თამაშს აწესრიგებს ხელმძღვანელი-მორიგე. მოთამაშეებს ხელთ უჭირავთ ხის ორ-ორი ნაჭერი, რომელთა ერთმანეთზე დარტყმით თავისკენ იწვევენ დათვის. დათვი მირბის იქით, საიდანაც ხმა ესმის, მაგრამ ხმის გამომცემი ადგილს ინაცვლებს და ასე გრძელდება თამაში. ეს თამაში განასახიერებს იმ მოქმედებებს, რომელიც ნამდვილი ნადირობის დროს სრულდება. სწორედ ასეთი დარტყმის შედეგად გამოჰყავთ მონადირეებს დათვი.

ოსური ხალხური თამაშობები, ოსი ხალხის წეს-ადათები გამომდინარეობდნენ მათი ცხოვრების რეალური პირობებიდან; მათში ასახული იყო ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მათი სურვილები და მისწრაფებები. თითქმის ყველა თამაში აგებულია საინტერესო სიუჟეტზე და სწორედ ამიტომაც მათში მრავლად თეატრალური ელემენტები.

თეატრალური ელემენტები ლაკრძალვის რიტუალში

ოსურმა ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ, უძველესი დროიდან დაძვეიდრებულმა ადათ-წესებმა მთლიანი ფორმით შემოგვინახა მიცვალებულის პატივსაცემად გამართული რიტუალები, სადაც უხვად გვხვდება თეატრის ელემენტები, კერძოდ, თოჯინების თამაში. არქეოლოგიური მასალები ადასტურებდნენ ზეპირსიტყვიერების მონაცემებს.

ოსეთში მიცვალებულს ძირითადად დასტირიან ქალები. მიცვალებულთან მისასვლელი ქალები სოფელში ერთად იკრიბებიან: ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე დახელოვნებული ქალი, ჭგუფს მოთქმით ტირილში წინ მიუძღვის. სხვები ხმამაღალი ტირილით ხმას უბამენ. მიცვალებულის დატირების ამ წესს ოსები უწოდებენ „ირონ ფანდაგს“ („ოსური გზა“). დამტირებელი სპეციალურად არჩევს. ისეთ ტექსტს და ისე ოსტატურად გადმოსცემს, რომ ყველას გულები აუჩვილდეს და ერთბაშად ატირდნენ. იგი მიუთითებს მიცვალებულის დადებით თვისებებს, მის ვაჟკაცობას, მის წუხილსა და ტანჯვას, მის უბედურებას და ა. შ.

ეთნოგრაფ ბორის კალოევის აზრით, ოსი ხალხი მიცვალებულის ლაკრძალვის ადათ-წესებით არსებითად განსხვავდება კავკასიაში მცხოვრები სხვა ხალხებისგან. მკვლევარი თვლის, რომ არსად ისე ნათლად არ ვლინდება ოსური კულტურის სკიფ-სარმათ-ალანებიდან წარმომავლობა, როგორც ეს დასაფლავების ადათ-წესების, ოსი კაცის რწმენასა და ზნე-ჩვეულებებშია გამჭდარი. ყოველთვის მკვლევართა ყურადღების ცენტრში იყო ოსების არქაული წეს-ადათები და თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ოსები დასაფლავების არქაული წესებით განსხვავდებიან კავკასიაში მცხოვრები ყველა სხვა ხალხისაგან¹²⁶.

მიცვალებულის ჰირისუფალი მეზობელ-ნათესაეების მონაწილეობით მართავდა სხვადასხვა სახის რიტუალს. აღმიანის გარდაცვალების დღიდან ერთ წლამდე, საამისოდ განკუთვნილ დღეებში. კერძოდ, დასაფლავება, ორმოცი, ახალი წელი, ქომახსან (პირის გამოვლება), აღდგომა, ურთხელის მოტანა და სხვა.

მიცვალებულის პატივსაცემად გამართული სპეციალური რიტუ-
ალი აღრიდანვე თეატრალური ფორმით სრულდებოდა; მიცვალე-
ბულს ასახიერებდნენ წინასწარ სათანადოდ დამზადებული ფიტუ-
ლით: ჳირისუფალნი მისადმი თავის დამოკიდებულებას ისევე გა-
მოხატავდნენ, როგორც ცოცხალი არსებისადმი. ფიზიკურად ეხე-
ბოდნენ და ტიროდნენ მის დაღუპვას, ესაუბრებოდნენ როგორც
ცოცხალ ადამიანს.

მიცვალებულის დასაფლავების დღეს მის პატივსაცემად ოსი
ხალხის უძველეს წინაპრებში სხვადასხვა სახის სანახაობები (უმ-
თავრესად სპორტული შეჯიბრებები) ეწყობოდა. მათში გამარჯვე-
ბულნი იღებდნენ პრიზს. სანახაობა, გიორგი აბაევისა და გიორგი
ჯიოევის გადმოცემით, შემდეგნაირად სრულდებოდა: ირჩევდნენ
მიცვალებულის ახლო ნათესავეებიდან ან თანასოფლელებიდან საუ-
კეთესო მოჯირითეებს (5 — 10 კაცს). სოფლიდან რამდენიმე კილო-
მეტრის მოშორებით ხეზე ჩამოკიდებდნენ ხორცის ნაჭრებს. მხედ-
რებს ერთდროულად უშვებდნენ. ვინც პირველი ბრუნდებოდა,
თანაც ყველაზე დიდი ნაჭრით, იმას ასაჩუქრებდნენ სამწლიანი ყო-
ჩით. გამარჯვებულის ოჯახი ვალდებული იყო გამოეხადა ლუდი,
მიცვალებულის დაკრძალვიდან 15 დღის შემდეგ დაეპატიჟა თანა-
სოფლელები და მოგებული ყოჩი დაეკლა. უძველეს დროს მიცვა-
ლებულის საპატივცემოდ გამართული რიტუალიც იმავე ფორმით
სრულდებოდა, ოღონდ, მაშინ ხეზე ხორცის ნაჭრებს კი არ ჳკიდებ-
დნენ, არამედ ხესთან საპრიზო ყოჩს აბამდნენ და პირველი მისული
მოჯირითე ყოჩით ბრუნდებოდა უკან. ხშირ შემთხვევაში ეწყობო-
და დულთა (დოლი); მხედრებს 80—100 კმ მანძილი უნდა დაეფა-
რათ. გამარჯვებული აქაც პრიზს იღებდა.

ოს ხალხში უკანასკნელ დრომდე შემორჩა მიცვალებულისაოვის
ცხენის შეწირვის (ბახფალდისინ) წესი. ცხენის შეწირვის რიტუალი
თავისი არსითა და მოქმედებით მთლიანად თეატრალიზებულია.

ცნობილმა ფრანგმა ფოლკლორისტმა და მკვლევარმა ყორუ დიუ-
შეზილმა ოსებში გავრცელებული ცხენის შეწირვაზე შემდეგი აზრი
გამოთქვა: დღემდე ოსებში დამკვიდრებულია ცხენის შეწირვა, რო-
მელიც გამომდინარეა ადრეულ წარსულში ცხენს მიცვალებულთან
ერთად რომ მარხავდნენ იმ მოვლენიდან. ამ ადათის მიზანი იყო
ის რწმენა, რომ მიცვალებულს საიქიოში ცხენით უნდა ემგზავრა.
რათა შეუფერხებლად მიეღწია დანიშნულ ადგილამდე. ცხენის შე-
წირვის რიტუალი ხდება შემდეგნაირად: დასაფლავების დროს, როცა
მიცვალებულს სავანეში ჩაასვენებენ, მაშინ საფლავთან მოჰყავთ
ცხენი და ჳირისუფლებიდან ერთ-ერთი წარმოთქვამს გრძელ
სიტყვას (იხ. ა. შიფნერის, ვს. მილერის, ბ. ვატიევის ნაშრომები)

მთხრობელი დაწვრილებით აღწერს საიქიოს რთულ გზას. დასასრულს ცხენს სამჯერ შემოატარებენ საფლავის გარშემო, სასმელს იმ სასმისით ასმევენ, რითაც მიცვალებული სარგებლობდა. შემდეგ შესვამენ ზედ მხედარს და გამართავენ დოღს.¹²⁷

ქართული მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე ოსეთში ცხენის შეწირვას აღწერს შემდეგნაირად: „მერმე შემოიყვანს სოფლის ამორჩეული დეკანოზი, ან ხევისბერი კარგ ცხენს და მიცვალებულის კუბოს გარშემო ერთი საათი უელის და ამბობს: კაი ვაჟკაცი იყავი, ამიტომ ცხენი იყო შენთვის საჭირო; და აი ეს ცხენიც იმიტომ მოვიყვანეთ, რომ საიქიოს ცხენით იარო და თან გაიყოლე მრავალ სიტყვა კაზმული ლექსების ქადაგი...“¹²⁸.

მიცვალებულისთვის ცხენის შეწირვის წესი აფხაზებში, ხევსურებში, მოხვევებსა და სვანებშიც იყო გავრცელებული, მაგრამ მათთან შეწირვა ხდებოდა უსიტყვოდ. მიიყვანდნენ ცხენს ცხედართან, ცოტა ხნით უსიტყვოდ აჩერებდნენ და ცხენი შეწირულად ითვლებოდა. ოსებში კი ცხენის შეწირვას თან ახლდა იმქვეყნიური ცხოვრების სცენების სიტყვიერი წარმოსახვა. ხალხური ადათების კარგ მცოდნესა და მკვერმეტყველ მოხუცს მოჰყავდა ცხენი, ხელში იღებდა სასმისს, მოთქმა-ტირილი წყდებოდა და ასეთ ჰერობებში იგი იწყებდა შეწირვის რიტუალს — მოჰყვებოდა მიცვალებულის ღირსებებს, შემდეგ მხატვრულად ახასიათებდა საიქიოში მიმავალს, მისი გზის სიძნელეებს, რომელთა დასაძლევად მას უეჭველად ცხენი ესაჭიროებოდა. ამასთან, მისი სიტყვა გამოირჩეოდა მაღალმხატვრულობით და მსმენელთა ზემოქმედების დიდი უნარით.

ცხენის შეწირვის რიტუალის დასრულებისას ცხენს ყურის ბოლოს მოაჰკრიდნენ და მიცვალებულს ჩააყოლებდნენ. მიცვალებულს ჩაატანდნენ აგრეთვე მისი მუხლის ნაწნავებს, რომელთაც იგი იჭრიდა იმის ნიშნად, რომ იმ ქვეყნადაც მისი იქნებოდა.

მიცვალებულისათვის ცხენის შეწირვის ჩვეულების საფუძველზე ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოები („სასაფლაოზე“) შექმნა კოსტა ხეთაგუროვმა, რომელშიაც ამხილა ცრურწმენა იმქვეყნიური არსებობის შესახებ.

წმინდა თეატრალური მოქმედებით სრულდებოდა მიცვალებულის პატივსაცემად გამართული რიტუალი „გაფფალ ფალდისინ“ („ნაჰრის შეწირვა“), რომელიც ოსებში ასევე ფართოდ იყო გავრცელებული. ეს რიტუალი საკმაოდ ვრცლად დაგვიხასიათა გ. კოკიევმა.

ოს ხალხში არსებობს მათთვის დამახასიათებელი წეს-ადათი — ეგრეთწოდებული „გაფფალ ფალდისინ“ (ნაჰრის შეწირვა მიცვა-

ლებულზე — რ. ჩ.), რომელიც ტარდებოდა შემდეგნაირად: დასაფლავების დღიდან მომდევნო პარასკევს აკეთებდნენ მიცვალებულის ფიტულს, აცვამდნენ განსვენებულის კაბას და ჩაცმულ ფიტულს ათავსებდნენ საწოლზე, იკრიბებოდნენ ნათესავი მანდილოსნები. იკაწრავდნენ სახეს, იგლეჯდნენ თმას, დასტიროდნენ ფიტულს, როგორც ნამდვილ მიცვალებულს. შემდეგ შეკრებილთა შორის ყველაზე უფროსი რკინის დანას იღებდა და მიცვალებულის ყველა ნივთს ეხებოდა, თან აყოლებდა — შეინდოეს, გაანათლოს იმ ქვეყნადო. ამის შემდეგ საწყლებსა და დაბეჩავებულებს აძლევდნენ მიცვალებულის ყველა ნივთსა და ტანსაცმელს¹²⁹.

მაშასადამე, მოყვანილი ეპიზოდი „ნაჭრის შეწირვის“ რიტუალიდან მთლიანად თეატრალიზებულია, რომელიც სრულდებოდა ოსებში ყველგან თითქმის ერთი და იგივე ფორმითა და მოქმედებით. რომელმაც უდიდესი ბიძგი მისცა შემდგომი თეატრალური ხელოვნების და, კერძოდ, თოჯინების თეატრის განვითარებას.

ოსებში ახალი მკვდრის პატრონი ახალ წლიდან შეექვესე კვირას აწყობდა მიცვალებულის პატივსაცემად ღამისთევას, სადაც იკრიბებოდნენ ოჯახის ნათესავები, თანასოფლელები. წინასწარ ამზადებდნენ საქმელ-სასმელს. ამ დღეს მკვდრის სახელზე აცხობდნენ უხარ-მაზარ პურს. ოჯახის ერთ-ერთი ნათესავთაგანი კუთხეში იდგა ორი ჯოხით და მოთქმით ტიროდა. შემდეგ მას ართმევდნენ ამ ჯოხებს, ტანსაცმელს, ფიტულს სვამდნენ სკამზე, გარშემო აწყობდნენ მკვდრის საყვარელ ნივთებს, მაგიდაზე ულაგებდნენ სანოვავებს, ესაუბრებოდნენ როგორც ცოცხალ ადამიანს, მთელი დღის განმავლობაში დასტიროდნენ, ხოლო შემდეგ თვითონ მიირთმევდნენ საქმელ-სასმელს.

ღამისთევას ისე აწყობდნენ, თითქოს მიცვალებულიც მათთან ერთად იჯდა, სვამდა, ჭამდა, მონაწილეობას ლებულობდა ყველა მოქმედებაში. ფრანგ ნართოლოგ ყორჟ დიუმევილის ცნობით. მიცვალებულის სული ბრუნდებოდა თავის ოჯახში, ფიტულში შედიოდა და აცოცხლებდა მას, ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ უწინ ოსებსო.

რაკი ოსებს სწამდათ, მიცვალებული მობრუნდებოდა ოჯახში მცირე ხნით, ისინიც ცდილობდნენ, რომ ფიტული მიცვალებულისათვის მიემსგავსებინათ.

დასაშვებია, რომ მიცვალებულისათვის ღამისთევის დროს ხდებოდა რამე თეატრალური სანახაობის წარმოდგენა. ამის შესახებ არც ზეპირსიტყვიერება და არც მკვლევარები კონკრეტულ მასალას არ გვაძლევენ, მაგრამ სამაგიეროდ ცხადყოფენ, რომ ოსური ზე-

პირსიტყვიერებიდან და კერძოდ, ნართების ეპოსიდან საინტერესო ლეგენდებს ჰყვებოდნენ მთელი ღამის განმავლობაში. ასეთ პირობებში ღამისთევის საღამოს მიცვალებულის პატივსაცემად რაიმე საგმირო სანახაობას შესაძლოა კიდევ წარმოადგენდნენ ე. ი. პირისუფალნი, სოფლის ახალგაზრდობის დახმარებით, აწყობდნენ სხვადასხვა სანახაობებს — თეატრალურ მოქმედებებს, სპორტულ შეჯიბრებებს. ასეთი სანახაობანი ეწყობოდა კავკასიის სხვა ხალხებშიც.

ყველა ამ მოქმედებაში, რომელიც თეატრალური ხელოვნების უაძრავ ელემენტებს შეიცავდა, განსაკუთრებული აქტიორული ნიჭითა და მკვერმეტყველებით გამოირჩეოდა მოთქმის მოტირალი. იგი სხვა მონაწილეების დახმარებით ოჯახში მომხდარ ნამდვილ ამბებზე თხზავდა სხვადასხვა ხასიათისა და ქანრის ტექსტებს, უფრო ხშირად სახუმარო ტექსტებს, ასრულებდა მათ არტისტულად, ასახიერებდა კომიკურ პერსონაჟებს და ამრიგად, მთელ ღამეს სიცილში ატარებინებდა ღამისმთევლებს. მიცვალებულის პატივსაცემად გამართული ასეთი ღამისთევა ემყარებოდა პირისუფალთა რწმენას, რომ მათთან ერთად ჭამს, საუბრობს და იცინის მათი მიცვალებულიც. ღამისთევის „კომიკი“ ცდილობდა ზოგი ამბავი ისე გადმოეცა, ვითომ მიცვალებულიც მონაწილეობდა მათში, ამიტომ იგი ხშირად მიმართავდა ფიტულს: „შენ არ იყავი სიღამონაანთ ქორწილში პატარძალს რომ აკოცე“, ან კიდევ: „დოღში ცხენი რომ შეძოგაკვდა და უნაგირით ხელში მაინც პირველი შენ რომ მოხვედი“; ან — „ერთხელ სანადიროდ რომ წახვედი და ჯიხვის მაგივრად მამაშენის შინაური ბოტა (ვაცი) რომ მოკალი“ და სხვა.

ყოველივე ამას მოზარე ისეთი ტონით ამბობდა, რომ ახლობელი პირისუფლებიც სიცილისაგან თავს ვეღარ იკავებდნენ.

მიცვალებულის პატივსაცემად გამართული რიტუალებიდან ყველაზე დრამატული ფორმით გამოირჩევა, თუ შეიძლება ითქვას, თავიდან ბოლომდე თეატრალიზებული სანახაობა — მეხდაცემულის დასაფლავება, რომელსაც ოსები „ცოფფაის“ უწოდებენ. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჭეჭა-ქუხილისა და წვიმის ღვთაებას ოსები ვაცილას უწოდებდნენ.

ოსების აზრით, ვაცილამ საჭიროდ ჩათვალა, რომ უნდა მოეკლა ესა თუ ის პიროვნება, ან უნდა დაეწვა ესა თუ ის ხე, ამიტომ მეხდაცემულ მიცვალებულს ოსები აფხაზებივით და ყაბარდოელეზივით კი არ დასტიროდნენ, არამედ გროვდებოდნენ მის გარშემო, ცეკვავდნენ და მღეროდნენ „ცოფფაის“, შემდგომი თხრიდნენ საფლავს იმ ადგილზე, სადაც მენი დაეცა და იქ კრძალავდნენ მიცვალებულს. ამის შემდეგ ნათესავები სამი დღე და ღამე რიგრიგობით

ყარაულობდნენ სასაფლაოს, ცეკვა-სიმღერით ადიდებდნენ ვაცი-
ლას³⁰. რათა ამ უკანასკნელს თავიანთი მიცვალებული სამარიდან
არ გამოეყვანა. რამდენიმე დღეში ამინდი გამოდარების ნაცვლად
თუ გაუარესდებოდა, მაშინ თხრიდნენ გვამს, ათავსებდნენ ურემზე,
რომელზეც შებმული იყო ორი მოზვერი; უღელს თავის ნებაზე
უშვებდნენ. სადაც გამწვევი ძალა ჩერდებოდა, იქ მარხავდნენ მეხ-
დაცემულს. მიცვალებულის დამარხვის რიტუალი კვლავ სიმღერით
სრულდებოდა, ადიდებდნენ წმინდა ვაცილას, რომ ის წუთითაც
უყურადღებოდ არ სტოვებდა. მეხისგან წაკიდებული ცეცხლის
ჩაქრობა დაუშვებელი იყო. ხალხის აზრით, ცეცხლის ჩაქრობას
ვაცილა შეურაცხყოფად ღებულობდა. მეხის დაცემის მიზეზად
ოსებს ვაცილა გამოჰყავდათ, თითქოს ვაცილა ცაზე ეტლით დადის,
უხვიროებს ყველას ხოცავსო³¹.

მეხის დაცემის ადგილას თუ კვალი რჩებოდა, ოსები აუცილებ-
ლად წმინდა ადგილად მიიჩნევდნენ, სადაც უჩვენებდნენ სპეცია-
ლურად მომზადებულ სანახაობას და ყოველწლიურად მსხვერპლს
(საკლავს) სწირავდნენ. ამ დროს დიდი ინტერესით სრულდებოდა
უძველესი ოსური ხალხური ცეკვა „ცოფფაი“, რომელიც განსხ-
ვავდება სხვა ცეკვებისაგან შესრულების ფორმით, ცოცხალი
სიუჟეტითა და ღრმა განცდებით.

„ცოფფაის“ მახარბეგ თულანოვი უკავშირებს მეხდაცემულის
სიუჟეტის განვითარებას. მკვლევარის აზრით, აღნიშნული ცეკვის
წარმოშობა უკავშირდება ადამიანთა ცხოვრების უხსოვარი წარ-
სულის სწორედ იმ პერიოდს, როდესაც ცრუმორწმუნე მოსახლე-
ობა ჭექა-ქუხილს უკავშირებდნენ ღმერთის გაწყრომას. მათივე
აზრით, ვაცილა ღმერთის მითითებით გავარჯარებულ ისარს უშენ-
და დედამიწას. ამ ისრით დაღუპულები წმინდანებად ითვლებო-
დნენ და ამის გამო ტირილიც სასტიკად იყო აკრძალული. იმარ-
თებოდა მიზნობრივი სანახაობა, რომელიც ძირითადად აგებული
იყო ხალხის ტრადიციებში შემორჩენილი ცეკვა-სიმღერით³².

თულანოვის მონაცემით, სადაც ხარები ჩერდებოდნენ, იქ
ასაფლავებდნენ მკვდარს, იმავე ალაგას რგავდნენ ხეებს და ეს
იქცეოდა იმ გვარის სალოცავ ადგილად, ვისაც ეკუთვნოდა მიცვა-
ლებული. ასეთი სალოცავებია ჭავის რაიონის სოფ. ჩესელთასა
და სოხთაში, ლენინგორისა და ზნაურის რაიონებში. თეატრალური
ნიჭით დაჯილდოვებული ოსი ხალხი ფართოდ იყენებდა ამ რთულ
ხელოვნებას მიცვალებულის პატივსაცემად გამართულ რიტუალში
და დიდი მწუხარების პერიოდშიც კი იქარებდა თავის მძიმე სევ-
დას.

თოჯინების თეატრი (ჩინძითაი ჟაჟთ)

თოჯინების თეატრი ოსეთში უხსოვარი პერიოდიდან არსებობდა ჩინძითაი ყაზთის (პატარძლების თამაშის) სახელწოდებით. თოჯინას ოსურად უწოდებენ ჩინძს (პატარძალი), ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ოს ხალხში, მაგრამ დროთა განმავლობაში შემოსეული მტრების მუხანათური მოქმედებებით მთლიანად განადგურდა ოსეთის კულტურა და ხელოვნება და მასთან თეატრი „ჩინძითაი ყაზთ“. „ჩინძითაი ყაზთის“ არსებობის შესახებ მდიდარი მასალა შემოგვინახა ზეპირსიტყვიერებამ, არქეოლოგიურმა და ეთნოგრაფიულმა მასალებმა, რომელთა მეშვეობით შევეცდებით ამ რთული, მაგრამ მეტად საინტერესო ხელოვნების ნაწილობრივ აღდგენას.

ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან ცნობილია, რომ ხისგან, თიხისგან და სხვა მასალისგან ამზადებდნენ თოჯინებს ადამიანის, შინაური და გარეული ცხოველების, ფრინველების, სახეების გამოსახულებას, მათ იყენებდნენ როგორც სანახაობის ჩვენების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად. ოსები უხსოვარი დროიდან თოჯინების დამზადების კარგი სპეციალისტები იყვნენ; ისინი ზუსტად ასახეობდნენ ადამიანებს, მტრელებს, ცხოველებს და სხვა¹³³. ამის დასადასტურებლად მდიდარ მასალას იძლევა ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. უძველეს სამარხებში გვხვდება ნივთები. რომლებიც შეიძლება დაუუკავშიროთ ოსეთში თოჯინების თეატრის საწყისებს. ჩრდილო ოსეთში, სოფ. ზმეიკის მიდამოებში მეოთხე სამარხში აღმოაჩინეს უნიკალური ნივთი — ქალის პატარა ფიგურა (თოჯინა)¹³⁴.

როგორც აღწერიდან ჩანს, ქალის ფიგურას ზოგი ნაკვთი მოძრავი ჰქონია. იგი განკუთვნილი იყო სწორედ იმისათვის, რომ ხელების, თავის და ფეხების მოძრაობა შესძლებოდა, ისე როგორც თანამედროვე თოჯინებს ამოძრავებენ. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ თოჯინების დამზადება ხდებოდა თეატრალურ სანახაობათა წარმოსადგენად. სტანიცა ზმეიკასთან გათხრილ სა-

მარხში მიგნებული ქალის პატარა თოჯინა, თავის შესრულების ტექნიკითა და ხელოვნების სიზუსტის თვალსაზრისით, ოსი ხალხის უძველესი კულტურისა და ხელოვნების ერთ-ერთი ძვირფასი და უნიკალური ნიმუშია. მამასადამე, უფლებამოსილად ვივარაუდებთ, რომ ოსი ხალხის წინაპრებს თოჯინების დამზადების შესაძლებლობა და საუკეთესო უნარი ჰქონდათ. თოჯინებით ისინი ძირითადად ასახიერებდნენ ოსური ზეპირსიტყვიერების ცნობილ პერსონაჟებს. ვ. კუზნეცოვიც სწორედ იმას ადასტურებს, რომ ზმეიკის სამარხში აღმოჩენილი თოჯინა-პერსონაჟი სტუმართმოყვარე და ბრძენი დიასახლისის სათანას განსახიერებაა.¹³⁵

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ოსები თოჯინებს ამზადებდნენ თიხისა და ხისგან. ხის დამუშავება ოსებში მაღალ დონეზე იდგა, მისგან საცხოვრებელ სახლს აგებდნენ, გამოსაჩენ ადგილებს ორხამენტით ამშვენებდნენ; ხისგანვე მზადდებოდა სამუშაო იარაღები, ნაირნაირი საოჯახო ნივთები, ხოლო ზეიმ-სანახაობისათვის კი — ნიღბები და თოჯინები¹³⁶.

უძველესი პერიოდის ხის ოსი ოსტატები არა მარტო მაღალმხატვრულ საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნივთებს ჰქმნიდნენ, არამედ საუცხოოდ აფორმებდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს — ფანდურს, არფას და სხვა¹³⁷.

მხატვრული ხელოვნების მაღალი განვითარების პირობებში ოსებში თოჯინების დამზადების საქმეც პროფესიულ დონეზე უნდა მდგარიყო.

საზარელი და ბოროტმოქმედი მონღოლი თემურ-ლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა ოს ხალხს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა, მოისპო მათი მატერიალური და კულტურული ძეგლები, ოსები ჩრდილო კავკასიის ველებიდან განდევნეს. ნაწილი მათს შეეხიზნა, სხვებმა კი სხვაგან გადახვეწით უშველეს თავს, მაგრამ მთებში შეხიზნულმა ოსებმა, რომელთა მთელი ენერგია არსებობისათვის მძიმე ბრძოლას ხმარდებოდა, შეინარჩუნეს სილამაზისა და გართობისადმი, ხელოვნებისადმი დიდი სიყვარული.

ბიზოზეც ადრე და ბიზო ძუგუტოვის დროსაც (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ოს ხალხში თოჯინების გათამაშება. ბ. ალბოროვს ჩაწერილი აქვს თავისი დედის ნაამბობი, რომელიც მომსწრე და თვითმხილველი ყოფილა ბიზო ძუგუტოვის, სხვა ხალხური მთქმელებისა და სახალხო სანახაობების მონაწილეების შემოქმედებისა¹³⁸.

გასული საუკუნის შუა პერიოდში როგორც ოსეთში, კავკასიის სხვა ხალხებში, ისევე მთელ აღმოსავლეთში, ფართოდ ყოფილა გავრცელებული ხალხური სანახაობების სხვა სახეობათა

შორის თოჯინების ორგვარი თეატრი: თოჯინების თამაში და ჩრდი-
ლების კეთება.

ეთნოგრაფ სერგო გაგიევის გადმოცემით, თოჯინებით თა-
მაში გავრცელებული იყო ყველა ერში: ოსებში „ჩინძითაი ყაზთ-
ის“ (თოჯინებით თამაში) სახელწოდებით, რითაც ასახიერებდნენ
მამაკაცს, დედაკაცს, ბავშვებს და ცხოველებს¹³⁹.

ამასვე გვიდასტურებენ ზაურბეგ ზოზიროჯი (ლესურის ხე-
ობიდან) და 87 წლის სოლთანბეგ ქოზაევი (ფაწას ხეობიდან). ეს
უკანასკნელი თვითონ ამ ხეობაში განთქმული ყოფილა, როგორც
საუკეთესო ხელოსანი და აკეთებდა ასეთ თოჯინებსაც. მისი გად-
მოცემით, თოჯინის დასამზადებლად საჭირო იყო ორკაციანი ჩხირი,
რომელსაც უნდა ჰქონოდა აუცილებლად მსხვილი ბოლო — თო-
ჯინის თავის გასაკეთებლად. მკრელი მოღუნული დანით უკეთებდა
ცხვირს, პირს, თვალებს, ყურებს. დამზადებულ თოჯინას აბარებ-
და გუძი ქოზაევს, რომელიც მას, სახალხო სანახაობის დროს,
სულს „უბერავდა“ და „აცოცხლებდა“. გუძი ქოზაევი ფაწას ხე-
ობაში განთქმული ყოფილა როგორც ხუმარა და საზოგადოების
გამართობი. ოსეთში სახალხო სანახაობის მამამთავრად ბიბო ძუ-
გუტოვი ითვლებოდა. მას კარგად იცნობდა, ახლო ურთიერთობა
ჰქონდა გამოჩენილ ოს მხატვარ მახარბეგ თულანოვს, მის მიერ
წარმოდგენილ სანახაობებს ხშირად ესწრებოდა და ბ. ძუგუტოვის-
გან მრავალი საინტერესო თქმულებაც ჩაიწერა. მხატვრის გად-
მოცემით, ის იყო ფართო დიაპაზონის შემოქმედი; თქმულებების
მხატვრულ გადმოცემასთან ერთად მთავარ პერსონაჟებს ასახი-
ერებდა სპეციალურად გამზადებული თოჯინების მეშვეობით.
მ. თულანოვის აღწერილობით: ახალგაზრდობისთვის მას ჰქონდა
საცეკვაო-სამხიარულო მოტივები, ხალხური თქმულებებისა და
საისტორიო სიმღერებისთვის — ღრმაშინაარსიანი და წმინდა ენით
შექმნილი ლეგენდები: „პატარა თოთრადის დაღუპვისა“ და „აფ-
ხარდთი ხასანას“ ნაღვლიანი სევდისა და მწუხრის ამბები. როგორც
კი მსმენელების თვალებზე ცრემლი შემჩნეოდა, ბიბო მაშინვე გა-
დაირთვებოდა სამხიარულო და სახუმარო სიმღერების შესრულება-
ზე, აიძულებდა დაევიწყნათ წარსულის მძიმე განცდა. ისინიც თან-
დათან ხსნიდნენ შექმუხნულ წარბებს, სახეზე უჩნდებოდათ ფართო
ღიმილი. ასეთ შემთხვევაში შემსრულებლის ყველაზე საუკეთესო
დამხმარე საშუალება იყო მამაკაცის ჩოხა-ახალუხში და ქალის კოს-
ტიუმში გამოწყობილი თოჯინები.

თოჯინები გაწყობილი ჰქონდა გადმობრუნებული დიდი ფიალის
ბრტყელ ძირზე. ბიბოს თხრობის დროს თოჯინები იწყებდნენ მოძრაო-
ბას, ოხუნჯობას, სიმღერას. შავი აბრეშუმის ძაფი მარცხენა ხელის თი-

თებიდან შეუმჩნევლად უკავშირდებოდა თოჯინებს — ფიალის ძირზე გავლით თითების მოძრაობით აწარმოებდა თოჯინების მოქმედებას. ქურმი¹⁴⁰ ბიბოს ყველა თოჯინას თავისი სახელი ერქვა და მიმართავდა მათ შერქმეული სახელით:

ეი, ყამბოლათ იცეკვე, გეთაყვა, ულამაზეს ამინათთან! ხედავ, შენ გელოდება ქალწული! — და სხვა.

თოჯინები იწყებენ თამაშს. ჯადოსნური სანახაობით ვინ შეიოკებს სიცილსა და ხარხარს. ასეთი იყო სახალხო მომღერალი ბიბო ძუგუტოვი.

შემდგომში 900-იან წლებში ოსეთის სხვადასხვა ხეობებში მომრავლდნენ სახალხო მთქმელები და მომღერლები, რომლებიც ბიბოსავით ძაფის საშუალებით ამოძრავებდნენ წყვილ თოჯინას¹⁴¹.

როგორც ვხედავთ, თოჯინებით სანახაობის ჩვენებით განთქმული იყო ოსი ხალხის სახალხო არტისტი — ბავშვობიდან ბრმა ბიბო ძუგუტოვი. მაგრამ ბიბოზე ადრეც (ბიბო გარდაიცვალა XIX საუკუნის მიწურულს) თოჯინებით სანახაობის ჩვენება ოსეთში გავრცელებული იყო. ბ. ძუგუტოვის ტრადიციებს აგრძელებდნენ შემდეგაც.

ბიბო ძუგუტოვის თანამედროვე იყო სოფ. ჩიკოლას (ჩრდილო ოსეთი) მკვიდრი, ცნობილი სახალხო მთქმელი და მსახიობი, თოჯინების საშუალებით საინტერესო სანახაობის წარმომდგენი მაგომედგირევი.

მოტანილი მასალები, თვითმხილველთა ნაამბობი საესეებით. საქმარისია იმის დასტურად, რომ ხალხური მთქმელები თვითნაკეთი თოჯინებით მეტად საინტერესო წარმოდგენებს მართავდნენ¹⁴². მათ მიერ მომზადებული სანახაობები ოსტატობის თვალსაზრისით სრულყოფილ სპექტაკლებს წარმოადგენდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ადრინდელი თოჯინების გამთამაშებლებს ყოველთვის მრავალი მაყურებელი ჰყავდათ.

— ლეხურას ხეობაში. — იგონებს მოსე ჩეტიევი, თვითნაკეთ თოჯინებს ხშირად ათამაშებდა სავი დრიაევი. იგი ცალკე ამზადებდა თოჯინის მკლავებს და თავს, შემდეგ მათ ერთმანეთთან ამავრებდა ტყავით. მის დამზადებულ თოჯინებს სპეციალურ ჩოხა-ახალუხს და კაბებს უკერავდა მთელ ხეობაში განთქმული მრთველი დადა ჩეტიევა. რომელიც დაუზარელად, უანგაროდ ემსახურებოდა ამ საპატიო სახალხო საქმეს. ს. დრიაევს თოჯინები დაყოფილი ჰყავს სანახაობის ჩვენების მიხედვით: „გლეხი და თავადი“, „საქორწილო და გახათხოვარი“, „ყაჩაღი და მდიდარი“, „მონადირე და ჯიხვი“, „ხუმარა ქორწილში“ და სხვა. ხალხში ყველაზე მეტ ინტერესს იწვევდა ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გამომხატველი ხიუჟეტები¹⁴³.

თოჯინები დამავრებული იყვნენ სპეციალურად ხისგან დამზადე-

ბულ ქოთნის მაგვარ საგანზე, რომლის ძირიც წვრილ-წვრილად იყო დახვრეტილი. ამ ნახვრეტებში მაგარი ძაფი იყო გაყრილი. ძაფის ბოლოებით დამაგრებული იყო თოჯინა, მეორე ბოლოებით თოჯინების გამთამამებელს ხელით ეკავა და სასურველ მოქმედებას ასრულებინებდა. მოქმედების შესაბამის ტექსტს თვითონ წარმოთქვამდა შეცვლილი ხმით, ვითომ თვითონ თოჯინა ლაპარაკობდა. თუ სადმე ნადიში, დღეობა ან ქორწილი იყო, აუცილებლად საპატიო სტუმრად ითვლებოდა სავი დრიაევი. ისიც დაუყოვნებლივ თავისი ყისფანდირით და საყვარელი თოჯინებით ცხადდებოდა დანიშნულ ადგილას, გამოძებნიდა სათანადო ადგილს, მოხერხებულად მოკალათდებოდა და დილიდან სადამომდე საინტერესო მოქმედებებით ართობდა ხალხს. სანახაობის ფინალს აუცილებლად წარმოადგენდა იუმორისტული სცენა „ხუმარა ქორწილში“. თოჯინა-ხუმარას წვეტიანი ნიკაპი ჰქონდა და გრძელი ცხვირი. მექორწინებელ სავი იყენებდა თავისივე მაყურებელს: იგი თოჯინა-ხუმარას სასაცილო შაირებს ალაპარაკებდა, ხშირად უცენზურო სიტყვებსაც კი, რითაც დამსწრე საზოგადოებას უზომოდ ამხიარულებდა.

თოჯინების ხალხური თეატრი თუმც ასე ფართოდ იყო გავრცელებული ოს ხალხში XX საუკუნის დასაწყისამდე, სამწუხაროდ, სადღეისოდ საილუსტრაციოდ არც ერთი აღარ შემოგვრჩა. მხოლოდ მხატვარმა მ. თულანოვმა არა მარტო საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვა ამ საკითხზე, არამედ რამდენიმე თოჯინაც დახატა და ჩვენ კონკრეტულ წარმოდგენას ვიქმნით მათ შესახებ.

როცა ოსეთში პროფესიული თეატრალური ხელოვნება აღმოცენდა, თვით შორეულ სოფლებშიც მისწვდა იგი, ნოლო ვინც ეზიარა ნამდვილ თეატრალურ ხელოვნებას, მას აღარ აკმაყოფილებდა სახალხო სანახაობის პრიმიტიული წარმოდგენები, „ჩინძითაი ყაზთის“ მარტივი სცენები, სადაც პირობითობა აშკარად თვალმისაცემი იყო. პროფესიულმა თეატრმა საზოგადოება უფრო მაღალი რანგის ხელოვნებით დაიპყრო და სახალხო სანახაობის მთავარმა პერსონაჟებმა „დათვებმა“, „მაიმუნებმა“ და თოჯინებმა ასპარეზი დატოვეს¹⁴⁴. სახალხო სანახაობები, ჩინძითაი ყაზთი და სხვა რიტუალური თუ საიმპროვიზაციო სცენები უნაყოფოდ არ უნდა მივიჩნიოთ. ჯერ ერთი, იგი თავის დროზე ხალხის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. მეორეც, მან უეჭველად შეუწყო ხელი პროფესიული თეატრის, კერძოდ კი თოჯინების პროფესიული თეატრის აღმოცენებას და სწრაფად გავრცელებას ოსეთში.

ნილაზი 145 და მისი გამოყენება

დღესასწაულების გამართვის პერიოდში, სხვადასხვა სახალხო სა-
ნახაობების ჩვენებასთან დაკავშირებით, ადამიანები ნიღბებს უხსო-
ვარ ღროიდან ხმარობდნენ. ბერძნები „დიდ დიონისიების“ დღესას-
წაულის დროს ფართოდ მიმართავდნენ ნიღბების გამოყენებას. დღე-
სასწაულის პირველ დღეს ლირიკოსთა შეჯიბრება იყო, რის შემდე-
გაც მონაწილენი ნიღბებით, გათხუპნული სახით და დიონისური
ალტყინებით მიემართებოდნენ ქალაქის ქუჩებში. მეორე დღეს იდგ-
მებოდა კომედიები, მესამე დღიდან სამი დღის განმავლობაში იდგ-
მებოდა ტრაგედიები¹⁴⁶.

როგორც ვხედავთ, ნილაბს ფართოდ იყენებდნენ ცივილიზებული
ქვეყნები. კერძოდ ძველი ბერძნები, მაშინაც კი, როდესაც პროფე-
სიული თეატრი მათში მტკიცედ იყო დამკვიდრებული.

ძველ ერებს და დღესაც კი ჩამორჩენილ ტომებს ჩვევად ჰქონდათ
და აქვთ რელიგიური ცერემონიების დროს პირისახეზე აეფარე-
ბინათ ნილაბი ცხოველის ტოტემის გამოსახულებით, ტანისამოსის
შემკობა ტოტემის დამახასიათებელი ნიშნებით და სხვა¹⁴⁷.

ნიღბების მეშვეობით ასახიერებდნენ სხვადასხვა ცხოველებს (რე-
ალურსა და მითოლოგიურს). ფრინველებს და მცენარეებსაც კი.
პროფ. პ. ბოგატირევი აღნიშნავს, რომ ნიღბის საშუალებით ასახიე-
რებდნენ ურჩხულებს, ფანტასტიკურ ფიგურებს, უცნაურ არაოეა-
ლურ ცხოველებს. ამასთანავე, ისეთ გრიმს იკეთებდნენ, რომ მეზობ-
ლებს არ ეცნოთ სანახაობის მონაწილენი¹⁴⁸. აკადემიკოს შ. ამირა-
ნაშვილის აზრით, საქართველოსა და მთელი კავკასიის ხელოვნებაში
ცხოველთა გამოსახულებას ამჩნევია მეტად თავისებური ნიშნები და
გარკვეული მხატვრული სტილი. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს
დავადგინოთ ცხოველთა გამოსახულების „კავკასიური სტილი“, რა-
საც უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ხელოვნების ზოგადი ისტო-
რიისათვის.

ცხოველთა გამოსახულების ეს თავისებური სტილი, რომელიც ნა-
თლად ირკვევა მაიკოპის ყორღანის ინვენტარში, აშკარად ჩანს თრი-

აღეთში აღმოჩენილი ვერცხლის სასმისზე რიტუალური სიუჟეტის გამოსახულებით და აგრეთვე ვერცხლის სარწყულზე ნადირობის კომპოზიციის გამოსახულებით.

აღნიშნული საკითხის დაკვირვებით შესწავლა საშუალებას გვაძლევს სრული სიზუსტით დავადგინოთ, რომ ამ შემთხვევაში ყველა ფიგურას აქვს სახეზე მოფარებული ნილაბი ცხოველის გამოსახულებით. მართლაც, ნილაბი გამოყოფილია კისრისგან ხაზით. ეს ცხოველის თავი ბეწვიანია¹⁴⁹. ოსეთის უძველესი ხელოვნების ისტორიის დასადგენად საინტერესო მასალას იძლევა არქეოლოგ ბაგრატ ტეხოვის მიერ თლის (სამხრეთ ოსეთი) არქაულ სამარხებში აღმოჩენილი უნიკალური ექსპონატები: მამაკაცისა და ქალის ქამრები, ადამიანების პატარა ქანდაკებები, საოჯახო და საომარი ნივთები, სამკაულები და სხვა.

ბრინჯაოს ქამრების ერთი ჯგუფი ყოველგვარი მოქარველობის გარეშეა, მეორე და მესამე ჯგუფი კი ცხოვრებისეული რთული სიუჟეტური სცენებითაა გაფორმებული¹⁵⁰.

თლის სამარხში ნაპოვნ ექსპონატებს არქეოლოგი ტეხოვი აკუთვნებს ყობანურ კულტურას¹⁵¹.

ხელოვნების ეს უნიკალური ძეგლი — გამოსახული ბრინჯაოს სარტყელზე. მეტად საინტერესო მასალას იძლევა უძველესი დროის კავკასიის ხალხთა ცხოვრებისა და კულტურის ისტორიის დასადგენად. მართლაც, როგორც მკვლევარი ადასტურებს, სარტყელზე გამოსახული ყველა არსება მოქმედებს გამოხატავს, ამასთანავე ურთიერთდამოკიდებულებას, რაც საწინდარია იმისა, რომ სარტყელზე მოცემული თითოეული ეპიზოდის რთული სცენები ერთი მთლიანი სიუჟეტის ცალკეული მონაკვეთებია. სარტყელი ადგილობრივი წარმოშობისად არის მიჩნეული. იგი დამზადებულია ადგილობრივი ნიჭიერი ოსტატის მიერ. აშკარად აჩნია ფანტაზიის გაქანება, სახეების ზუსტი გამოკვეთის უნარი.

თეატრალური ხელოვნების თვალსაზრისით. ჩვენთვის მეტად საგულისხმოა სარტყელზე გამოსახული ადამიანების ფიგურები, რომლებსაც თავზე ჩამოცმული აქვთ ნიღბები. თუმცა ბ. ტეხოვი დასკვნაში ნიღბებს არ ახსენებს. მას რატომღაც მიაჩნია, რომ ფიგურებს ჩამოცმული აქვთ ჭავჭავნი, მაგრამ ჩვენთვის დაკვირვებიდან და თვითონ ტეხოვის აღწერილობიდანაც ვიცით, რომ მხედარს ეტყობა წვერი და თავზეც მოკლე თმა. მაშასადამე, მხედარსაც და მეომარსაც თავზე ჩამოცმული აქვთ მითითური ფრინველების (ვინაიდან რეალურ ფრინველებს არა ჰგვანან) განსახიერებელი ნიღბები; ორივე ნილაბი ერთნაირია, თუმცა ადამიანების ფიგურებიდან ერთი ცხენოსანია, მეორე კი — ქვეითი მეომარი. ორივე ფიგურას, გარდა თავზე წამო-

ცმული ფრინველის ნიღბებისა, სხეულის სხვა ნაკვთები ზუსტად და რეალურად აქვთ მოცემული. ამავე დროს მხედარს აღვირზე წამოცმული აქვს ადამიანის თავი. შესაძლებელია ისიც ნიღბი იყოს; ვინაიდან, თუ დავაკვირდებით კარგად, მაინცდამაინც ადამიანის თავს არ წააგავს. იმ ნიჭიერ ოსტატებს, რომლებსაც რეალისტურად და ამავე დროს ზუსტი თანაფარდობით აქვთ მოცემული როგორც ადამიანების, ისე ცხოველებისა და ფრინველების ფიგურები, იმის უნარიც უქვევლად შესწევდათ, რომ ზუსტად გამოესახათ ადამიანის თავი. მით უმეტეს, თლის ამავე სამარხებში, აგრეთვე კავკასიის სხვა თანადროულ სამარხებში ბ. ტეხოვსა და სხვა არქეოლოგებს ნაპოვნი აქვთ ყობანური კულტურის ეპოქის ადამიანების (ქალის, მამაკაცის) პატარა ქანდაკებები, რომლებზეც ზუსტადაა გამოსახული ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილები, მათ შორის შუბლი, თვალები, ცხვირი, ყურები, პირი, ყელი, ხელები და სხვა. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ცხენის აღვირზე ადამიანის თავის ფორმის გამოსახულება ნიღბია, რომელიც ისევეა მოკლე ბალნით დაფარული, როგორც თვითონ მხედრის ნიღბი. არქეოლოგების მიერ ნაპოვნი ნივთებზე გამოსახული ადამიანებისა და ცხოველთა ფიგურების ოსტატურად, მაღალი პროფესიული გემოვნებით შესრულების ფაქტი გვარწმუნებს, რომ უძველესი დროის ოსტატები კომიკური ტიპაჟის შესაქმნელად შეგნებულად ამახინჯებდნენ ადამიანებისა და ცხოველების განმსახიერებელ ნიღბებს, რომელთაც შემდეგში იყენებდნენ ხალხური სანახაობის წარმოდგენისათვის. ანტიკური თეატრის ისტორიიდან ვიცით, რომ კომიკურ ნიღბებს ფართოდ იყენებდნენ ძველი ბერძნები⁵².

პროფესორი დ. ჯანელიძე ეხება ნაქალაქარ ვანში აღმოჩენილ ნიღბს და ასკვნის, რომ ანტიკურ თეატრში ხმარებული კომიკური ნიღბის მსგავსად, ვანის ნიღბის ერთი მხარე სიცილის გამომხატველია, მეორე კი — სიდინჯის, სიმწვიდის გამომხატველი, ნიღბს თმა ლურჯი მასისაგან აქვს გაკეთებული⁵³. ზემოთ გამოთქმულიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ნიღბების დამზადებისა და ხმარების მეტოდის მსოფლიო ცივილიზებულ ქვეყნებში და მათ შორის კავკასიაში მცხოვრებ ხალხებში უხსოვარ დროიდან არსებობდა. სამართლიანად აღნიშნავს სტუდენტეკაია, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხების ლექსიკაში სიტყვა „ნიღბი“ არ არის და მათ შორის ოსურ ენაშიც, სადაც ნიღბის ნაცვლად იხმარება: „თხის თავი“, „იჩმის თავი“, „დათვი“, „მაიმუნო“, „ძალი“, „კატა“ და სხვა⁵⁴. შემდგომში მას თეატრალიზებული სახე მიეცა, ვინაიდან ნიღბების მეშვეობით სხვადასხვა დღესაწაუღების დროს სახალხო სანახაობებს უჩვენებდნენ. სწორედ ამის საფუძველზე პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე ბერიკაობას

სამართლიანად უწოდებს ნიღბების თეატრს, სადაც მისივე აზრით, უფრო ხშირად წარმოსახედნენ ადამიანთა გარკვეული ტიპების გარდა, ცხოველთა სამყაროს (ტახი, დათვი, მგელი, კატა, ირემი, შველი, კურდღელი, თხა, ყოჩი, აქლემი, ცხენი, ვირი, ძაღლი), მცენარეებს (ხე), შენობებს (ტაძარი, საბძელი), ნივთებს (ყალიონი), მითოლოგიურ არსებებს (დევი, ეშმაკი) და განყენებულ ცნებებს („უკუღმართი ცხოვრება“, „დედაკაცის სიმყრალე“)¹⁵⁵. პროფ. დ. ჯანელიძის აზრითვე დევი, დათვი ბერობანა — ბერიკაობის მოქმედი ნიღბებია მითოლოგიურ-წარმართული წარმოსახვის სფეროდან¹⁵⁶.

... წარსულში ოსი ხალხიც სხვადასხვა სანახაობების გამართვის მიზნით, უფრო ხშირად კი რელიგიური დღესასწაულების დროს¹⁵⁷ ისეთივე ნიღბებს იყენებდნენ, როგორსაც მათი მეზობელი ქართველები. ამას ადასტურებს როგორც არქეოლოგიური მონაპოვრები, ისე ხალხური ზეპირსიტყვიერება, მოსმენილი და ჩაწერილი მასალები, ეთნოგრაფიული მასალები¹⁵⁸.

... 1913 წელს ყოფილ თერგის სამაზრო მუზეუმში (ამჟამად ჩრდილო ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ქ. ორჯონიკიძეში) სოფ. ნარის მცხოვრებმა ესტა კალოევმა მიიტანა ბრინჯაოსგან¹⁵⁹ დამზადებული ადამიანის თავის გამომსახველი ნიღაბი, რომელიც ამჟამად დაცულია ზემოთ დასახელებულ მუზეუმში. ბოლო წლებში ამ იშვიათი ექსპონატით დაინტერესდა ცნობილი რუსი ეთნოგრაფი ლ. სემიონოვი, რომელმაც დეტალურად შეისწავლა ის ადგილმდებარეობა, სადაც წააწყდნენ ნიღაბს. რუსი მკვლევარის აზრით, იმ ადგილიდან, სადაც აღმოჩნდა ეს ნიღაბი, ცოტა მოშორებით ამჟამად დგას უძველესი დროინდელი ქვის სალოცავი, ოსურად „ძუარი“, რომლის არსებობაც ადგილობრივ მაცხოვრებლებს დიდი ხანია მივიწყებული ჰქონიათ. ბრინჯაოსგან დამზადებული ნიღაბი მეტად პატარაა და მისი დანიშნულება ადამიანის თავზე ჩამოცმა არაა. არქეოლოგი რ. რამიშვილი აღნიშნავს ბიჭვინთაში აღმოჩენილი ორი ქანდაკების შესახებ. რომ ასეთ ნიღბებს ჰკიდებდნენ ღვთაებისადმი განკუთვნილ სამლოცველოში — დღესასწაულის დღეებში. „დიონისეს დიდ ნიღაბს ამაგრებდნენ ხის სვეტზე და ასე ატარებდნენ პროცესიის წინ“¹⁶⁰.

ოსეთში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნიღაბსაც ასეთივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ. რომ მთიანი ზონის ოსეთის ეს რაიონი თუალეთია (დვალეთი). რომელიც მდებარეობს მდინარე არდონის სათავესთან და მეცნიერული თვალსაზრისით ჯერჯერობით სათანადოდ არაა შესწავლილი.

დასახელებულ ნიღაბს ლ. სემიონოვი ოსურ კულტურას არ აკუთვნებს. იგი მას ათარიღებს VIII—VII სს. ძვ. წ. და მას ძველი ადგი-

ლობრივი ღვთაების გამოსახულებად თვლის. მას სავსებით ეთანხმება არქ. ვ. ვინოგრადოვი¹⁶¹. ამავე ნიღაბის შესახებ ვრცლად შეჩერდა ვ. კუზნეცოვიც. ლ. სემიონოვის დასკვნით, ნიღაბი ასახავს ქალს. სახეზე გამოხატულია მისი ძლიერება. ენერგიულობა და მკაცრი მბრძანებლობაც კი. ეტყობა კალთის შიგნიდან ჩამოცმული იყო ხის კერპზე. რომელიც იღვა ან მთაზე, ან იქვე ახლოს, უძველესი პერიოდის წარმართულ ხატზე.

ყოზანის ეპოქაში, როდესაც პატრიარქალურ საზოგადოებაში შეინარჩუნეს ღრმა ფესვები მატრიარქატისა, ქალის ღვთაების არსებობა სრულიად შესაძლებელია.

შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ნართულ ეპოსის ერთ-ერთი ყველაზე არქაული სახე, ბრძენი სათანას სახე მატრიარქალური ურთიერთობის ეპოქიდან მომდინარეობს. მაგრამ არის კი ეს ერთობლივი რგოლი ამჟერად გაწყვეტილი ჯაჭვისა?

ყოზანური ოსტატის უნიკალურ ნაწარმოებს დიდხანს არ მოეძებნებოდა ანალოგები პირველყოფილ ხელოვნებაში. ეხლა კი ასეთი ანალოგია არსებობს. ეს ადამიანის თავის ფორმის სკულპტურული გამოსახულებაა ქვაში, ნაპოვნია მდინარე ტუიზე ობის შესართავთან. მათი მსგავსება საოცარია. რასაკვირველია, პირდაპირი კავშირი ტუისა და ნართული თავების გამოსახულებებს შორის არ არსებობს¹⁶².

ვლ. კუზნეცოვმა სამართლიანად გაავლო პარალელი ნართების ეპოსის მთავარ მოქმედ პერსონაჟ სათანასა და ნარში ნაპოვნ ნიღაბს შორის. არქეოლოგებმა საყურადღებო გათხრები აწარმოეს სტანიცა ზმეიკასთან. გათხრების შედეგად მე-14 კატაკომბაში ხელოვნების თვალსაზრისით საინტერესო ნივთები აღმოაჩინეს. არქეოლოგი ვლ. კუზნეცოვი მას XII საუკუნის ალანთა მეფის სამარხს უწოდებს. ექსპონატებიდან ჩვენ დაგვაინტერესა ოქროსფერმა ფირფიტამ, რომელზეც გამოსახულია ხე, ხის ერთ ტოტზე ზის ფრინველი და მის ნაყოფს მიირთმევს. ანალოგიური სიუჟეტი გვხვდება ოსურ ფოლკლორში, კერძოდ ნართების ეპოსში, რაც შეუუმჩნეველი არ დარჩა მკვლევარ ვლ. კუზნეცოვს. ერთ-ერთ ფირფიტაზე ჩიტს მტაცებლური ნისკარტით მიაქვს ტოტი ვაშლის მსგავსი სამი მრგვალი ნაყოფით. ეს ის ნაყოფია, რომელიც კიღია „ხე ცხოვრებისა“-ზე. აქ ჩვენ კვლავ ეუბრუნდებით ოსეთის პოეტურ ზეპირსიტყვიერებას, ამჟერად ნართულ ეპოსს¹⁶³.

შემდეგ ვ. კუზნეცოვს მოჰყავს თქმულება „ვარხაგისა და მისი შვილების“ შესახებ, რომლის თანახმად ნართების ვაშლის ხე ისხამდა ოქროს ნაყოფს. მაგრამ უცნაური ფრინველი შეეჩვია და ყოველთვის მისი ღამწიფების პერიოდში იპარავდა ვაშლებს. ამის გამო ხეს რიგრიგობით დარაჯობდნენ ნართები. დაღვა ვარხაგის შვილების ახ-

სარისა დ- ახსართაგის დარაჯობის რიგი. მთელი ღამის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავთ, ისე დარაჯობდნენ ხეს. გათენებისას ახსართაგ მა შენიშნა, რომ ვაშლის ნაყოფს მიირთმევდა საკმაოდ მოზრდილი ფრინველი. ესროლა ისარი, დაჭრა კიდეც, მაგრამ ფრინველი შაინც გაფრინდა. ძმები მიჰყვნენ სისხლის ნაკვალევს. კვალმა ნართები ზღვამდე მიიყვანა, ახსართაგი ეშვება ზღვაში და მოხვდება ზღვის შეუფე დონბეთირის ოჯახში, სადაც დაჭრილი იწვა ფრინველის ნილაბათარებული ულამაზესი ასული ძერასა. ახსართაგი მოარჩენს შას და ცოლად ირთავს დონბეთირის ასულს. ამ შეუღლებისგან წარმოიშვა ნართების ძირითადი გვარი.

მოყვანილი სიუჟეტის დასასრულს ვლ. კუზნეცოვი აღნიშნავს, რომ, ამრიგად, ჩიტთან და ჯადოსნურ ვაშლებთან დაკავშირებული ნართული ეპოსის მნიშვნელოვანი სიუჟეტი. იგი ხომ არ არის ალბექ-დილი უნაჯირის ალკაზმულობის ტყავის ფირფიტაზე? დამთხვევა ნართული თქმულებისა ფირფიტის ნახატთან საოცარია. ნართული ეპოსი კი ალანურ გარემოცვაში იმ ეპოქაში ფართოდ იყო გავრცელებული¹⁶⁴.

აქ ოდნავი ეჭვიც არ არის იმისა, რომ ოსეთის მიწაზე არსებულ ძველ საშარხებში ნაპოვნი ძვირფასი სამკაულები, საოჯახო და საო-შარი ნივთები ადგილობრივი სპეციალისტების ნახელავია; მათზე გამოსახული სცენები და ფიგურების სიუჟეტები კი იმ ფოლკლორის ნიმუშების განსახიერებაა, რომელიც ზემოთ საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ.

ოსურ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება ისეთი ეპიზოდები და ცალკეული სცენები, სადაც იკეთებდნენ მგლის, დათვის, ცხენის, ეშმაკისა და თხის ნიღბებს¹⁶⁵.

გიორგი ჯიოგემა ნიღბის ხმარებაზე ასეთი თქმულება გადმოგვცა: „ღრმად მოხუცებული სონა სშირად წუწუნებდა — დავბრმავდი, დავჩაჩანაკდი, მოხუცი, უძლური აღარავის ვჭირდები... ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ათასჯერ სჯობია.

ღამით დაძინების წინ ყოველთვის ღმერთს ეხვეწებოდა: „ყოველი შენძნე ღმერთო დიდებულო, მალე მაღორსე სიკვდილი“.

ერთხელ გვიან ღამით, როცა ყველანი ღრმა ძილს მისცემოდა, სონას შვილიშვილმა ეშმაკმა ბიბომ ქურქი უკულმად გადაიცვა, თავზე დიდი რქები წამოიცვა, თვითნაკეთი თხის წვერი გაიკეთა, სახე სხვადასხვა საღებავით შეიღება და ამ ფორმით მიაღვა მძინარე მოხუცს.

— გაიღვიძე. დედაბერო, მეძახდი და მოვედი კიდეც! — შეცულილი ბოხი ხმით ჩასძახა ყურში ქალს თავისმა შვილიშვილმა.

— ვინა ხარ, რა გინდა ჩემგან?

— სიკვდილის მოციქული.

— მერე და ჩემგან რა გინდა?!

— როგორ თუ რა?! დღემდე ყოველდღე მიხმობდი და აი მეც შოვიცალე და გეწვიე კიდევ. ადე, დედაბერო, საჩქიოში უნდა წაგყვანო.

— შე დალოცვილო, ამდენა მიწიერიდან ჩემზე უკეთესი არავინ ნახე... გაიარე სოფელში, უკეთეს საკბილოს გამოკრავ ფეხს, მე კი მომეშვი, ერთი-ორი დღეც მაცოცხლე, — შეშინებული ხმით ბუტბუტებდა უძლური მოხუცი და უფრო ღრმად შეიფუთნა ლოგინში“.

თქმულებაში ძირითადი ყურადღება მივაქციეთ ახალგაზრდა ყმაწვილის მიერ სახის შეცვლას ნიღბის მეშვეობით. ექვს გარეშეა, რომ ასეთ ხერხს ხშირად იყენებდნენ, ე. ი. იკეთებდნენ ნიღაბს და ზეპირსიტყვიერებაშიც სათანადოდ აისახა ეს ფაქტი.

ნიღაბის ხმარება ხშირად გვხვდება ნართების ეპოსში. მაგალითად, თქმულებაში „როგორ დაიღუპა ურიზმაგი“ — გონიერმა და გონებამახვილმა ურიზმაგმა ვაცის ნიღაბი ისე ოსტატურად გამოიყენა, რომ სიკვდილს გადაარჩა: ბრძენმა ურიზმაგმა, იმ მიზნით, რომ დევს არ ეცნო იგი, დაკლა ვაცი, გაატყავა და ტყავი ისე მოხერხებულად ჩაიცვა, რომ დემა, თუმცა სათითაოდ ხელით გასინჯამთელი ფარა, მაინც ვერ იცნო ურიზმაგი¹⁶⁶.

ნიღბების ხმარების პრაქტიკას ნართების ეპოსის სხვა თქმულებებშიც უხვად ვხვდებით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ რამდენიმეს. ნართების ეპოსის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟია გონებამახვილი, და ხუმარა სირღონი. მას შეუძლია სხვადასხვა იერსახის მიღება. თქმულებაში „ნართი სოზირიყო“ სირღონი მას წინ დახვდება მოხუცი კაცის ნიღაბში. სოზირიყო სირღონს, რა თქმაუნდა კარგად იცნობდა, მაგრამ სირღონმა ისე ოსტატურად გაითამაშა მოხუცი კაცის როლი, რომ კარის მეზობელმა ველარ იცნო იგი¹⁶⁷. აქედანაც ჩანს, რომ ნართებში ნიღბების ხმარების ხელოვნება საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. იგივე სირღონი ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს ნართების მესვეურები; იგი წარუდგება მათ ახალგაზრდა ყმაწვილის, შემდეგ ქალის ნიღბით. საინტერესო ის არის, რომ ნიღბების შეცვლა ხდება ერთ მონაკვეთში, ერთ ეპიზოდში, ე. ი. სირღონი გარდასახვის საქმეში ისეა დაოსტატებული, რომ ერთი პერსონაჟიდან მომენტალურად საპირისპირო პერსონაჟად გარდაიქმნება. პირველად იგი მოხუცის ნიღაბში მოველინება ნართებს, შემდეგ ახალგაზრდა ჭაბუკის ნიღაბში, ბოლოს კი ქალის სახით წარუდგება¹⁶⁸. ნართები ნიღაბს იყენებდნენ რეალურ ცხოვრებაშიც: სოზირიყომ ჩაიცვა მგლის ტყავი. გაიკეთა მგლის ნიღაბი

და ისე შეხვდა ორთაბრძოლაში ჭაბუკ თოთრადს. სოზირიყომ იცო-
და, რომ თოთრადის ცხენი ფრთხება მგლის დანახვაზე და თავისი
საბრძოლო გეგმა ამასე ააგო. საბრძოლო შეტაკებისას თოთრადის
ცხენი „მგლის“ დანახვაზე დაფრთხა და გაიტაცა მხედარიც, სოზი-
რიყომ ისარგებლა ამით და ზურგიდან ისრების სროლით დაამარ-
ცხა უძლეველი თოთრადი¹⁶⁹. სახის აცეკლის მიზნით ნიღბის გამო-
ყენების ეპიზოდის ნართების სხვა თქმულებებშიც გვხვდება, კერ-
ძოდ თქმულება „ალბეგოვებში“. თქმულების მიხედვით ნართებმა
სათამაშოდ გამოსვლა გადაწყვიტეს, უბრძანეს ხალხს, რომ ყველა გა-
მოსულიყო სათამაშო მოედანზე. ალბეგოვებს ოჯახში აღარავინ
ჰყავდათ, გარდა ერთადერთი ქალიშვილისა. თანახმად წეს-ადათისა,
თუ ოჯახიდან სათამაშოდ მამაკაცი არ გამოვიდა, მაშინ იმ ოჯახის
ქალიშვილს შონად აქცევდნენ. მონობისაგან თავის დახსნის მიზნით
ალბეგოვების ქალიშვილი მამაკაცურად გამოეწყო, გაიკეთა მამა-
კაცის ნიღაბი — წვერ-ულვაშით და გამოვიდა სათამაშო მოედანზე.
იგი ვერავინ ვერ იცნო და მიხანს მიაღწია¹⁷⁰.

ნიღაბსა და გრიმს ქლებიც იყენებდნენ. მაგალითად, ლეგენდა
„უქნარაში“ გამოყვანილია უქნარა მამაკაცი, რომელიც ძილისა და
ჭამის მეტს არაფერს აკეთებდა. ცოლი იძულებული გახდა რაიმე
ღონე ეხმარა, რათა არსებობის წყარო მოეპოვებინათ. ერთ დღეს
მან გაიკეთა ეშმაკის ნიღაბი და გრიმი სხვადასხვა ფერი საღებავე-
ბით და ქმარს უკან გაჰყვა ყანაში. ამ ქალმა არაჩვეულებრივად გაი-
თამაშა სულთამხუთავის სახე, ისე რომ საკუთარმა ქმარმაც ვერ
იცნო და ქმართან ახლო მისული ეუბნება მას:

„მე ვარ უქნარების სულთამხუთავი. მოვედი, რომ ყველა უქნარა
დაეახრჩო და მისი სული თან წავიღო“. ამის გაგონებაზე უქნარა
კაცი წამოხტა, ეცა სამკალს და სწრაფად მომკა მთელი ყანა¹⁷¹
უქნარას შეუღლებ გამოავლინა მსახიობის ნიჭი, ისე ოსტატურად
განასახიერა ახალი პერსონაჟი, რომ საკუთარმა ქმარმაც ვერ იცნო;
ცხადია, ყოველივე შეძლო ნიღბის საშუალებით. სხვადასხვა პერ-
სონაჟის — ქალის მიერ კაცის, კაცის მიერ ქალის, ან ცხოველე-
ბისა და ნადირების განსახიერებები ნიღბის საშუალებით ხშირად
გვხვდება ოსურ ხალხურ ზღაპრებში¹⁷², რაც უდავოდ იმის ნიშანია,
რომ ნიღაბსა და გრიმს ფართოდ იყენებდნენ. წარსულში ოსები
ნიღაბს ისევე ხშირად იყენებდნენ სანახაობათა მოწყობისას, რო-
გორც ქართველები. აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი სახალხო
სანახაობის შესახებ წერდა, რომ ბერიკობის დროს კაცი ქალის
ტანსაცმელში ეწყობა, ან სახეზე ვირის, ან დათვის, ან სხვა ცხო-
ველის თავს ჩამოიფარავს და ზურგზე იმავე ცხოველის ტყავს წამო-
იხურავს. ორი პირი თამაშობს და ერთმანეთს ეარშიყება. მესამე

პირი თხის რქებს გაიკეთებს თავზე, მეორე კი ხის ხმლით, ან ხანჯლით გაჰყვება სხვებს. ამათ აჰყვება საზანდარი. მესაზანდარე დაუკრავს სტვირს, ხის ხანჯლებიანი არაკუნებს, მეფე და დედოფალი თამაშობენ, თხის ნიღბიანი აჰყვება მათ, ხტის და იგრიხება, დამსწრენი ერთობიან და იცინიან¹⁷³.

ქართულ სახალხო სანახაობებში ნიღბების შესახებ ვრცლად მსჯელობს პროფ. დ. ჯანელიძე. მისი აზრით, ყუენობაში ორი მთავარი ნიღბია, ერთი გამოხატავს საქართველოზე შემოსეულ მტრების მეთაურს, ხოლო მეორე — ქართველი ხალხის წინამძღოლს. ყუენობაში ნიღბების საიმპროვიზაციო თეატრის მსახიობის ბერიკას ნიღბიც იყო წარმოდგენილი, ამასთან ყუენობაში მარტო ნიღბებით არ კმაყოფილდებოდნენ, ისინი სახეს იცვლიდნენ მოხატვის, წვერულვაშის მიწებების საშუალებით, რომ ყუენს თავზე ახურავდნენ თვისაგან გაკეთებულ კრუხის საბუღარის მსგავს ქუდს, ტანზე ეცვა გადმობრუნებული წამოსასხამი ტყავი, დაგლეჯილი ქურჭი და ა. შ.¹⁷⁴.

ოსებშიც სხვადასხვა დღესასწაულში სახალხო სანახაობების მონაწილენი ქართველი ბერიკებივით ნიღბებსა და გრიმებს იკეთებდნენ. ბორის ალბოროვის აღწერით, ადრე ოსები იკეთებდნენ ნიღბებს, იხატავდნენ თვალებს და ცხვირს, წვერ-ულვაშებს ამზადებდნენ ცხენის ძუისგან, თავზე იკეთებდნენ ირმის, თხის, კამეჩის რქებს. ზოგიც კი დათვის ან მგლის თავს¹⁷⁵. ასეთ მარტივ ნიღბებს ოსეთის ყველა კუთხეში. ხმარობდნენ, ვინაიდან სახალხო სანახაობის ჩვენება სისტემატურ ხასიათს ატარებდა, ყველა დღესასწაულს. ახლდა რამდენიმე სახის ნიღბი, ნანახიდან მ. თულანოვმა დახატა და ამ ფორმით შემოგვინახა. მ. თულანოვისავე ცნობით, ხალხის გასამხიარულებლად ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ვაჟს გამოაწყობდნენ „მაიმუნის“ სამოსში. თავზე მას ახურავდნენ თვითნაკეთ ნიღბს რქებითა და თხის წვერით, თვალის ხერელებთან წითელი მოხაზულობით¹⁷⁶.

ოსები ნიღბებს ამზადებდნენ ტყავისგან, უხეში ქსოვილისგან და ხისგან. პროფ. დ. ჯანელიძე წერს: „გ. ჯაოშვილმა (ხელოვნებათა მცოდნეობის კანდიდატი — რ. ჩ.) მიაგმო, რომ მას ს. უდელში უნახავს ხისგან გამოთლილი თავ-კისერი, რაც ორ შენიღბულთაგან წინა მოთამაშეს ეჭირა ხელში და ასე ათამაშებდა მას“; არ. ბაგაევა-ზასეევამ გვიამბო, რომ ხის ნიღბებს. რომლებიც განასახიერებდნენ როგორც შინაურ, ისე გარეულ ცხოველებსა და ფრინველებს, ფართოდ იყენებდნენ ომამდე პერიოდში ჯავის რაიონის სოფლებში: ყუმულთაში, ქოთანთოში, სოხთაში, სარითათაში, ერწოში. წონში, ჩესელთაში, ჩასავალსა და სხვა. ხის ნიღბს ორგვარი დანიშნულ-

ბა ჰქონდა: ის იყო საოჯახო ინვენტარიც; ხისგან დამზადებული ოვალური ფორმის ხონჩას ჰქონდა სამი დიდი ნახვრეტი; მას იყენებდნენ დიასახლისები რძის პროდუქტების დასამზადებლად და ლუდის გამოსახდელად. სახალხო სანახაობის დროს მას პირისახეზე ამოიფარებდნენ, ძაფით იმაგრებდნენ და ხმარობდნენ ნიღბად.

ხის ნიღბის ასეთი ფორმით გამოყენების შესახებ გვიამბო დიანოზ ჩერთყოვემა. მისი გადმოცემით, ლეხურისა და ქსნის ხეობებში ხის ნიღბს მხოლოდ ორი ნახვრეტი ჰქონდა. დიასახლისები მას იყენებდნენ დოდან კარაქის გამოსაყოფად, ხოლო ნიღბად გამოყენების პერიოდში მას ნახშირით უხატავდნენ ცხვირსა და პირს.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები გვარწმუნებს, რომ ოსი ხალხი, სახალხო სანახაობის წარმოდგენისას სხვადასხვა ფორმისა და სახის ნიღბებს იყენებდნენ უძველესი დროიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ თეატრალური ხელოვნების საწყისები ოსეთში უძველეს დროს ჩაისახა.

შ ე ბ ი შ 3 6 0 0

- 1 Туганов М. С. Литературное наследие. Орджоникидзе 1977.
с. 63.
- 2 Кузнецов В. А. Путешествие в древний Ирыстон, М., 1974
с. 20.
- 3 Труды V Археологического съезда, М., 1887., с. 7.
- 4 Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института
(ЮОНИИИ), вып. XV, Тбилиси, 1968., с. 131.
- 5 Археологические раскопки в районе Змейской СОАССР, Орджони-
кидзе, 1961, с. 84.
- 6 Кузнецов В. А. Путешествие в древний Ирыстон. с. 46.
- 7 ნართების ჯაღოსნური თასი. ვაცაშინვა თერკ-თურქეთიდან შოიტანა
ქანგის შვილმა სავამ და აჩუქა ნართებს (ავტ.).
- 8 ნართების ეპოსი. ორჯონიკიძე, 1975, გვ. 217—219 (ოსურ ენაზე).
9. Техов Б. В. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии,
Тбилиси, 1971., с. 166.
- 10 Техов Б. В. Там же, с. 173.
- 11 ნართების ეპოსი. ორჯონიკიძე, 1975, გვ. 112 (ოსურ ენაზე).
- 12 ლენინი ვ. ი. ფილოსოფიური რვეულები. თბილისი, 1947. გვ. 308.
- 13 Горький А. М. О литературе. М., 1953 г., с. 703.
- 14 Осетинская народная музыка. газ. «Заря Востока», 13/XI, 126.
- № 1327.
- 15 თბილისი ა. ა. რჩული ნაწერები. ცხინვალი, 1964. გვ 267 (ოსურ
ენაზე).
- 16 Ардасенов Х. Н. Очерк развития осетинской литературы. Ор-
джоникидзе, 1959., с. 21.
- 17 ჭანელიძე დ. ს. ქართული თეატრის ხალხური საწყისები. თბ., 1948.,
გვ. 146.
18. ჭანელიძე დ. ს. დასახლებული ნაშრომი, გვ. 510.
- 19 Хамидова Т. А. Историко-песенный фольклор Осетии, Орджо-
никидзе, 1973., с. 7.
- 20 Марков Е. А. Очерк Кавказа, изд. 3-е, СПб-М., 1913., с. 7.
- 21 ნართები. სტალინბრი, 1947, გვ. XI.
- 22 Кузнецов В. А. Путешествие в древний Ирыстон, с. 37.
- 23 Известия Северо-Осетинского научно-исследовательского института
(СОНИИ), Орджоникидзе. 1969., с. 35.
- 24 Дюмезиль Жорж. Осетинский эпос и мифология. М., 1976.,
с. 161.
- 25 Туганов М. С. Литературное наследие. с. 16.
- 26 Туганов М. С. Там же, с. 128.
- 27 Абаев В. И. Историческое в нартовском эпосе. Дзауджикау, 1949.,
с. 42.
- 28 Магомедов А. Х. Культура и быт осетинского народа. Орджо-
никидзе, 1968. с. 552.
- 29 ნართები. ცხინვალი, 1947, გვ. 161.
- 30 Абаев В. И. Историко-этимологический словарь осетинского язы-
ка (ИЭСОЯ), М., 1958 т. 1, с. 448.
- 31 ნიხასი — ნართების თავმუსაყრელი ადგილია, სადაც ისინი წყვეტდნენ
მაზოგალოებრივ საკითხებს, უჩვენებდნენ სანახაობებს (ავტ.).

- 32 ნართები, ცხინვალი, 1947, გვ. 334.
- 33 თქმულების სხვა ვარიანტებში ღედის თმის ნაცვლად სიქებად გულისძარღვები.
- 34 ყველა თქმულებაში სირღონი ფანდერს უფროსი ვაჟის მკლავზე 12 სიძს აბამს.
- 35 ნართები, ცხინვალი, 1947, გვ. 335.
- 36 Сборник материалов по этнографии, вып. 1, 1885, с. 86.
- 37 ჟანელიძე დ. ს. დასახელებული ნაშრომი, გვ. 78.
- 38 ოსური ხალხური შემოქმედება. ორჯონიკიძე, 1961, გვ. 338 (ოსურ ენაზე).
- 39 ნართები, სტალინირი, 1947, გვ. 298.
- 40 ნართები. სტალინირი, 1947, გვ. 360.
- 41 ნართები. სტალინირი, 1947, გვ. 367.
- 42 რონგი — ლედის მაგვარი სასმელია, გვხვდება ოსურ ზეპირსიტყვიერებაში (ავტ.).
- 43 ოსური ანდაზები. ორჯონიკიძე, 1976, გვ. 35 (ოსურ ენაზე).
- 44 ოსური ხალხური შემოქმედება. ორჯონიკიძე, 1961, გვ. 233 (ოსურ ენაზე)..
- 45 გვარია ნართების ეპოსში (ავტ.).
- 46 ფარსაგი — სოციალური ფენა, ჭგუფი.
- 47 Мюмсаи.т.х. Указ. пруд. с. 100.
- 48 ნართების ეპოსის მიხედვით „სიმღს“ შაბათიდან მომდევნო შაბათამდე ეტყევიანენ. ეს ზნე-ჩვეულება ოსმა ხალხმა შეინარჩუნა XIX საუკუნის დასასრულამდე. თუ ვინმე ვაბედავდა ცუკვის შეწყვეტას, აუცილებლად სისხლის ღვრა მისდევდა. ამას იუწყება პეტ. ი. ჭანავის ცნობილი პოემა „ბადილანთი სიმღი“.
- 49 ნართები, ორჯონიკიძე, 1957, გვ. 219 (ოსურ ენაზე).
- 50 საქორწილო ვაჟი ცდილობდა ყოველთვის იმასთან ეტყევა, ვინც მოსწონდა, წარსულში შეხვედრის სხვა საშუალება მათ არ ჰქონდათ.
- 51 ნართები. ორჯონიკიძე, 1975, გვ. 223 (ოსურ ენაზე).
- 52 ნართები. ორჯონიკიძე, 1975, გვ. 217 (ოსურ ენაზე).
- 53 სირღონის ლეგენდები. ორჯონიკიძე, 1963, გვ. 80 (ოსურ ენაზე).
- 54 ნართები. სტალინირი, 1947, გვ. 184.
- 55 Сборник материалов по этнографии, вып. 1, М., 1885, с. 86.
- 56 ოსური ხალხური ზღაპრები. ცხინვალი, 1959, გვ. 214 (ოსურ ენაზე).
- 57 მასალა ჩაიწერე 1978 წ., 80 წლის დიანოზ ჩერთყოვეისგან (გორი-ხუ-რველეთი).
- 58 მასალა ჩაიწერე — 1959—60-იან წლებში ქარელში, გორში, კასპსა და ლაგოდეხში.
- 59 მასალა ჩამაწერინა ა. ჩოგოევა (ლენინგორი).
- 60 Архив Северо-Осетинского научно-исследовательского института (СОНИИ), ф. 45, п. 21, л. 32.
- 61 ძველად ოსეთში ზედაფენის წარმომადგენლები თავადი (ალღარ) ბადილათები კანონიერ ცოლის გარდა ერთადერთ კალს ქვედა ფენიდან ე. წ. ნომილუსებს. ნომილუსები უუფლებონი იყენენ, ცხოვრობდნენ ქმრის სარდაფში, ან გომურში. ნომილუსის დაბადებულს ქვედასართებს (იგივე ბავაში დაბადებულს) უწოდებდნენ, მამის მემკვიდრეობით სარგებლობის უფლება არ ჰქონდათ. თავადი თულათოეების ქვედასართები იყენენ ასლანბევი და ბუძი.
- 62 ლენინი ვ. ი. კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბილისი, 1957, გვ. 192.
- 63 ჟანელიძე დ. ს. დასახელებული ნაშრომი, გვ. 85.
- 64 ყაუხჩიშვილი ს. გ. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1, თბილისი, 1950, გვ. 200.
- 65 ხორბლის ღღესასწაული (ავტ.).
- 66 Архив СОНИИ, ф. 19, оп. 1, д. 56, л. 14.
- 67 ვაგიევი ს. ი. ოსური ხალხური თამაშობები. ორჯონიკიძე, 1958; ჭუ-სოევი ვ. დ. ოსური ხალხური თამაშობები, ცხინვალი, 1970.
- 68 კიკინაძე ზ. ე. ოსეთი ქართული წიგნებით, თფილისი, 1915 წ., გვ. 168.
- 69 აწ განსვენებული გ. აბაევის ცნობით კობში ასეთი ხელმძღვანელი და მო-რივე იყო ყასბოლათ ძაბოვი, რომელიც თრუსოს ხეობაში განთქმული იყო რო-გორც ხელოვნების ნიჭით დაჭიდებული პიროვნება.

- 70 გაზ. «Кавказ». 1855. 01. с. 6.
- 71 ვერდერევესკის აზრს იხიარუას ლ. ჩიბიროვიც ნაშრომში „ოსების სამი-წათმოქმედო კალენდარი“. ცხინვალი, 1976, გვ. 85.
- 72 ეურნ. „ფილიუაგი“, ცხინვალი, 1979, № 7 (ოსურ ენაზე).
- 73 ირონ-ოსი, ირისთონ-ოსეთი.
- 74 ჯანელიძე დ. ს. დასახ. ნაშრომი, გვ. 350.
- 75 ამ ლექსის საფუძველზე კ. ხეთაგუროვმა შექმნა ლექსი, რომელსაც მღეროდნენ ბერძენები.
- 76 Туганов М. С. Указ. труд., с. 19.
- 77 ჯანელიძე დ. ს. დასახ. ნაშრომი, გვ. 100.
- 78 ლაკში — ალას გულიანი ლეგზელი.
- 79 ოსური ხალხური აქმობედება, ოოქ-ძე, 1961, გვ. 365.
- 80 აბსტრაქტის ლეგენდა იმის შესახებ, რომ თამარ მეფეს სამხრეთ ოსეთში მოგზაურობის დროს ერთ უღელტეხილზე ცხენი წაუბარბაცდა და დაეცა. სოსლანი ცდილობდა პირუტყვის წამოყენებას. გაბრაზებული თამარი გვერდზე გადადგა და თავაზიანად მიმართა ქმარს: — ველარ წამოაყენებ, ჩემო სოსლან, ცხენი მკვდარია.
- ახ, შე მგლების ლექმე! ცოცხალ-მკვდარო... აღელვებულმა სოსლანმა მხოლოდ ამის წარმოთქმა და შეძლო. სწორედ ამ დღიდან ჯავის რაიონს კულდარო უწოდეს.
- 81 Архив СОННИ. ф. 19. оп. 1, д. 92.
- 82 Чибиров Л. А. Народный земледельный календарь Осетии. Цхинвалл, 1976. с. 83.
- 83 ლეგენდა 1959 წელს ჩამაწერინა ა. ზოზიროვმა; ოდნავ განსხვავებული ტექსტით იგივე ლეგენდა 20-იან წლებში ჩაიწერა ეთნოგრაფმა გ. ჩურსინმა. იხ. წიგნი „ოსები“, თბილისი, 1925, გვ. 63.
- 84 კიკინაძე ზ. ე. დასახ. ნაშრომი გვ. 275.
- 85 Чибиров Л. А. Указ. труд., с. 140.
- 86 ჯანელიძე დ. ს. დასახელებული ნაშრომი, გვ. 275.
- 87 Берзенов Н. Очерки Осетии, газ. «Кавказ», 17/VI—1850, № 48.
- 88 ოსურ-რუსული ლექსიკონი. ორჯონიკიძე, 1970, გვ. 499.
- 89 ამირანაშვილი შ. ი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი, 1944, გვ. 73.
- ჯანელიძე დ. ს. დასახ. ნაშრომი, გვ. 265.
- 90 Гаг. «Кавказ». 8/1—1855. № 3.
- 91 კიკინაძე ზ. ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 239.
- 92 „ხორ-ხორ“-ის დღესასწაული თეატრალიზებული სანახაობის გარეშე განიხილა პროფ. ბ. კლოვემა ნაშრომში „ოსები“.
- 93 Гаг. «Кавказ», 17.06, 1850, № 48.
- 94 მაკალათია ს. ი. ხეკურთი, თბილისი, 1935. გვ. 231.
- 95 ოსურ ზეპირსიტყვიერებაში ოსების წინაპრები ცარციათებია.
- 96 Чурсин Г. Ф., Осетини, с. 77., Техов Б. В. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии. Тбилиси, 1971, с. 147.
- 97 Чибиров Л. А. Народный земледельческий календарь Осетии, с. 108.
- 98 Архив СОННИ, ф. 19. оп. 1, л. 11.
- 99 უცნაურო სიმღერების ტექსტები ხელნაწერის სახით ინახება ჩრდილოეთ ოსეთის კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის არქივში (აგტ.).
- 100 Туганов Т. С., указ. труд., с. 58.
- 101 Архив СОННИ, ф. 19. оп. 1, д. 92. л. 18.
- 102 Калоев Б. А., указ. труд., с. 266.
- 103 Магомедов А. Х. Общественный строй и быт Осетии, Орджоникидзе. 1927. с. 323.
- 104 Берзенов Н. Очерки Осетии, газ. «Кавказ», 17/VI—1850. № 47.
- 105 ოსური ხალხური შემოქმედება, ტ. 11, ორჯონიკიძე, 1961, გვ. 208.
- 106 კიკინაძე ზ. ე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 248.
- 107 Гаг. «Кавказ», 25/IV—1855. № 9.
- 108 კიკინაძე ზ. ე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 208.
- 109 Мсвоц В. Очерк о кавказских горских племенах, «Москвитянин», №№ 23. 24. кн. 1—2. 1855, с. 53.

- 110 უძველეს პერიოდში შეწირვის ასეთივე წესი ჰქონდათ ქართველებს, აფხაზებს.
- 111 Архив СОНИИ, ф. 19, оп. 1, 82.
- 112 ოსური თეატრი, ორჯონიძე, 1940, გვ. 8 (ოსურ ენაზე).
- 113 ხატაეური ენა (ოსურად ხატაია ავზაე) ოსურ ლექსიკონებში განმარტებულია როგორც უცნობი, ჭრაცერობით დაუდგენელი ენა. თანახმად ოსური ფოლკლორისა, წარსულში ოსი ხალხის უმეტესი ნაწილი მშობლიური ენის გარდა ლაპარაკობდა ხატაეურად, ამიტომ სანახაობის დროს ყოველთვის ჰყავდათ მთარგმნელი (ავტ.).
- 114 ჩეფენა — ოსური მასობრივი ცეკვა.
- 115 კ ი ბ ი ნ ა ძ ე ზ. ე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 97, 250—251.
- 116 თანახმად ზეპირსიტყვიერებისა, საპატარძლო სკამისთვის ფულის ამღებს მყარი სილის გარტყმით ისტუმრებდა.
- 117 ჭ ა ნ ე ლ ი ძ ე დ. ს. დასახელებული ნაშრომი, გვ. 96—129.
- 118 ჩრდილო ოსეთის კვლევითი ინსტიტუტის არქივი, ფ. 19, ს. 92.
- 119 ი ქ ე ე, ფ. 48, ს. 92.
- 120 ი ქ ე ე, ფ. 43, ს. 127.
- 121 Марьяновский В. А. По планете на коне, Ордженкидзе, 1977, стр. 32.
- 122 შ ა ვ ლ ო ხ ო ე ი მ. მ. ოსური ხალხური ცეკვები, ჟურნ. „ფილიაგი“, 1979, № 5, გვ. 83 (ოსურ ენაზე).
- 123 ოსური ოჯახი უწინ რამდენიმე ათეული წევრისგან შედგებოდა. (ავტ.).
- 124 ჯ უ ს ო ე ვ ი ვ. დ. ოსური ხალხური თამაშობანი, ცხინვალი, 1970, გვ. 40 (ოსურ ენაზე).
- 125 გ ა გ ი ე ვ ე ს. ი. ოსური ეროვნული თამაშობანი, ორჯონიძე, 1958, გვ. 65.
- 126 Калоев Б. А. Осетины, с. 225.
- 127 Дюмезиль Ж. Осетинский эпос и мифология, М., 1976, с. 42.
- 128 კ ი ბ ი ნ ა ძ ე ზ. ე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 250—251, 247.
- 129 Кокиев Г. Склеповые сооружения горной Осетии, Владикавказ, 1928, с. 38.
- 130 ვატილა — ქვეა-ქუხილისა და წვიმის ღმერთი.
- 131 Чибиров Л. А. Народный земледельческий календарь Осетии, с. 175—176.
- 132 ოსური ხალხური ზღაპრები, ტ. 11, ცხინვალი, 1959, გვ. 605 (ოსურ ენაზე).
- 133 Археологические раскопки в районе Змейской Северной Осетии. Ордженкидзе, 1961, с. 8.
- 134 Кузнецов В. А. Путешествие в древний Ирыстон, с. 46.
- 135 Магомедов А. Х. Культура и быт осетинского народа, с. 213.
- 136 Магомедов А. Х. там же, с. 213.
- 137 Архив СОНИИ, ф. 19, оп. 1, ед. хр. 92. л. 189.
- 138 ჭ ა ნ ე ლ ი ძ ე დ. ს. დასახ. ნაშრომი, გვ. 67.
- 139 Гагиев С. Ю. указ. соч., с. 77.
- 140 Курм — по осетинский — слепой.
- 141 Туганов М. С., указ. соч., с. 61.
- 142 Некрылова А. Сценические особенности русского народного кукольного театра «Петрушка», в кн. «Народный театр», с. 121—127.
- 143 Богатырев П. Г. Вопросы теории народного искусства, М., 1971, с. 43.
- 144 ოსური დრამატურგიისა და ეროვნული თეატრის ფუძემდებელმა ელიზბედო ბრიტაიევმა პროფესიული თეატრის დაბადების აღსანიშნავად დაწერა სატრულო სცენა „მაიმუნი შეიწყალოს, მშვიდობით მობრძანდეს ოსური თეატრი“.
- 145 სიტყვა „ნილაბი“, მართალია, წარმოდგება „პირისახისგან“, მაგრამ ბერძნული ნილაბი სახეზე აღარებული კი არ იყო, არამედ თავზე ჩამოსაცმელი.
- 146 ს. ყ ა ლ ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშ., გვ. 250.
- 147 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშ., გვ. 33.
- 148 Богатырев П. Г. Указ. соч.: с. 104.
- 149 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშ., გვ. 33.

- 150 Тухов Б. Центральный Кавказ в XVI—X вв. до н. э., 1977, стр. 122—129.
- 151 Тухов Б. Центральный Кавказ в XVI—X вв. до н. э., стр. 130.
- 152 ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 258.
- 153 დ. ჭანელიძე, სახიობა, თბ., 1980, გვ. 121.
- 154 Студенецкая Е. Маски народов Северного Кавказа в кв.: «Народный театр», стр. 83.
- 155 დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 411.
- 156 დ. ჭანელიძე, სახიობა, გვ. 10.
- 157 Народный театр, стр. 83.
- 158 Там же, стр. 84.
- 159 ხმის გაძლიერების მიზნით ანტიკური ხანის ბერძნულ თეატრში იხმარებოდა ბრინჯაოს ნიღაბი. ოსეთში ნაპოვნ ბრინჯაოს ნიღაბს რალაც საერთო უნდა ჰქონდეს ბერძნულ ბრინჯაოს ნიღაბთან.
- 160 მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1963, ტ. III, გვ. 201—202.
- 161 Виноградов В. П. Тайны минувших времен. 1961, ст. 85.
- 162 Кузнецов Вл. указ. соч. стр. 32.
- 163 Там же, стр. 44.
- 164 Кузнецов Вл. указ. соч., стр. 45.
- 165 ოსური ხალხური ზღაპრები, ტ. I, ცხინვალი, 1959, გვ. 352, 345, 514, 548.
- 166 ოსური ხალხური შემოქმედება, ტ. I, გვ. 52.
- 167 იქვე, გვ. 56, 153.
- 168 იქვე, გვ. 142, 153.
- 169 ოსური ხალხური შემოქმედება, ტ. I, გვ. 14—153.
- 170 თქმულება ნართებზე, ცხინვალი, 1973, გვ. 162 (ოსურ ენაზე).
- 171 ოსური ხალხური შემოქმედება, ტ. I, გვ. 289.
- 172 ოსური ხალხური ზღაპრები, ტ. I, გვ. 130, 298, 308, 355, 503, 514, 548, 605.
- 173 შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.
- 174 დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 321, 327.
- 175 Архив СОНИИ, д. 19, оп. 1, ед. хр. 56, л. 12.
- 176 Туганов М. указ. соч., стр. 58.
- 177 დ. ჭანელიძე, სახიობა, გვ. 14.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი	,	.	3
ოსური ხელოვნების საწყისები არქეოლოგიური მასალების მიხედვით	.		6
თეატრალური ელემენტები ოსურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში	.		12
ოსური საიმპროვიზაციო თეატრის საწყისები, ძველი ადათ-წესების მიხედვით	.		37
თეატრალური ელემენტები დაკრძალვის რიტუალში	.	.	81
თოჯინების თეატრი (ჩინძითაი ყაზთ)	.	.	87
ნიოაზი და მისი გამოყენება	.	.	92
შენიშვნები	.		102

ЧЕТИТЫ РУБЕН ДАВИДОВИЧ
НАРОДНЫЕ ИСТОКИ ОСЕТИНСКОГО
ТЕАТРА

(На грузинском языке)

Издательство «Хеловнеба»

Тбилиси пр. Д. Агмашенбели, 179.

1988

რედაქციის გამგე ა. ბეღია
გამომცემლობის რედაქტორი ხ. ხეტეშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ინასარიძე
მხატვარი ნ. ჭკუასელი
ტექნიკური რ. კობრეიძე
კორექტორი მ. შვალობლიშვილი

ს. ბ. № 830

გადაეცა წარმოებას 10.5. 88 წ. ხელმოწერილია დასაბუქლად 20.10. 88 წ; ნაბე-
ჭდი თაბახი 6,75 ქალაღდის ზომა 60X90^{1/16} სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბა-
ხი 5,1 უე 01571, შეკვ. № 1391, ტირაჟი 1000.
ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „ხელოვნება“
თბილისი, დ. აღმაშენებლის 179
1988

საქართველოს სსრ გამსახკომის სამხრეთ ოსეთის საოლქო
პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ცხინვალი, მოსკოვის, 5.
Юго-Осетинское полиграфическое производственное объединение
Госкомиздата ГССР, Цхинвали, Московская, 5.